თელავი პოლიტიკურ ინტრიგებში ეხვევა A2
როგორ აკოტრებდნენ ქართულ ნავიგაციას? A8
მეცნიერება და ტექნიკა B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ხუთშაბათი, 20 მაისი, 2004 წელი. №118 (667) — ფასი 50 თეთრი

## გაზეთი "24 საათი" აღმოსავლეთ ევროპის გაზეთების კონკურსის გამარჯვებულია

ოსლოში დაფუძნებული "სიტყვის თავისუფლების ფონდი" (Freedom of Expression Foundation) და გერმანული ZEIT-Stiftung Ebelin und Gerd Bucerius აღმოსავლეთ ევროპის გაზეთებისთვის ყოველწლიურად ატარებენ კონკურსს და გამარჯვებულებს გადასცემენ ფულად პრემიას, რომელიც გაზეთის განვითარებას უნდა მოხმარდეს. აღნიშნული კონკურსის წლევანდელი გამარჯვებულია გაზეთი "24 საათი".

19 მაისს ჰამბურგის რატუშაში გამართულ დაჯილდოების ცერემონიალს გერმანული პრესის ელიტა, ცნობილი პოლიტიკოსები და ბიზნესმენები ესწრებოდნენ. დიპლომში, რომელიც "24 საათს" გადაეცა, აღნიშნულია: "ებელინ და გერდ ბუცერიუსის სახელობის გაზეთ "ცაიტის" ფონდმა (ჰამბურგი) და "ინსტიტუციონელ ფრიდ ორდმა" (ოსლო) 2004-2006 წწ. აღმოსავლეთ ევროპის ახალგაზრდა პრესის მხარდამჭერის პრემია დააწესეს. ამ ინიციატივის ფარგლებში გაზეთ "ცაიტის" ფონდმა 2004 წელს გერდ ბუცერიუსის სახელობის პრემია დამოუკიდებელი ჟიურის რეკომენდაციით მიანიჭა გაზეთს "24 საათი" (თბილისი, საქართველო). ფონდებს სურთ, განამტკიცონ სიტყვის თავისუფლება აღმოსავლეთ ევროპაში და მხარი დაუჭირონ გამბედავ გაზეთებს. "24 საათი" გამოირჩევა ჟურნალისტიკის დონით, სამეწარმეო უნარითა და აქტიური საზოგადოებრივი პოზიციით. ეს თვისებები სამომავლოდაც აუცილებელი იქნება "ვარდების რევოლუციის" დემოკრატიულ მონაპოვართა დასაცავად საქართველოსა და მისი მოქალაქეების საკეთილდღეოდ. პრემია 30 ათასი ევროს ოდენობით გაზეთის საჭიროებისთვის არის განკუთვნილი.

ჰანზის ქალაქი ჰამბურგი, 19 მაისი, 2004 წელი, პროფესორი მიხაილ გიორინგი, ფონდის გამგეობის წევრი და აღმასრულებელი დირექტორი."

გუშინ ჰამბურგში გამართულ საზეიმო ცერემონიალს ესწრებოდა ევროკომისიის წევრი გიუნტერ სერხოიგენი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ევროკავშირის გაფართოებაში. მან განსაკუთრებით თბილად მოიხსენია საქართველო, იქ მიმდინარე მოვლენები, საქართველოს პრეზიდენტი და ევროკავშირისკენ საქართველოს სწრაფვას მიესალმა.

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 21 | |
| ქუთაისი | 14 | |
| ბათუმი | 11 | |
| სოხუმი | 9 | |
| ფოთი | 12 | |
| თელავი | 19 | |
| ზუგდიდი | 14 | |
| გორი | 15 | |
| ახმეტა | 19 | |
| ჭიათურა | 13 | |
| გაგრა | 7 | |
| სამტრედია | 12 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9200 |
| ევრო | 2.3078 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4113 |
| რუბლი | 0.0662 |

# კორუმპირებული "ნაციონალები" უფრო მკაცრად დაისჯებიან

*დასტური იმისა, რომ საქართველოს უკვე არახალი ხელისუფლება კორუფციასთან ბრძოლის გზაზე საკუთარ თანაპარტიელებსაც არ დაინდობს, სახეზეა - "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი აქტივისტი, ნაციონალ-დემოკრატების საარჩევნო სიით პარლამენტში მოხვედრილი გიორგი კენჭაძე უშიშროების სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება.*

სოფიკო ჩხაიძე

პარლამენტარმა გიორგი კენჭაძემ გუშინვე აღიარებითი ჩვენება მისცა. სხვა გამოსავალი არც ჰქონდა. როგორც სამართალდამცველები ამბობენ, იგი ფაქტზე აიყვანეს. კენჭაძის დასაკავებლად სპეცოპერაცია წინასწარ ზედმიწევნით გახლდათ დაგეგმილი.

გაგრძელება A7 გვერდზე

## ძარღვი ხელახლა ფეთქავს

მაია ჭალაგანიძე

*სამხედრო კარიერა ცნობილი ფილმის გმირივით დაიწყო. დედას ძალიან უნდოდა ექიმი გამოსულიყო,* а он пошол в кавалерию...
*ზოგადად თუ ვიტყვით, დღეს უკვე გენერალური შტაბის უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ გივი იუკურიძეს ("წვრთნისა და აღჭურვის პროგრამაში" მონაწილე ქვედანაყოფებს თუ არ ჩავთვლით) დახვდა - ნაწილობრივ გახდილი ჯარისკაცები, მწყობრიდან გამოსული ტექნიკა და თითქმის გაპარტახებული სამხედრო ქალაქები.*

*- ამის ბევრი მიზეზი არსებობს, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ალბათ, დაფინანსების სიმცირე და არსებული დაფინანსების განკარგვის პრიორიტეტების არგანსაზღვრა იყო.*

გაგრძელება B1 გვერდზე




გენერალ-ლეიტენანტი გივი იუკურიძე

ბესო გოლაშვილის ფოტო

## "ბოლომდე ვიბრძოლებ"

ამბობს მეტალურგიული კომბინატის რეაბილიტაციის მმართველი

მაია მოსიაშვილი

*რუსთავის მეტალურგიული კომბინატის რეაბილიტაციის მმართველი ბენო ქაშაკაშვილი ამ პოსტზე დანიშვნიდან ორი თვის თავზე აცხადებს, რომ ქარხანას უკვე ჰყავს ახალი პარტნიორი - უკრაინული მეტალურგიული ქარხანა "კრივოი როგ"-ი. მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევით და უკრაინის მთავრობის უშუალო დახმარებით ხელმოწერილი და დაფინანსებულია ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მაისის ბოლოს უკრაინიდან რუსთავში პროდუქცია შემოვა.*

გაგრძელება A3 გვერდზე



ქარხნის რეაბილიტაციის მმართველი პასიურ ფიგურად ყოფნას არ აპირებს.

თემურ სუხიტაშვილის ფოტო

## "ვალენსია" უეფას თასის მფლობელია

ვალენსია - მარსელი 2:0

ესპანეთის "ვალენსიამ" უეფას თასი მოიგო. ეს რაფაელ ბენიტესის გუნდის მესამე გამარჯვებაა უეფას თასის გათამაშებაში. 1960-იან წლებში ესპანელები ორჯერ დაეუფლნენ ბაზრობათა თასს (უეფას თასის წინამორბედი ტურნირი). 2000 და 2001 წლებში კი ზედიზედ ორჯერ გავიდნენ ჩემპიონთა ლიგის ფინალში. ასე რომ "ვალენსიას" გამარჯვება ლოგიკური გვირგვინია იმ მუშაობის, რომელიც ესპანურ კლუბში წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. მიმდინარე სეზონი რაფაელ ბენიტესის გუნდისთვის უაღრესად იღბლიანი გამოდგა. გუნდმა, ჯერ მადრიდის "რეალთან" 8-ქულიანი ჰანდიკაპი აღმოფხვრა და ესპანეთის ჩემპიონი გახდა, გუშინ კი სეზონი უეფას თასის მოგებით დააგვირგვინა.

გაგრძელება B4 გვერდზე




ბარტეზის საბედისწერო შეცდომა.

## პრეზიდენტი აცხადებს, რომ კენჭაძე ყველასთვის მაგალითი იქნება

ვერიკო თევზაძე

*საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ იმდენად შეუვალი და დაუნდობელი იყო, რომ თავის თანაპარტიელს, უშიშროების მიერ გამოძალვაში მხილებულ პარლამენტარს, გია კენჭაძეს "ღორი" და "ნაგავი" უწოდა:* ***"ამ ღორს ხელფასი ჰქონდა 1000 ლარი. ეს არ იკმარა და პირველსავე ცდუნებას დახარბდა... კიდევ ვერ მიხვდა ეს ხალხი, ვისთან აქვს საქმე. პრეზიდენტ სააკაშვილთან ასეთი რაღაცები არ გაუვათ... ჩვენ მოვუვლით ნაგავს, რომელიც ყოველთვის იპარება ხელისუფლებაში"...***

პრეზიდენტს, როგორც "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერს, უსიამოვნებას ჰგვრის თავისი პარტიის წევრის უღირსი საქციელი, თუმცა სააკაშვილი მედლის მეორე მხარეზე ამახვილებს ყურადღებას

გაგრძელება A3 გვერდზე

## აჭარის ეკონომიკა რამდენიმე წლის შემდეგ

ეთერ მამულაშვილი

*მაისის რევოლუციიდან ორი კვირის თავზე ახალგაზრდა მთავრობა აჭარის ეკონომიკური განვითარების პროგრამას აქვეყნებს. ბათუმის თეატრში შეკრებილი მინისტრთა კაბინეტის გუშინდელი სხდომის ძირითადი ნაწილი, თხუთმეტგვერდიანი პროგრამის პრეზენტაციას დაეთმო. როგორი იქნება პოსტაბაშიძისეული აჭარის ეკონომიკა ორი, სამი ან თუნდაც ხუთი წლის შემდეგ? ხსენებულ პროგრამაში, მართალია, აჭარის აყვავების კონკრეტული ვადები მითითებული არ არის, თუმცა, მინისტრების თქმით, მუშაობა მათ ამ კუთხით უკვე დაწყებული აქვთ.*

გაგრძელება A4 გვერდზე

## უკრაინის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია ჩიხში მოექცა

ტარას კუზიო
"ჯეიმსთაუნის ფონდი"

უკრაინის ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის უკანასკნელი ლობისტი, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ალექსანდრ ჩალიჯი 15 მაისს გადადგა. აღსანიშნავია, რომ ეს უკრაინა-ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭოს ყოველწლიურ სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა.

2000 წლის ოქტომბერში პროდასავლური საგარეო საქმეთა მინისტრის ბორის ტარასიუკის გადაყენების შემდეგ, უკრაინის საგარეო პოლიტიკურ ისტებლიშმენტში პროდასავლური პოლიტიკოსების რაოდენობა თანდათან მცირდებოდა. ახლა, საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ თანამდებობებზე ის ხალხი ჭარბობს, რომლებიც დსთ-ს ერთიან ეკონომიკურ სივრცეში უკრაინის ინტეგრაციას და რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობას უჭერს მხარს, მათ შორისაა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვიქტორ მედვედჩუკი, მისი მოადგილე ანატოლი ორელი და პირველი ვიცე-პრემიერი მიკოლა აზაროვი.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ექსკლუზივი
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 მეცნიერება | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## პარლამენტში "სანდო ხალხს" ეძებენ


ნიკოლოზ რურუა და გივი თარგამაძე.

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი ერთსულოვნად უჭერს მხარს აჭარისა და აფხაზეთის უშიშროების სამინისტროების გაუქმებას, რის თაობაზეც გადაწყვეტილებას ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ 18 მაისის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით მიიღო. კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე "ნდობის ჯგუფის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის შესახებაც იმსჯელეს.

"ნდობის ჯგუფი" 1998 წლიდან არსებობს. თავდაპირველად ის სამი წევრისგან შედგებოდა, 2002 წლიდან კი მის შემადგენლობაში ხუთი პარლამენტარი შედის. კანონის მიხედვით, "ნდობის ჯგუფს" თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს.

ამ კომიტეტის დღევანდელი წევრები თანახმანი არიან, რომ "ნდობის ჯგუფის" წევრთა რაოდენობა უცვლელი დარჩეს, ოღონდ - კვოტების შემდეგნაირ გადანაწილებას ითხოვენ: ჯგუფის სამი წევრი საპარლამენტო უმრავლესობამ დანიშნოს, ერთი კი - ოპოზიციამ. რაც შეეხება "ნდობის ჯგუფის" ხელმძღვანელს, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე წინააღმდეგი არ არის, რომ ეს პიროვნება საერთოდ არ იყოს პარლამენტარი და "გარედან იქნეს მოწვეული".

ამ მოსაზრებებს კომიტეტის ყველა წევრმა დაუჭირა მხარი, ოდნავ განსხვავებული პოზიცია მხოლოდ დეპუტატ ივლიანე ხაინდრავას აღმოაჩნდა. მისი თქმით, რაც უფრო მცირერიცხოვანი იქნება "ნდობის ჯგუფი", მით უფრო შემცირდება კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების საფრთხე. ხაინდრავას აზრით, უმჯობესია "ნდობის ჯგუფი" ოთხი წევრისგან (სამი - საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი, ერთი - ოპოზიციის) შედგებოდეს და კენჭისყრის დროს ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჯგუფის თავმჯდომარის ხმას მიენიჭოს.

**"ამით ოპოზიციაც ნაკლებად განაწყენდება: სხვა თუ არაფერი, "ნდობის ჯგუფში", 20-ის ნაცვლად, 25-პროცენტიანი წარმომადგენლობა ეყოლება",** - ნახევრად ხუმრობით მსჯელობს ხაინდრავა.

თუმცა, მისი წინადადება გუშინ კენჭისყრაზე არ დამდგარა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრები ხუთკაციანი "ნდობის ჯგუფის" შექმნაზე შეთანხმდნენ.

*გიორგი ასანიშვილი*

## კოკოითის ულტიმატუმი

"ვიდრე 1989-1999 წლებში ოსი ხალხის გენოციდს არ ცნობენ და ამ წლების მოვლენებს სამართლებრივ-პოლიტიკურად არ შეაფასებენ, ქართულ მხარესთან მოლაპარაკებებს არ გავმართავთ, მით უმეტეს, რომ არავითარი წინადადება სააკაშვილისგან არ მიმიღია", - აცხადებს ე. წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი. მისთვის მიუღებელია პარალელები აჭარის ბოლოდროინდელ და "სამხრეთ ოსეთის" 1989 წლის მოვლენებს შორის, რადგან "წითელი ვარდებით მარშს მაშინ ცხინვალში სავალალო შედეგები მოჰყვა".

მისი თქმით, სამხრეთ ოსეთი აღარ იქნება დამოკიდებული მხოლოდ ტრანსკავკასიური მაგისტრალის შემოსავლებზე. შეიქმნება რეალური პირობები რესპუბლიკის ეკონომიკის აღსადგენად. კოკოითმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ "სამხრეთ ოსეთის" რუსეთის ფედერაციაში გაერთიანების პოლიტიკური კურსი არ შეიცვლება, საქართველოსთან კი კეთილმეზობლური ურთიერთობები გაგრძელდება", - განაცხადა ედუარდ კოკოითმა.

*მედია-ნიუსი*

## შეხვედრა სტრასბურგში

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე სტრასბურგში გერმანიის პარლამენტის - ბუნდესტაგის თავმჯდომარეს ვოლფგანგ ტირზეს შეხვდა. მათ შეხვედრაზე საქართველოს პარლამენტის ფინანსური და ტექნიკური დახმარების საკითხი განიხილეს.

ბუნდესტაგის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს საქართველოს პარლამენტის რესტრუქტურიზაციის პროექტის მხარდაჭერას დაჰპირდა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებზე და იმ ერთობლივი საპარლამენტო ჯგუფის მუშაობაზე, რომელიც საქართველოს და გერმანიის პარლამენტებს წარმოადგენს. "ჩვენი ევროპული ქვეყანა ევროკავშირში გაწევრიანებისკენ მიისწრაფის. ეს ჩვენთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაშიც გერმანია ყოველთვის მხარდაჭერას გვიცხადებდა", - აღნიშნა ბურჯანაძემ.

გუშინ იგი სიტყვით გამოვიდა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზეც. ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების პარლამენტის თავმჯდომარეების წინაშე გამოსვლისას, ნინო ბურჯანაძემ ხაზი გაუსვა დემოკრატიული ქვეყნების პარლამენტების ურთიერთობების მნიშვნელობას. მან აღნიშნა ის როლი, რაც საქართველოს პარლამენტმა ქვეყანაში მომხდარ "ვარდების რევოლუციაში" და აჭარის პრობლემის მშვიდობიან მოგვარებაში ითამაშა. ბურჯანაძემ მადლობა გადაუხადა ევროპის ქვეყნებს იმ თანადგომისთვის, რაც მათ საქართველოსთვის მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტში გამოიჩინეს.

*24 საათი*

## "აფხაზების საკუთარი სახლებიდან აყრას არ ვაპირებთ"

პარლამენტის თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძის განცხადებით, აფხაზური მხარე ოფიციალურ თბილისთან დათმობისთვის, ჯერჯერობით, მზად არ არის. "ყველაფერს ვაკეთებთ, რომ აფხაზეთთან დაკავშირებული საკითხები მშვიდობიანი გზებით მოგვარდეს. თუმცა, ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ საქართველოს ხელისუფლებას აღარ შეუძლია დაუსრულებლად ელოდოს, როდის გადაწყვეტენ ჩვენთან საუბარს სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლები. მოხარული ვიქნები, თუ აჭარის მსგავსად, ჩვენ მხარს აფხაზეთის მოსახლეობაც დაგვიჭერს, თუმცა ამისათვის აუცილებელია საფუძველი მომზადდეს", - აცხადებს იგი. ბურჯანაძე, ასევე, ხაზგასმით აღნიშნავს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში რუსეთის პოზიტიური პოზიციის აუცილებლობას. "ჩვენ რუსეთისგან არა პროქართულ, არამედ ობიექტურ პოზიციას ველით. აფხაზეთის მოსახლეობას მხოლოდ სიკეთეს ვუსურვებთ და მათი საკუთარი სახლებიდან თუ ტერიტორიებიდან აყრას არ ვაპირებთ", - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

*მედია-ნიუსი*

## მკვლელობაში ეჭვმიტანილი ჩაბარდა

გუშინ ვაკე-საბურთალოს პროკურატურამ ამავე რაიონის სასამართლოსგან 18 წლის გიორგი ხელაშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილისთვის, სამართალდამცველებთან საკუთარი ფეხით მისული გიორგი თოფურიძისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდება მოითხოვა. გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ, 4 მაისს, თბილისში, ოჩამჩირის N6-ში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მომხდარ მკვლელობაში ბრალდებული გიორგი თოფურიძე ერთ-ერთი მაღალჩინოსნის შვილია, თუმცა პროკურატურაში ამაზე არ საუბრობენ. "მკვლელობაში ეჭვმიტანილი თავად გამოცხადდა პროკურატურაში და მისი სურვილია, გამოძიებას დაეხმაროს; თუმცა ამ ეტაპზე თოფურიძე დუმილის უფლებას იყენებს", - აცხადებს პროკურორი ზაზა კვირკველია.

*ინტერ-პრესი*

## დღეს სოხუმში ორმხრივი შეხვედრა გაიმართება

დღეს სოხუმში, კონფლიქტების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გოგა ხაინდრავას და სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას შეხვედრა გაიმართება. საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენლის ჰაიდი ტალიავინის ინიციატივით გამართულ შეხვედრაზე აფხაზეთში უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების შემუშავების პერსპექტივებს განიხილავენ. სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას ინფორმაციით, ხვალისთვის სოხუმში დაგეგმილ შეხვედრაზე მხარეები პოზიციათა დაახლოებას შეეცდებიან, მაგრამ, მისი თქმით, "ვიდრე აფხაზეთში უსაფრთხოების საერთაშორისო საკითხებში საბოლოო შეთანხმებები მიღწეული არ არის, დეტალებზე საუბარი ნაადრევია." სოხუმში ვიზიტისას იგეგმება გოგა ხაინდრავას შეხვედრები აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

მხარეები აფხაზეთში უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების შესახებ 21-23 აპრილს ჟენევის სტრატეგიულ კვლევათა ცენტრში გაერო-ს ინიციატივით დაწყებულ მოლაპარაკებებს განაგრძობენ, რომელშიც მონაწილეობა სამხედრო საკითხებში საერთაშორისო ექსპერტებმა მიიღეს.

*ინტერ-პრესი*

## ანტიკრიმინალური სპეცოპერაციები ხაშურში


სპეცოპერაციამ წარმატებით ჩაიარა.

გუშინ, დილით, ხაშურში სპეცოპერაცია ჩატარდა. სამართალდამცველებმა კრიმინალურ სამყაროში ცნობილი გელა გელაშვილი (მეტსახელად - "შარვალიჩი") დააკავეს. მიუხედავად იმისა, რომ გელა გელაშვილმა და მასთან ერთად ავტომანქანაში მყოფმა მისმა მეგობრებმა - ზაზა ბარბაქაძემ და გოჩა ზღუდაძემ სამართალდამცველებს წინააღმდეგობა გაუწიეს, პოლიციამ მათ გაქცევის საშუალება არ მისცა. სპეცოპერაციამ გასროლის გარეშე ჩაიარა. "შარვალიჩი" და მისი მეგობრები ამჟამად წინასწარი დაკავების საკნებში იმყოფებიან.

რაც შეეხება მათი დაკავების მოტივს, რა დანაშაულში აქვთ მათ მონაწილეობა მიღებული, სამართალდამცველები ჯერჯერობით არ აკონკრეტებენ, თუმცა აცხადებენ, რომ მათი დაკავების ოპერაცია აუცილებლად უნდა შემდგარიყო. საუბარია დაკავებულთა ნარკოტიკთან კავშირზე.

როგორც ამბობენ, გელა გელაშვილის სახელს უკავშირდება ფულის გამოძალვის, რეკეტის ფაქტები ხაშურის რაიონში. სპეცოპერაციის შედეგად დაკავებული კრიმინალური ავტორიტეტის პირადი ჩხრეკისას სამართალდამცველებმა მას "აკს"-ის სისტემის პისტოლეტი უპოვეს. ავტომანქანაში კი, რომლითაც გელა გელაშვილმა ორ მეგობართან ერთად გაქცევა სცადა, გადაჭრილი თოფი, ეგრეთ წოდებული "აბრეზი" და ტყვია-წამალი იპოვეს.

ჩვენი ინფორმაციით, გელა გელაშვილს სხვადასხვა დანაშაულისთვის რამდენჯერმე უკვე მოხდილი აქვს სასჯელი. ყაჩაღობის ბრალდებით გასამართლებულმა ციხის კედლები ბოლოს ერთი თვის წინ დატოვა. "შარვალიჩის" მსგავსად, მასთან ერთად დაკავებული ზაზა ბარბაქაძე და გოჩა ზღუდაძეც წარსულში სხვადასხვა ბრალდებით არიან გასამართლებულნი.

**"ანტიკრიმინალური ოპერაციები ხაშურის რაიონში სისტემატურ ხასიათს მიიღებს. შიდა ქართლის სამხარეო პოლიციამ აქ სპეცოპერაციები ორი დღის წინ დაიწყო და შედეგებიც სახეზეა. ორი დღის წინ ნარკოტიკების უკანონოდ შენახვა-შეძენა- რეალიზაციისთვის ერთი ქალბატონი, პოლიციის რიგითი და ხაშურის რკინიგზის ნევროლოგიური საავადმყოფოს ექიმი დავაკავეთ. მათგან 15 ამპულა მორფინი ამოვიღეთ. რას ვგეგმავთ ხვალ, წინასწარ ვერ გეტყვით, თუმცა ყველა კრიმინალმა უნდა იცოდეს, რომ "უყურადღებოდ" არავის დავტოვებთ",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსმა ალეკო სუხიტაშვილმა.

*24 საათი*

## თავდამსხმელების ვინაობას ვერ ასახელებენ

ქვემო ქართლის ოლქის პროკურორის გია ჯიქიას ინფორმაციით, წალკის ინციდენტთან დაკავშირებით რამდენიმე პიროვნების ბრალეულობა უკვე გამოიკვეთა, თუმცა კონკრეტული მტკიცებულებების არარსებობის გამო გამოძიება ერთგვარ ჩიხში შევიდა.

"წალკაში ამჟამად ძალიან გართულებულია საგამოძიებო მუშაობის ჩატარება. არსებობს დაზარალებულების ჩვენებები, თუმცა ისინი თავდამსხმელების ვინაობას ვერ ასახელებენ", - აცხადებს გია ჯიქია, რომელიც გამოძიების დასრულებას კანონით გათვალისწინებულ ვადაში - 3 თვეში ვარაუდობს.

როგორც ცნობილია, ქვემო ქართლის გუბერნატორი სოსო მაზმიშვილი წალკის პროკურორს გრიშა ხეირიანოვს უმოქმედობაში ადანაშაულებს და მის მოხსნას ითხოვს. ოლქის პროკურორის გია ჯიქიას თქმით, წალკის პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლება ჯერჯერობით არ იგეგმება, რადგან ეს საკითხი გენერალურ პროკურორთან არავის დაუყენებია. "ამ თემაზე გუბერნატორს ვესაუბრე და შევთანხმდით, რომ წალკის პროკურორის საქმიანობას შევისწავლით", - ამბობს გია ჯიქია. რამდენიმე დღის წინ წალკაში მცხოვრებ სომხებსა და იქ ჩასახლებულ აჭარლებს შორის დაპირისპირება მოხდა.

*ინტერ-პრესი*

## ყალბი საბუთებით იტალიაში მიემგზავრებოდნენ

სამართალდამცველებმა ამხილეს თბილისში მცხოვრები გოჩა იჩქიტიძე, ქუთაისში მცხოვრები, 30 წლის ივეტა კვერნაძე და თბილისში მცხოვრები, 26 წლის მაკა სალინაძე, რომლებმაც 18 მარტს, თბილისში, ჩიტაძის ქუჩაზე მდებარე იტალიის საკონსულოში წარადგინეს ყალბი დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც, ისინი თითქოს იყვნენ დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ასოციაცია "მედია-გლობალის" თანამშრომლები და მიემგზავრებოდნენ იტალიაში. ამ ვიზიტის მიზანი კი 28 მარტისთვის დაგეგმილი საქართველოს საპარლამენტო არჩევნების მსვლელობისას საქართველოს მოქალაქეების მიერ იტალიაში, საარჩევნო უბანზე ხმების მიცემის პროცედურაზე დაკვირვება იყო. როგორც გაირკვა, "მედია-გლობალის" ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, თბილისში მცხოვრებმა ზაზა გიგაურმა მიმართა მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის სამმართველოს, სადაც განაცხადა ვითომდა ასოციაციის ბეჭდის დაკარგვის თაობაზე, რის შემდეგაც ერთ-ერთ ფირმაში დაამზადებინა "მედია-გლობალის" ყალბი ბეჭედი და ბლანკები, რომლებიც შემდგომში გამოიყენა ზემოთ ხსენებული პირების მიერ იტალიაში გასამგზავრებელი ვიზის მიღებისთვის.

*მედია-ნიუსი*

## "სუუამის სამიტის ბათუმში ჩატარება დსთ-ს დაშლის დასაწყისი იქნება"

"აუღიარებელი სახელმწიფოების" მომავალი პოსტსაბჭოთა სივრცეში" ეს იყო რუსეთის საინფორმაციო სააგენტო "რია ნოვოსტი"-ში გამართული მრგვალი მაგიდის თემა. ამ ღონისძიებას კრემლთან დაახლოებული ინსტიტუტების ცნობილი ანალიტიკოსები და ექსპერტები ესწრებოდნენ. რუსეთის ნაციონალური სტრატეგიის ინსტიტუტის პრეზიდენტმა სტანისლავ ბელკოვსკიმ ქართველ ჟურნალისტებს ირონიულად მიულოცა აჭარიდან, აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან რუსეთის წასვლა. **"ასლან აბაშიძის დაცემა პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკური და იურიდიული პროცესების ლოგიკური შედეგი იყო. უკვე ცხადი ხდება, რომ დსთ ველარ ამართლებს, როდესაც ამ რეგიონში მართვადი ქაოსის კერების არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშა დგება. მოსკოვი უკვე უკრაინაშიც აღარ არის საჭირო. იუშჩენკოს მოსვლით ეს უკვე ცხადი ხდება. იგი ნათელი პიროვნებაა, მაგრამ არა ისეთი ნათელი, როგორიც სააკაშვილი. საქართველოში სუუამის სამიტის ჩატარება კი სწორედ დსთ-ს დაშლის დასაწყისი იქნება. თუ რეგიონიდან რუსეთი გავა, იქ აუცილებლად შევლენ ამერიკელები და რუსეთის გეოპოლიტიკურ დამარცხებას დავინახავთ".**

"24 საათის" შეკითხვას, თუ როგორი სცენარით განვითარდება მოვლენები აფხაზეთში უახლოეს მომავალში, სტანისლავ ბელკოვსკი ასე პასუხობს: **"აფხაზური სცენარი განპირობებული იქნება იმით, მისცემს თუ არა რუსეთი აფხაზეთს შეიარაღებული მხარდაჭერის და იმის გარანტიებს, რომ შენარჩუნებული იქნება საქართველოდან აფხაზეთის ფაქტობრივი დამოუკიდებლობა. შეიარაღებული კონფლიქტის წინ აფხაზეთი სააკაშვილთან აუცილებლად წავა ფარულ მოლაპარაკებებზე. წინასწარ გეტყვით, რომ ეს მოლაპარაკებები ნულოვანი შედეგით დასრულდება. აჭარაში აღებულ ტემპს სააკაშვილი არ დაკარგავს. საქართველოს მიერ აფხაზეთის "ჩაყლაპვის" ზომები იმ შემთხვევაში იქნება დასაშვები, თუკი საქართველო აფხაზეთს მისცემს პირობას, რომ ლტოლვილების დაბრუნების პროცესი მისთვის საზიანო არ იქნება.**

ზემოხსენებული მორიგი მრგვალი მაგიდა მოსკოვში აჭარის მოვლენებმა და აფხაზეთში მოსალოდნელი კრიზისის პროგნოზირების საჭიროებამ განაპირობა. პოსტსაბჭოთა სივრცის "აუღიარებელი სახელმწიფოების" მოსკოველი ლობისტები კატეგორიული ფორმით გამორიცხავენ აფხაზეთში დევნილი მოსახლეობის დაბრუნებას და ამას რუსეთისთვის მომხიბლავ საკურორტო ზონაში საკუთრების გადანაწილების შიშით ხსნიან.

"აფხაზეთი, აჭარა და სამხრეთ ოსეთი რუსეთთან ალიანსის იმედით ცხოვრობდნენ, მათგან სამხედრო-ეკონომიკურ დახმარებას იმ იმედით იღებდნენ, რომ იქ არასდროს წაიშლებოდა რუსეთის, როგორც მთავარი მოდერატორის როლი. ელცინის წასვლის შემდეგ რუსეთმა ეს რესპუბლიკები დათმო. ბოლო ოთხი წელიწადი ამ რესპუბლიკების დემორალიზაციის წლები იყო. აბაშიძის რეჟიმის დამხობამ წერტილი დაუსვა რეგიონში რუსეთის წამყვან როლს" - ამბობს სტანისლავ ბელკოვსკი.

*რუსუდან ნიკურაძე, საკ.კორ.მოსკოვში*

## "ყაზბეგი" მესაზღვრეებს დაეხმარა

სააქციო საზოგადოება "ყაზბეგის" ხელმძღვანელობის ინიციატივით წითელი ხიდის სასაზღვრო ნაწილში საქველმოქმედო აქცია გაიმართა. აზერბაიჯანი-საქართველოს წითელი ხიდის სასაზღვრო ნაწილი უდაბნოს, ვახტანგისის, ჯანდარის ტბის, ლემშვენიერას და სხვა პუნქტებს მოიცავს. რამდენიმე კვირის წინ ნაწილი 35 წვევამდელით შეავსო.

კომპანია "ყაზბეგმა" გარდაბნის ცალკეულ სასაზღვრო კომენდატურაში 1000 ლარის ღირებულების საკვები პროდუქტების და 600 ლარის ღირებულების საკუთარი პროდუქცია - "ცივი ჩაი" და ლუდი ჩაიტანა. "ყაზბეგის" ხელმძღვანელობის განმარტებით, საქველმოქმედო აქციას ერთჯერადი სახე არ ექნება. მომავალში კომპანია საზღვრის დამცველებს საგუშაგოების მშენებლობაშიც დაეხმარება.

" საზღვრის დაცვის ნაწილებში შექმნილი პრობლემების გადაწყვეტას ყველა ერთად შევეცდებით. გვინდა, რომ მათ პერიოდულად გავუწიოთ ფინანსური დახმარება. ქვეყნის ძლიერებას და მის ეკონომიკურ აღმასვლას ძლიერი სასაზღვრო ჯარი სჭირდება, ნაკლები კონტრაბანდა შემოვა ქვეყანაში," - განაცხადა სს "ყაზბეგის" მარკეტინგის ჯგუფის ხელმძღვანელმა გიორგი თოფაძემ.

"დიდი მადლობა მინდა გადავუხადო "ყაზბეგს" ამგვარი დახმარებისთვის. თუ მათ სხვა ფირმებიც მიბაძავენ, ჩვენი მხრიდან ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ძლიერი სასაზღვრო ჯარი გვყავდეს. "ყაზბეგის" დღევანდელი აქცია არის არა მხოლოდ მესაზღვრისთვის გაწეული დახმარება, არამედ საქართველოს ყოველი მოქალაქისთვის გაწეული ქველმოქმედება. "ყაზბეგი" არის პირველი კომპანია, რომელმაც ჩვენი სასაზღვრო ნაწილის დახმარების სურვილი გამოთქვა," - განაცხადა სასაზღვრო ნაწილის კომენდანტმა ლაშა მუმლაძემ.

## ქართული გამოცემის წარმატება

ამერიკულმა საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტომ "ვაშინგტონ პროფაილმა" (Washington ProFile) მოაწყო წამყვან ექსპერტთა გამოკითხვა, რომლის მონაწილეებს უნდა გაეცათ პასუხი კითხვაზე, რომელ რუსულენოვან გამოცემას იყენებენ ისინი მუშაობისას.

თერთმეტ გაზეთს შორის ამერიკელმა ექსპერტებმა დაასახელეს ქართული გამოცემა გაზეთი "სვობოდნაია გრუზია". აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილთა შორის ის ერთადერთია, რომელიც რუსეთის ფარგლებს გარეთ გამოიცემა. "სვობოდნაია გრუზია" დასახელებულია ისეთ ცნობილ გაზეთებთან ერთად, როგორებიცაა "იზვესტია", "ნეზავისიმაია გაზეტა", "კომერსანტი", "მოსკოვ ტაიმსი", "მოსკოვ ნიუსი" და "მოსკოვსკი კომსომოლეცი".

გამოკითხვაში მონაწილეობდნენ: ამერიკული მეწარმეობის რუსულ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი ლეონ არონი; თავდაცვითი ინფორმაციის ცენტრის რუსულ და აზიურ პროგრამათა დირექტორი ნიკოლაი ზლობინი; აშშ-ს ერთ-ერთი წამყვანი სამხედრო პოლიტიკოსი, სამხედრო სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის პროფესორი სტივენ ბლანკი, ჰარვარდის უნივერსიტეტის შავი ზღვის უსაფრთხოების პროგრამების დირექტორი სერგეი კონოპლიოვი, კენაჩის რუსული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი ბლერ რუბლი, მოსკოვში ამერიკული უნივერსიტეტის პრეზიდენტი ედუარდ ლოზანსკი, ბრუკინგსის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ფიონა ჰილი.

### ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" მარშალის ცენტრის ამერიკელმა ექსპერტებმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ეროვნული უშიშროების საბჭოს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წარმომადგენლებისთვის სახელმწიფო უშიშროების სტრატეგიის საკითხებთან დაკავშირებით სემინარები ჩაატარეს. სემინარებზე ქვეყანაში არსებული საფრთხეებისა და გლობალიზაციის საკითხები განიხილეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მემარჯვენე ოპოზიციამ" აჭარასთან დაკავშირებულ საკითხებზე სპეციალური განცხადება გამოაქვეყნა. მასში მითითებულია, რომ აჭარის მოსახლეობას უნდა მიეცეს შანსი, საკუთარი ბედი თავად გადაწყვიტოს და აირჩიოს, სჭირდება თუ არა ავტონომია. "აჭარის ავტონომია ისტორიული უსამართლობის გადმონაშთია, დღეს კი საქართველოს ხელისუფლებას ამ უსამართლობის გამოსწორების შანსი მიეცა", - აღნიშნულია განცხადებაში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს თბილისის საკრებულოს დეპუტატთა უმრავლესობა ქვეყნის პრეზიდენტს მხარდაჭერას ოფიციალურად გამოუცხადებს. საკრებულოში საპრეზიდენტო უმრავლესობის პრეზენტაცია გაიმართება. მასში ფრაქციების - "ნაციონალური მოძრაობა", "გაერთიანებული დემოკრატები", "გაერთიანებული კონსერვატორები", "დედაქალაქი" და "ერთობა" - წევრები იქნებიან, სულ, 32 დეპუტატი. გაერთიანების შექმნა საკრებულოში რაიმე სახის სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას, ჯერჯერობით, არ ითვალისწინებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ხაშური.** შიდა ქართლის რწმუნებულის მიხეილ ქარელის გადაწყვეტილებით, სამხარეო ადმინისტრაცია ამიერიდან ხაშურში განთავსდება. **მედია-ნიუსი**

## თელავი პოლიტიკურ ინტრიგებში ეხვევა


დაპირისპირება თელავში.

*თელავის რაიონში არ ცხრება საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებული ვნებათაღელვა. გუშინდელმა ფაქტმა კი ყოვლეგვარ ზღვარს გადააჭარბა. ექსცესებით სავსე მიმდინარე მოვლენებმა სტარტი წინანდლის ღვინის ქარხნიდან აიღო და თელავის აკადემიურ თეატრთან გაგრძელდა.*

გუშინდელი დღე თელაველი მაღალჩინოსნებისთვის მეტად დაძაბული აღმოჩნდა. ამის მიზეზი კი წინანდლის ღვინის ქარხნის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი გახდა. ინციდენტმა პირველად სწორედ ღვინის ქარხნის ეზოში იჩინა თავი. საწარმოს შესახებ ჯერ გაუხმაურებელი ფაქტების "რუსთავი-2"-ით და "24 საათით" გახმაურება, როგორც ჩანს, ხიდაშელის მხარდამჭერებს არ ესიამოვნათ და პრესკონფერენციის დაწყებამდე ქარხნის ძველმა და ახალმა თანამშრომლებმა ძალების დემონსტრირება მოახდინეს.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, პრესკონფერენციაზე ხიდაშელის წინააღმდეგ ისეთმა ადამიანებმა მოიყარეს თავი, რომლებიც თავის დროზე მედეა მეზვრიშვილს უკმევდნენ გუნდრუკს.

პრესკონფერენციაზე აქცენტი ხიდაშელის დირექტორობის დროს არსებულ დარღვევებზე კეთდებოდა. უფრო კონკრეტულად კი, იმ დოკუმენტებზე, რომლის საფუძველზეც ხიდაშელმა ქარხანა ჩაიგდო ხელში. ამის გამო ღვინის ქარხნის დირექციამ საქმის ობიექტურად გამოძიებაში ჟურნალისტებს სთხოვა დახმარება: "ამ ყველაფერს ბოლო უნდა მოეღოს", - ასეთი იყო პრესკონფერენციის ფინალი.

თუმცა, გუშინდელი დღე ამით არ დამთავრებულა. თელავის დეპუტატის მხარდამჭერებმა წინანდლიდან რაიონის გამგეობის შენობის წინ გადაინაცვლეს და აქცია გამართეს. ისინი თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის, გოჩა მამაცაშვილის გადადგომას მოითხოვდნენ. ამის პარალელურად მამაცაშვილის მხარდამჭერები სახელმწიფო თეატრის შენობაში საზოგადოებას ხვდებოდნენ და თელავში შექმნილ საკადრო ვნებათაღელვის გამომწვევ მიზეზებს ასე ხსნიდნენ: "ეს არის იმ ადამიანების განაწყენებული ბრბო, რომლებიც თანამდებობებზე ვერ მოხვდნენ. ჩვენ, პროფესიონალი ხალხი გვჭირდება და არა უვიცები".

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ შეხვედრა, რომელიც გოჩა მამაცაშვილის მხარდამჭერებმა მოაწყვეს, თელავის ყოფილი გამგებლის მედეა მეზვრიშვილის ნაცადი ხერხი იყო. მეზვრიშვილი გაჭირვების დროს მხარში ყოველთვის არაქართველ მოსახლეობას და სხვა რაიონებიდან ჩამოსულ ხალხს იყენებდა. ასე მოხდა გუშინაც. დარბაზში, თელაველებთან ერთად დედოფლისწყაროს და გურჯაანის "ნაციონალური მოძრაობის" წევრებიც იყვნენ. ის, რომ მამაცაშვილი მეზვრიშვილის კლანია, ამის საფუძვლად ხიდაშელის მხარდამჭერებმა თეატრში გამართული შეხვედრა დაიმოწმეს: "ვინც ნამდვილი "ნაციონალია" ხიდაშელის გვერდით დგას. გოჩა მამაცაშვილი კი კრიმინალია. პრეზიდენტს ვთხოვთ, რომ თელაველებს მოგვცეს საშუალება გამგებელი თავად ავირჩიოთ", - აცხადებენ ხიდაშელის მხარდამჭერები.

თელავში მიმდინარე მოვლენებს გუშინ პეტრე ცისკარიშვილმა საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვნა. იგი ამ ფაქტს ასე ხსნის: "რა არის მამაცაშვილსა და ხიდაშელს შორის დაპირისპირების მიზეზი, სულ მალე გაირკვევა. ერთი კი ცხადია, ეს თავად დეპუტატმა და გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა უნდა გაარკვიონ. ჟურნალისტის ცემის ფაქტიც პროვოკაციაა და ამას ძალოვანებიც სულ მალე დაადასტურებენ. ქარხანაში შექმნილ ვითარებას კი სასამართლო დაადგენს", - ამბობს ცისკარიშვილი.

თავად ხიდაშელი მის წინააღმდეგ აგორებულ შავ პიარს ასეთ კომენტარს უკეთებს: "მე ვაყალბებდი საბუთებს და მამაცაშვილი წმინდანია? თუ ასეა საქმე, რატომ იმაზე არ იღებენ ხმას, რომ მან ათობით ობიექტი ჩაიგდო ხელში. იმ ცილისწამებისთვის კი, რომელიც ჩემი მისამართით წამოვიდა, ყველა აგებს პასუხს.", - ასე დაიმუქრა ხიდაშელი.

ამ საკითხთან დაკავშირებით, თელაველების დეპუტატი გუშინ ქვეყნის პრეზიდენტმა დაიბარა.

*ზვიად რუაძე, კახეთიდან*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ინფორმაციით, ყალმუხეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ელისტაში 21 მაისისთვის დაგეგმილი ქალთა მსოფლიო საჭადრაკო ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალში მონაწილეობას აჭარის ავტონომიის ყოფილი მეთაური ასლან აბაშიძეც მიიღებს. გავრცელებული ინფორმაციით, მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი სპონსორია რუსი ბიზნესმენი გარი ლუჩანსკი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სუუამის საპარლამენტო ასამბლეის დამფუძნებელი ყრილობა სექტემბერში უკრაინაში გაიმართება. ამ საკითხთან დაკავშირებით, შეთანხმებას სტრასბურგში სუუამის ქვეყნების პარლამენტების ხელმძღვანელთა შეხვედრაზე მიაღწიეს. საქართველოს, აზერბაიჯანის, მოლდოვასა და უკრაინის წარმომადგენელთა განცხადებით, უნდა შეიქმნას საპარლამენტო ასამბლეა, რადგან სუუამი ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელსაც საპარლამენტთაშორისო ფორუმი არ აქვს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი**. ოფიციალური სოხუმი უარყოფს ინფორმაციას, თითქოს ორი თვეა აფხაზებს სოხუმში დაპატიმრებული ჰყავთ ნოვოროსიისკელი მეთევზეები. აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების ოფიციალური განცხადებით, მსგავსი ინციდენტი არ მომხდარა. "აფხაზეთი დაინტერესებულია რუსეთის თევზსაჭერ კომპანიებთან ურთიერთმოგებაზე დამყარებულ ეკონომიკურ თანამშრომლობაზე, რასაც ხშირად საქართველო ეწინააღმდეგება", — აცხადებს აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მინისტრი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებულ ძალებს თურქეთის თავდაცვის სამინისტრომ გრანტის სახით 0,5 მილიონი დოლარის ღირებულების დახმარება გადასცა. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა გივი იუკურიძემ ლილოს საბაჟო ტერმინალში მე-11 მოტომსროლელი ბრიგადის სამხედრო ავტომობილებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა სახის სათადარიგო ნაწილები პირადად ჩაიბარა. საზეიმო ცერემონიალს თურქეთის შეიარაღებული ძალების ლოჯისტიკის სამსახურის ხელმძღვანელი გენერალი სარსილმაზი დაესწრო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედი, გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელის თანამდებობაზე გუშინ პაკისტანელი გენერალ-მაიორი კაზი აშფაკი ეგვიპტელმა გენერალ-მაიორმა ჰოსსეინ ელ გობაშმა შეცვალა. საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენლის მრჩევლის ენვერა სელიმოვიჩის ინფორმაციით, ჰოსსეინ ელ გობაში უკვე სოხუმში იმყოფება და მისიის ყოფილი ხელმძღვანელისგან საქმეებს დღეს გადაიბარებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. "სახალხო დაცვის ლიგა" თბილისში მეტროს სადგურებთან მოქალაქეთა ხელმოწერების შეგროვების აქციას იწყებს. ორგანიზაციამ, რომლის თავმჯდომარეა ირინა სარიშვილ-ჭანტურია, 2004 წლის 14 აპრილს დაიწყო საყოველთაო სახალხო მოძრაობა "ნუ წახვალ სხვის ომში". ამ დღიდან საქართველოში მიმდინარეობს ხელმოწერების შეგროვება. ქვეყნის მოქალაქეები მოითხოვენ, აიკრძალოს ქართველი სამხედროების მონაწილეობა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მიმდინარე სამხედრო ოპერაციაში. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# პრეზიდენტი აცხადებს, რომ კენჭაძე ყველასთვის მაგალითი იქნება

პირველი გვერდიდან

და სიამაყით აცხადებს, რომ საქართველოში გაჩნდა ხელისუფლება, რომლისთვისაც კანონი და პატიოსნება უზენაესია: **"პირველად საქართველოში გაჩნდა ხელისუფლება, რომელსაც არ ეშინია, ხელისუფლების ნაწილი მუდმივად გაწმინდოს.... ასე იქნება მანამ, სანამ მე ვარ პრეზიდენტი და ჩვენი გუნდი არის სათავეში".**

დეპუტატის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო კენჭაძეს დღეს მოუხსნის იმუნიტეტს. წინასწარი ინფორმაციით ცნობილია, რომ კორუფციაში მხილებული პარლამენტარი ერთ-ერთ ბიზნესმენს ასლან აბაშიძის გარემოცვიდან ჰპირდებოდა, რომ 100 ათასი დოლარის სანაცვლოდ პროკურატურის "კლანჭებიდან" იხსნიდა.

კითხვაზე - **"შესაძლებელია თუ არა, "ნაცმოძრაობაში" კენჭაძის დარად, სხვა ულირსი წევრებიც ირიცხებოდნენ?"** - სააკაშვილი უყოყმანოდ პასუხობს: **"რა თქმა უნდა, შესაძლებელია".**

არსებობს არაოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხელისუფლება უკვე "ამუშავებს" კორუფციაში მხილებული ჩინოვნიკების საკმაოდ მოზრდილ სიას... თავად პრეზიდენტმა გუშინ ოფიციალურად განაცხადა, რომ კენჭაძე არ იქნება საჩვენებელი პერსონა ხალხის გულის მოსაგებად, **"ჩვენ გავწმენდთ საქართველოს ხელისუფლებას",** - დასძენს მიხეილ სააკაშვილი. გუშინვე სააკაშვილმა



*"ასე იქნება მანამ, სანამ მე ვარ პრეზიდენტი."*

პრესას განუცხადა, რომ 18 მაისს უშიშროების სამინისტრომ დააკავა შსს საგზაო ინსპექტორების დიდი ჯგუფი, რომელმაც წითელ ხიდზე კონტრაბანდა გამოატარა.

**"მე მყავს ბრწყინვალე გუნდი",** - პრეზიდენტი თავს იმშვიდებს იმით, რომ **"ნაცმოძრაობის" ძირითადი ორგანიზმი ჯანსაღია"** და დასძენს: **"საქართველოში არის სხვა ხელისუფლება, სხვა მთავრობა, სხვა პრეზიდენტი...."**

და კიდევ, მიხეილ სააკაშვილმა გუშინდელ ბრიფინგზე, სრულიად განსხვავებულ თემაზე, პოლიტიკური ანონსის სახით გვაუწყა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის შესახებ პოლიტიკურ განცხადებას გააკეთებს.

# უმრავლესობა იხტიბარს არ იტეხს

*გუშინ მიხეილ სააკაშვილი საპარლამენტო უმრავლესობას შეხვდა. მოგეხსენებათ, რომ პრეზიდენტმა უკვე მოასწრო და დეპუტატთა ჯგუფთან შეხვედრა ერთგვარ ტრადიციად აქცია. ამ ფაქტმა კანცელარიაში 19 მაისს სტუმრად მყოფ პარლამენტარებს შესაძლებლობა მისცა, დინჯად განეცხადებინათ, რომ ეს იყო "მორიგი" შეხვედრა, თუმცა, "რა თქმა უნდა, იყო საუბარი გია კენჭაძეზეც"...*

ვერიკო თევზაძე

**"არავითარი დისციპლინარული საკითხები არ განხილულა",** - ხელები გაასავსავეს დეპუტატებმა. **"ოფიციალურად მინდა განვაცხადო, რომ პრეზიდენტთან არც ერთი შეხვედრა არ ყოფილა დისციპლინასთან დაკავშირებით,"** - უმრავლესობის ლიდერმა მაია ნადირაძემ თავი დაიზღვია. მისი განმარტებით, ქვეყანაში, სადაც მოვლენები უსწრაფესად ვითარდება, პრეზიდენტი შესანიშნავ ტრადიციას არ ღალატობს და დეპუტატებთან დიალოგს აგრძელებს.

მაია ნადირაძე გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებს იმ ფაქტს, რომ თავისი თანაპარტიელი, ნაციონალების საარჩევნო სიის რიგით 54-ე წევრი კენჭაძე ოდესღაც ნასამართლევი იყო: **"მერე რა, ასლან აბაშიძე რომ არ იყო ნასამართლევი, ან თუნდაც შევარდნაძე?.."** - რიტორიკულ შეკითხვას სვამს უმრავლესობის ლიდერი.

**"ჩვენ არ გვაქვს ისეთი ურთიერთობა პრეზიდენტთან, რომ მითითებებით ვმუშაობდეთ, ჩვენ ვართ დემოკრატები. ერთმანეთს ვუზიარებთ მოსაზრებებს სახელმწიფო განვითარების ძირითად სტრატეგიულ საკითხებთან დაკავშირებით",** - კოლეგა ქალბატონის პოზიცია გაამყარა ბესო ჯუღელმა.

მიხეილ მაჭავარიანმა კონკრეტული მაგალითიც კი დაასახელა იმის საილუსტრაციოდ, გუშინდელი შეხვედრა მხოლოდ კენჭაძეს რომ არ ეძღვნებოდა. **"პირველი საკითხი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსს ეხებოდა. რამდენიმე მიმართულებით იყო მსჯელობა.... იქნება თუ არა ორპალატიანი პარლამენტი, რა უფლებები მიენიჭება ცენტრს და ა. შ. ერთმანეთისგან განსხვავებული პოზიციები გამოხატეს დავით ბერძენიშვილმა და შოთა მალაშხიამ. გარდა ამისა, გამოითქვა სურვილი, შეიქმნას ჯგუფი, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებით იმუშავებს"...**

უმრავლესობის წარმომადგენელი დეპუტატებიც, პრეზიდენტის დარად, აქცენტს ხელისუფლების შეუვალობაზე აკეთებენ (ხელისუფლებისა, რომელიც კანონის დარღვევისთვის თავის თანაგუნდელსაც არ ინდობს), და არა იმ ფაქტზე, რომ თავიანთი გუნდის წევრი, გამოძალვის გამო, მალე თავს ციხეში ამოყოფს....

# კიდევ ერთი ასეული ცხელ გზაზე

სოფო ბუკია

ერაყში გასამგზავრებლად კიდევ ერთი ასეულია მზად. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვაზიანის სამხედრო აეროდრომის ტერიტორიაზე გუშინ ქართველ სამხედროებს სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად სპეციალური წვრთნები ჩაუტარდათ.

სროლები ქალაქში, სროლები ქალაქგარეთ, ჩასაფრებული ტერორისტებისგან თავის დაღწევა, ბრძოლაში ჩართვის წესები - სამშვიდობო ოპერაციების ამ ილეთებს გუშინ ქართველი სამხედროები მთელი დღის განმავლობაში ითვისებდნენ. ყველაზე მეტად სწორედ ეს ილეთები გამოადგება ასეულს, რომელიც დღეს-ხვალ ერაყის ცხელ გზას გაუყვება. სამი კვირის განმავლობაში სამხედროები თეორიულ კურსს ისმენდნენ, გუშინ კი ნასწავლი პრაქტიკაში გამოიყენეს.

ჟურნალისტების თანდასწრებით გათამაშებული სასწავლო სცენარით, გზის პატრულირებაზე გამოსულ ჯარისკაცებს "ტერორისტები" დაესხნენ თავს. სამშვიდობო დანაყოფმა "ტერორისტების" თავდასხმა ფუჭი ტყვიებით წარმატებით მოიგერია და ინსტრუქტორისგან მხოლოდ მცირე შენიშვნები დაიმსახურა.

წვრთნებში საჩხერის მე-16 სამთომსროლელი ბატალიონის 176 სამხედრო მოსამსახურე, კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადის ერთი ოცეული, მე-11 ბრიგადის საინჟინრო ასეულის 18 ჯარისკაცი და ბათუმის 25-ე ბრიგადის 25 ჯარისკაცი მონაწილეობდა.

წვრთნებს ის 46 ქართველი სამხედრო ინსტრუქტორი ხელმძღვანელობდა, რომლებსაც მიმდინარე წლის მარტის თვეში ბრიტანელმა ინსტრუქტორებმა სამშვიდობო და თავდაცვითი ოპერაციებისთვის სპეციალური ორკვირიანი მომზადება ჩაუტარეს. გუშინდელ წვრთნებს თავად ბრიტანელი ინსტრუქტორებიც დაესწრნენ.

უელსის პრინცესის მეორე ბატალიონის კაპიტანი ნეისონ სტარსი ამბობს, რომ ასეული ერაყში სამშვიდობო მისიის შესასრულებლად ერთ კვირაში იქნება მზად.

ბრიტანელი სპეციალისტები საქართველოში კიდევ ოთხი თვე დარჩებიან და სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისთვის "წვრთნისა და აღჭურვის" ქართულ-ამერიკული პროგრამის ფარგლებში მომზადებულ ყველა ბატალიონს გაწვრთნიან.



*გუშინდელ წვრთნებს თავად ბრიტანელი ინსტრუქტორებიც დაესწრნენ.*

ნეისონ სტარსის თქმით, მათ მიერ მომზადებულ "ბიჭებს" ყველგან შეუძლიათ სამშვიდობო მისიის განხორციელება. **"აფხაზეთში? რა თქმა უნდა, ტექნიკურად ეს შესაძლებელია. მათ აფხაზეთშიც შეუძლიათ სამშვიდობო მისიის შესრულება და სხვაგანაც. სად გამოიყენებენ ამ კონტინგენტს - ეს საქართველოს საქმეა, მე მხოლოდ ამ ბიჭების გაწვრთნა მევალება,"** - აცხადებს სტარსი.

აღნიშნული ასეულის წვრთნა კიდევ ერთ კვირას გაგრძელდება, შემდეგ კი მათ ოთხდღიანი სადღეღამისო წვრთნები ელით.

როგორც ჯარისკაცებმა გვითხრეს, ისინი 26 მაისისთვისაც ემზადებიან, საბრძოლო ტექნიკა წესრიგში მოჰყავთ და აღლუმს მოუთმენლად ელიან. **"ძალიან ლამაზი აღლუმი იქნება,"** - გვითხრა ლეიტენანტმა ია კაპანაძემ, რომელიც ცამეტი წლის ვაჟიშვილის დედაა და ბრიტანეთში სამხედრო განათლების მიღებაზე ოცნებობს.

# რეალურია თუ არა მინისტრების სამხედრო შეკრება?

კობა ლიკლიკაძე
*"რადიო თავისუფლება"*

**საქართველოს პრეზიდენტის ახალ ინიციატივას - ზაფხულისთვის სამხედრო შეკრებაზე მამრობითი სქესის მინისტრთა გამოძახების შესახებ - ფართო გამოხმაურება მოჰყვა. გენერალურმა შტაბმა უკვე მიიღო დავალება, მოამზადოს რეზერვისტი მინისტრებისათვის შეკრების ადგილი, რომელიც, კონტინგენტის თავისებურების გათვალისწინებით, თბილისიდან საკმაო მანძილით იქნება დაშორებული.**

სამხედრო სამსახურისადმი საზოგადოების გულგრილი დამოკიდებულების შეცვლაზე ფიქრი მიხეილ სააკაშვილმა "ვარდების რევოლუციის" შემდეგ დაიწყო და მომავალი გეგმები პირველად ქართველ სამხედროებს გაანდო. გასული წლის 10 დეკემბერს ვაზიანის სამხედრო ნაწილში თავის პირმშოსთან ერთად მისულმა სააკაშვილმა პირობა დადო, რომ მისი პრეზიდენტობის დროს არმია საზოგადოების ყველაზე საპატიო ნაწილი გახდებოდა, ხოლო ჯარში სამსახური იქნებოდა უმთავრესი კრიტერიუმი ყველა დონის სახელმწიფო მოხელის სამსახურებრივი წინსვლისათვის.

**"ერთი რამ მინდა ვთქვა: თუ მთავრობაში დაინიშნება რომელიმე ადამიანი, რომლის შვილი არის გაწვევის ასაკის და არ გამოცხადდა გამწვევ პუნქტზე, ეს კაცი უნდა მოიხსნას. ისევე, როგორც საპარლამენტო სიაში ვერ მოხვდება ვერავინ, რომლის შვილი ან ძმა, ვისაც ეკუთვნის გამწვევ პუნქტებში გამოცხადება, არ იმსახურებს,"** - აცხადებდა ქვეყნის მომავალი პრეზიდენტი.

სააკაშვილის ეს განცხადება იმხანად ყველა საინფორმაციო საშუალებამ ერთხმად აიტაცა. მაგრამ 28 მარტის არჩევნების წინ "ნაციონალებისა და დემოკრატების" საპარლამენტო სიის გაფილტვრა ამ კრიტერიუმით არ მომხდარა. შესაძლოა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მაშინ საკანონმდებლო ორგანოში ვერ მოხვდებოდა დღევანდელი საპარლამენტო უმრავლესობის დიდი ნაწილი, მდედრობითი სქესის დეპუტატების გარდა.

ცნობისათვის: თუკი დღევანდელი პოლიტიკური ელიტის რომელიმე წარმომადგენლის ბიოგრაფიაში არსებობს სამხედრო სამსახურის გავლის დამადასტურებელი ჩანაწერი, მეტწილად, ეს უკავშირდება საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს და არა საქართველოს არმიას, რომელსაც, ავად თუ კარგად, დამოუკიდებლობის საკუთარი 13 წლიანი, ისტორია აქვს. იგივე ითქმის, მინისტრთა კაბინეტის მამრობითი სქესის წარმომადგენლებზე, რომლებიც ადრეულ ახალგაზრდობაში საზღვარგარეთ განათლების მიღებით ან პოლიტიკური ბრძოლით იყვნენ დაკავებულნი და ქვეყნის წინაშე სამხედრო ვალის მოხდისთვის ვერ მოიცალეს. მაგრამ სააკაშვილი, რომელსაც წინასაარჩევნო დაპირებებისათვის ხალხი ხვალ პასუხს მოსთხოვს, აღარ აპირებს მინისტრებს, მათი რევოლუციური დამსახურების მიუხედავად, სამხედრო სამსახური კვლავ გადაუვადოს. საქართველოს მთავრობის წევრები, რომელთა უმრავლესობას, სამხედრო ვალდებულების მიუხედავად, თავის დროზე ერთი დღეც კი არ უცხოვრია ჯარისკაცული ცხოვრებით, მორჩილად აცხადებენ, რომ მზად არიან პირნათლად შეასრულონ პრეზიდენტის მითითება.

ქართველი ჟურნალისტების მიერ მინისტრების ბლიცგამოკითხვა ცხადყოფს, რომ ისინი მზად არიან ხალისით იმსახურონ ვაზიანისა და კოჯრის ელიტურ სამხედრო ნაწილებში, ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ მომზადებული ქართველი პროფესიონალების გვერდით. მაგრამ როგორც რადიო "თავისუფლებას" გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა გივი იუკურიძემ უთხრა, მინისტრი რეზერვისტების შეკრების ადგილად სულ სხვა პუნქტი - ქალაქი საჩხერე - განისაზღვრა.

**"ჯერ, ამის თაობაზე ოფიციალური დოკუმენტი არ არსებობს; არის მხოლოდ პრეზიდენტის პირადი მითითება, რომ ამ ხალხმა უნდა გაიაროს შეკრება. ამისათვის მზადდება საჩხერის ბაზა, სადაც არა მარტო ეს, არამედ სხვა შეკრებებიც ჩატარდება,"** განმარტავს გენერალური შტაბის უფროსი.

თანაც, როგორც ირკვევა, მინისტრების შეკრება, გენერალური შტაბის გეგმის თანახმად, არა ზაფხულში, როგორც იყო გამოცხადებული, არამედ შემოდგომაზე, სექტემბრის შემდეგ, ჩატარდება. მანამდე კი საქართველოს სამხედრო ძალებს და მათი ცოცხალი ძალით უზრუნველმყოფ გამწვევ განყოფილებებს მინისტრების სამხედრო შეკრებაზე უფრო სხვა პრობლემა აქვთ სადარდებელი: საქართველოს მასშტაბით მესამე კვირაა მიმდინარეობს ახალი სამხედრო გაწვევის კამპანია. პირველი კვირეების შედეგით სამხედრო ძალებში 500-მდე წვევამდელი ჩაირიცხა. მაგრამ მომავალ ჯარისკაცებს შორის ჯერჯერობით არ ჩანან მინისტრების, გამგებლების, დეპუტატების და "ზეპურის საზოგადოების" სხვა წარმომადგენელთა შვილები, რომელთა სამხედრო ნაწილებში ყოფნა, ბევრად უფრო შეუწყობდა ხელს არმიისადმი საზოგადოების ნდობის აღდგენას, ვიდრე მათი მამების ორკვირიანი პროპაგანდისტული სამხედრო შეკრებები ელიტურ ქვედანაყოფებში.

# "ბოლომდე ვიბრძოლებ"

პირველი გვერდიდან

"ორი თვის მანძილზე უკრაინასა და რუსეთში რამდენიმე პარტნიორი მოვსინჯეთ. ასევე ზედაპირული მოლაპარაკებები გაიმართა ინგლისურ და გერმანულ ცნობილ კომპანიებთან. დასკვნა ასეთია, ჩვენთან თანამშრომლობა და ნორმალურ რეჟიმში მუშაობა ყველას უნდა. ჩემი მოვალეობაა, ყველა მათგანს შევთავაზო პარტნიორული ურთიერთობების დამყარება," - განაცხადა ბენო ქაშაკაშვილმა გუშინ გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე, რომელსაც საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოსა და სპეციალური სახელმწიფო კომისიის წარმომადგენლები, ასევე ქარხნის ასამდე მუშა-მოსამსახურე ესწრებოდა.

ბოლო მონაცემებით, რუსთავის მეტალურგიული კომბინატის 92% შპს "რუსთავი არეს მეტალურგიული კომბინატის", ანუ იტალიელების განკარგულებაშია და ის 75 მილიონ დოლარად არის შეფასებული; სააქციო საზოგადოება "რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს" მთელი ქონების 1% და 126 მილიონი დოლარიანი ვალი ერგო; ქარხნის ქონების დანარჩენი 7% კი სხვა იურიდიულ პირებზეა გასხვისებული. მეტალურგიული კომბინატის 38 სხვადასხვა საამქროდან 27 "რუსი-იტალიელების" მიერ იქნა მითვისებული. სააქციო საზოგადოება "რმკ"-ს კი მეტალურგების კულტურის სასახლე და ნახშირების კარიერიღა დარჩა, რომელიც ტყვარჩელში მდებარეობს. ამგვარი სავალალო ფონის მიუხედავად საწარმოს რეაბილიტაციის მმართველი დათმობას არ აპირებს:

- "არესს" იგივე "რუს-იტალიელებს" სურთ, რომ მათ ნაცვლად ქარხანაში ინვესტორად სხვა კომპანია "მეტალ ჯეო" შემოვიდეს. ამის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ არ დავუშვებთ, რომ ვიღაცამ მილნამზადი შემოიტანოს და შემდეგ ამას ინვესტიცია დაარქვას. დღეს ჩვენ მათ ყოველთვიურად არენდის სახით 50 ათას ლარს ვუხდით, როცა პირიქით უნდა ხდებოდეს. ჩვენ მათ ხარკს არ უნდა ვუხდიდეთ... სწორედ ამიტომ მაქვს სურვილი, რომ ქარხანაში კონკურენტუნარიანი გარემო შეიქმნას. ვერავინ დამიშლის, შემოვიტანო მილნამზადი და პროდუქცია შევქმნა," - აცხადებს რეაბილიტაციის მმართველი. მისი თქმით, "რუსმა-იტალიელებმა" იურიდიული დარღვევებით გადაიფორმეს ქარხნის ქონება, არ შეასრულეს რეაბილიტაციის გეგმა და არც რაიმე კომპრომისზე წასვლა ისურვეს.

მეტალურგიული კომბინატის პრობლემების შემსწავლელი სპეციალური სახელმწიფო კომისიის (მისი თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანიაა) იურისტი ვახტანგ გაგნიძე ადასტურებს, რომ "რუსთავი მილის" შექმნა და შემდეგ მისი 98%-იანი წილის დათმობა იტალიელებისთვის კანონის სრული უგულებელყოფით მოხდა. ის იტალიელებს "ეგრეთ წოდებულ ინვესტორებს" უწოდებს.

"ამას ორი სიტყვით იურიდიული ნონსენსი ჰქვია. აღნიშნული ქონება მათ 4-ჯერ გაასხვისეს და სახელმწიფო ბაჟი არც ერთხელ არ გადაუხდიათ; უფრო მეტიც, 98%-იანი წილი შეიძინა ადამიანმა, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ წილის შესყიდვის უფლებამოსილება აქვს და რეაბილიტაციის განხორციელებაზე პასუხისმგებლობას არ აღიარებს; "რამკ"-ის დირექტორთა საჭოს თავმჯდომარედ და იტალიელების წარმომადგენლად ცნობილ პიროვნებას - ალექსანდრე სერიოგინს არ გააჩნია წარმომადგენლობის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი; მათ ქარხანაში არც ერთი თეთრი ინვესტიცია არ ჩაუდიათ და ცდილობენ ინვესტორობა დაიბრალონ - იურიდიულად ეს გაუმართლებელია; რეაბილიტაციის პროგრამით მათ პირველ წელიწადს 21 მილიონი დოლარის ინვესტიცია უნდა განეხორციელებინათ. ეს პირობა ნაწილობრივ მაინც რომ შესრულებულიყო, არავის ექნებოდა იურიდიული ან თუნდაც მორალური უფლება მათთვის ხელი შეეშალა," - ასეთია იმ არგუმენტების ნაწილი, რომელთაც სახელმწიფო კომისიის სახელით ვახტანგ გაგნიძე ასახელებს.

"24 საათი" ალექსანდრე სერიოგინს დაუკავშირდა და მისი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის ჩვენება სთხოვა. სერიოგინს ეს საბუთი არ აღმოაჩნდა. მისი თქმით, მას ჰქონდა იტალიიდან გამოგზავნილი "ფაქსი", რომელიც თურმე სახელმწიფო კომისიას გაუგზავნა და თავისთვის ასლიც კი არ დაიტოვა. "ახლა მზად არ ვიყავი ამისთვის და ხვალ მოგცემთ," - ასეთი იყო სერიოგინის პასუხი.

საგულისხმო დეტალი - სერიოგინი არ უარყოფს, რომ ქარხნის ქონების მათთვის დათმობის დროს კანონდარღვევები მოხდა, თუმცა ამაში ის ქართულ მხარეს ადანაშაულებს.

"ჩვენს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში არის ასეთი ბწკარედი - ქართული მხარე ვალდებულია, შეთანხმების იურიდიული მხარის ქართულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა უზრუნველყოს. ასე რომ, თუ რაიმე დარღვევა მოხდა, ამაში ჩვენ დამნაშავენი არ ვართ," - აცხადებს სერიოგინი. მისი ტონი აღარ არის კატეგორიული - ამბობს, რომ არ უნდა საქართველოს ხელისუფლებასთან ჩხუბი და კონფლიქტის კიდევ უფრო გამწვავება, იმეორებს, რომ მათ ხელს "გარკვეული პოლიტიკური ძალები" უშლიან. კონკრეტული პირების დასახელებას ის თავს არიდებს და ამბობს: "საქართველოში გვარების დასახელება განა შეიძლება?!"

"რუსი-იტალიელების" დარჩენა-არდარჩენის საკითხს უზენაესი სასამართლო გადაწყვეტს, თუმცა არც მანამდე და არც მას შემდეგ ქარხნის რეაბილიტაციის მმართველი პასიურ ფიგურად ყოფნას არ აპირებს.

"საქართველოს ახალი ხელისუფლება აბსოლუტური გამჭვირვალეობის პრინციპით მუშაობს და ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების იმედი არავის უნდა ჰქონდეს. მე პასუხისმგებელი ვარ იმ ქონებაზე, რომელიც ჩავიბარე და ბოლომდე ვიბრძოლებ," - აცხადებს ბენო ქაშაკაშვილი.

# რას გამოიწვევს ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდა?

*მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდა 7 მაისიდან დაიწყო და მთელ მსოფლიოში თანმდევი პროცესები გამოიწვია. ბენზინი და დიზელი საქართველოშიც გაძვირდა და ძველ ფასებს, საშუალოდ, 10-15 თეთრით გაუსწრო. აღნიშნული პროცესების გამომწვევ მიზეზებზე "24 საათი" უკვე წერდა. მხოლოდ შეგახსენებთ, რომ, სპეციალისტების ვარაუდით, ფასების შემცირება, ჯერჯერობით, მოსალოდნელი არ არის.*

ნინო ნარჩემაშვილი

საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირი კვლავ შეშფოთებას გამოთქვამს მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების ზრდასთან დაკავშირებით და ვარაუდობს, რომ საქართველოში ბენზინზე ფასები ისევ მოიმატებს. კავშირის თავმჯდომარის ვანო მთვრალაშვილის განცხადებით, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების მომატება ადეკვატურად არ არის ასახული საქართველოში მოქმედ ფასებთან, ანუ ისინი გაცილებით დაბალია. ეს კი ქართველი იმპორტიორების ხარჯზე ხდება, რომლებიც ამ შემთხვევაში საკითხისადმი ე.წ. სახელმწიფოებრივ მიდგომას აფიქსირებენ და, ჯერჯერობით, უარს ამბობენ საკუთარ მოგებაზე.

მისივე თქმით, ეს პროცესი დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს, რადგან ნავთობპროდუქტების იმპორტიორებისთვის, რომლებიც კერძო კომპანიებს წარმოადგენენ, შეუძლებელია მოგების გარეშე მუშაობა. აღსანიშნავია, რომ შექმნილ ვითარებაში დიდია ალბათობა ქვეყანაში როგორც კონტრაბანდული, ასევე უხარისხო ბენზინის შემოდინებისა.

ახლა კი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია - ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირში აცხადებენ, რომ ნავთობპროდუქტების გაძვირება შესაბამისად გამოიწვევს ფასების ზრდას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, შიდა გადაზიდვებისა და საქალაქო ტრანსპორტზე.

რაც შეეხებათ თავად იმპორტიორებს, მათი პოზიცია ასეთია - მსოფლიო ბაზარზე გაზრდილი "პლაცი" სარეალიზაციო ფასის პირდაპირპროპორციულია და შეუძლებელია პროდუქცია იმ ფასში არ გაყიდო, რა ფასშიც ყიდულობ. დღეისათვის საქართველოში შექმნილია ისეთი ვითარება, როცა ბენზინი თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად იყიდება, რაც კერძო კომპანიებისთვის დამღუპველია. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი კი, როგორც საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირში აცხადებენ, ერთია - პრობლემა სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს. ნავთობპროდუქტების იმპორტზე უნდა შემცირდეს როგორც აქციზი, ასევე სხვა სახის გადასახადები, გამარტივდეს საბაჟო პროცედურები. კავშირმა შესაბამისი წინადადებები და დოკუმენტაცია უკვე წარუდგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და დღეს აღნიშნული საკითხების განხილვის მიზნით ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის წევრები ფინანსთა მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს შეხვდებიან.



ქართველი იმპორტიორები შეშფოთებულნი არიან.

მარიკა [illegible] ფოტო

# აჭარის ეკონომიკა რამდენიმე წლის შემდეგ

პირველი გვერდიდან

"აჭარის ეკონომიკური პოტენციალი და რეგიონის საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში რეინტეგრაციის გეგმა" - ასე ჰქვია იმ პროგრამას, რომლის შედგენაში მინისტრთა კაბინეტის თითქმის მთელი შემადგენლობა ღებულობდა მონაწილეობას. ინვესტიციები, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ტურიზმი, ტრანსპორტი და კომუნიკაციები - ეს კი ის პრიორიტეტებია, რომელსაც ხსენებულ პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი უკავია და რაზედაც ბათუმში შეკრებილი მინისტრები გუშინ ხაზგასმით საუბრობდნენ.

## ინვესტიციები

აჭარაში უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოსაზიდად მთავრობა სერიოზული ქმედითი ღონისძიებების გატარებას გეგმავს. რეგიონში საერთო სტაბილურობის უზრუნველყოფისა და კრიმინოგენული ვითარების მოწესრიგების გარდა, უახლოეს დღეებში აჭარაში ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ფილიალი შეიქმნება.

მთავრობა პირობას დებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალური ხელშეწყობა ექნება რეგიონში არსებულ იმ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, რომლებიც ინდივიდუალურ და ჯგუფურ სესხებს გასცემენ. ყოველივე ამის პარალელურად, მთავრობა რეგიონში კორუფციისა და ადმინისტრაციული ბარიერების აღმოფხვრას, გადასახადების საერთო დონის შემცირებას გეგმავს... რეგიონში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, მინისტრთა კაბინეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბათუმის პორტის ინფრასტრუქტურის განვითარებას და გაუმჯობესებას, ასევე საბორნე მისადგომის, საბაჟო საწყობების და ტერმინალების განვითარებას.

რაც შეეხება საზღვაო-სანაოსნოს განვითარებას, მთავრობის ეკონომიკური გუნდი შემდეგს გულისხმობს: საზღვაო სანაოსნოზე ყადაღის მოხსნა, გამოუყენებელი შენობა-ნაგებობების რეალიზება და მიღებული თანხებით ხომალდების შეძენა, სახელმწიფო ინვესტიციების ჩადება გემების მშენებლობის ან შეძენის თვალსაზრისით. საზღვაო სანაოსნოში ინვესტიციების განხორციელება და მისი განვითარების საკითხი განხილულ უნდა იქნეს კომპლექსში თევზსაჭერ ფლოტსა და თევზის გადამამუშავებელ მრეწველობასთან ერთად.

## მრეწველობა

ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს შეფასებით, წლების მანძილზე აჭარაში სამეწარმეო აქტივობა ძალიან დაბალი იყო, რომლის ძირითად მიზეზად რეგიონში განუხორციელებელ პრივატიზაციას ასახელებენ. დღეიდან, სამრეწველო ობიექტების პრივატიზაციის პარალელურად, მთელ რიგ სახელმწიფო საწარმოებში მთავრობა სერიოზული სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას გეგმავს. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, სს ტრანსფორმატორი და ელექტროხელსაწყო, ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა, სს კაუჩუკი, სს ქიმიკოსი, სს სააბეჯო ბამბუკის ფაბრიკა, ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა, ბათუმის გემთმშენებელი ქარხანა და ბათუმის ტყავის ქარხანა - ეს ის პრიორიტეტული საწარმოებია, რომელთა განვითარებისა და სრული დატვირთით ასამუშავებლად მთავრობამ გუშინ მხარდაჭერა და მზადყოფნა გამოხატა. რეგიონში სამრეწველო დარგის ასაღორძინებლად არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ციტრუსების, თამბაქოს, ჩაისა და თევზის გადამუშავებას.

რაც შეეხება ბათუმის პორტს, ის გუშინ პრემიერ-მინისტრის გამოსვლის დროს განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა. ჟვანიას განცხადებით, მალე პორტი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გადაკეთდება.

სხვათა შორის, მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პორტის განვითარების 3 ვარიანტი იყო წარდგენილი: საქართველოში არსებული, ფოთისა და ბათუმის პორტების ერთიან ადმინისტრირებას დაქვემდებარება; ბათუმისა და ფოთის პორტების დამოუკიდებლად განვითარება და მათ შორის კონკურენციის გაჩაღება და პორტების პრივატიზაცია. თუ რომელი გეგმის მიხედვით მოხდება ბათუმის პორტის განვითარება, გუშინდელ შეკრებაზე არ გადაწყვეტილა. ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრის თამარ სულუხიას ინფორმაციით ბათუმის პორტის განვითარების საბოლოო კონცეფცია 1 აგვისტოსთვის ჩამოყალიბდება.

## ენერგეტიკა

**რეგიონის ენერგოუზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, მთავრობა შემდეგი ღონისძიებების გატარებას გეგმავს: აჭარის ტერიტორიაზე მოქმედი ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაცია და საპროექტო სიმძლავრეებზე გასვლა (მაჭახელაჰესი, კინკიშაჰესი, აჭჰესი); 500 კვტ-მდე სიმძლავრის მცირე ჰესების მშენებლობის მხარდაჭერა, ხულოს რაიონში 5 მგვტ სიმძლავრის ჰესის მშენებლობისათვის ინვესტორის მოძიებაში დახმარების გაწევა; ბუნებრივ აირზე მომუშავე 60 მეგავატი სიმძლავრის თბოელექტროსადგურების მშენებლობის დამთავრება (ქობულეთი); რეგიონის ელექტროქსელების რეაბილიტაცია და აღრიცხვის სისტემის დანერგვის პროგრამის დასრულება; ელექტროქვესადგურ ბათუმი-2 რეაბილიტაციის სამუშაოთა შესრულება; რეგიონის სრული გაზიფიკაციის სამუშაოთა დაჩქარება; ბათუმის წყალმომარაგების რეკონსტრუქციის პროგრამის დასრულება; თურქეთის ტერიტორიაზე მდ. ჭოროხზე ჰესების კასკადის მშენებლობასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის ნაპირდაცვის ღონისძიებათა გაძლიერება.**

## სოფლის მეურნეობა

სერიოზული რეფორმების გატარება იგეგმება სოფლის მეურნეობაშიც. მთავრობა რეგიონში იმ დარგების აღორძინებას აპირებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პრაქტიკულად, დავიწყებული იყო. მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეთამბაქოეობა, მეცხოველეობა, მეთევზეობა და მემცენარეობა - ეკონომიკური პროგრამის მიხედვით, სოფლის მეურნეობის ამ დარგებში განსაკუთრებული ცვლილებებია მოსალოდნელი. პროგრამის ამ ნაწილში ყველაზე მეტად საყურადღებოა ერთი დეტალი: მთიან აჭარაში მაღალი ხარისხის თამბაქოს წარმოების მიზნით, სპეციალური სახელმწიფო პროგრამების შემუშავება იგეგმება. იმ შემთხვევაში, თუკი მთავრობის ოცნება ახდა და სეზონზე აჭარაში მაღალხარისხოვნი თამბაქოს ნედლეული მოვა, იმპორტირებული თამბაქოს ნედლეულის დაბეგვრის ნულოვანი რეჟიმი გაუქმდება.

საინტერესოა მინისტრთა კაბინეტის კიდევ ერთი წინადადება, რომელიც აჭარაში ტყის საფარი ზოლის დაცვას ეხება. ამ მიმართულებით აჭარლების ალტერნატიული საწვავით შეღავათიან ფასებში მომარაგება იგეგმება.

## ტრანსპორტი და კომუნიკაციები

ამ დარგის განვითარების პირველ ეტაპზე, მთავრობის გადაწყვეტილებით, აჭარაში შეიქმნება საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებული ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი, შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფებით. შემდგომ ეტაპზე იგეგმება აჭარის კავშირგაბმულობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ელექტროკავშირისა და ფოსტის რეგიონული კვანძების გაყოფა და მათი დამოუკიდებელ ერთეულებად ჩამოყალიბება. მთავრობის გადაწყვეტილებით, ბათუმის საზღვაო ნავსადგური და აეროპორტი მუნიციპალური დაქვემდებარებიდან გამოვა და, 100-პროცენტიანი სახელმწიფო წილით, სახელმწიფოსთვის მისაღებ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნდება. მთავრობის უახლოეს გეგმებში შედის რკინიგზით ტვირთზიდვის მოქმედი ტარიფების გადახედვა ოპტიმალური ტარიფების შემოღების მიზნით, ბათუმის რკინიგზის ვაგზლის მშენებლობის საკითხის უსწრაფეს დროში გადაწყვეტა და ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის აჭარის მონაკვეთზე არსებული გზებისა და ხიდების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა.

## ტურიზმი

რეგიონში ტურიზმის აყვავება უახლოეს პერიოდში საკურორტო ობიექტების პრივატიზაციით დაიწყება. მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით, ხსენებული ობიექტების განსახელმწიფოებრიობის პროცესი უმოკლეს ვადებში უნდა დასრულდეს. მთავრობა მიიჩნევს, რომ პირველ რიგში საჭიროა ბათუმის სასტუმრო "ინტურისტის", ქობულეთის სასტუმრო

# "თბილისელი" ბიზნესმენები - ბათუმში

## ნაცნობი სახეები - უჩვეული გარემოში

*ცენტრსა და რეგიონს შორის შეუსრულებელი საშუამავლო მისიისა და ვარდობის თვის რევოლუციის შემდეგ გუშინ ბათუმში "აჭარისმიღმელ" ქართველ ბიზნესმენთა მასობრივი სვლა პირველად მოეწყო. სტუმრებს შორის "წამყვან პარტიას" გადასახადის გადამხდელთა კავშირის ახლად არჩეული თავმჯდომარე ბადრი პატარკაციშვილი "ასრულებდა", თანმხლები დელეგაცია კი ხელმძღვანელშეცვლილი გადამხდელთა კავშირის ძველი, შევარდნაძის ეპოქის საქართველოში ყველასათვის კარგად ნაცნობი ბიზნეს-სახეებისგან შედგებოდა.*

თამარ ხორბალაძე

დელეგაცია ბათუმში პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას უშუალო მიპატიჟებით ჩავიდა; იქვე გაცვალეს ურთიერთკომპლიმენტები - ბადრი პატარკაციშვილმა ზურაბ ჟვანიას გადაუხადა მადლობა:

**"მინდა მადლობა გადავუხადო მთავრობას, რომელმაც გადაწყვიტა, ქართველ ბიზნესმენებს უფრო ადრე შეხვედროდა, ვიდრე რუსეთიდან მოწვეულებს. ეს ჩემთვის ძალიან ნიშანდობლივია..."**

ზურაბ ჟვანიამ ქართულ ბიზნესს გაუკეთა რევერანსი:

**"მე მივესალმები ნებისმიერ ქართულ ინვესტიციას, რომელიც ამ ზოლში ჩაიდება..."**

(საუბარი გახლდათ იმაზე, რომ შეიქმნება შავიზღვისპირა სანაპირო ზოლის განვითარების გეგმა, სადაც გაიწერება, თუ სად იქნება ინდუსტრირებული განვითარება და სად იქნება დაცული ზონები).

თბილისელმა ბიზნესმენებმა აჭარაში განსახორციელებელ ბიზნეს-გეგმებზეც საკმაოდ დაწვრილებით ისაუბრეს:

მთავარი, რაც ქართველ საზოგადოებას უნდა ვახაროთ, ის გახლავთ, რომ ბათუმის ძაღლთსაშენს განადგურება არ ემუქრება და ძაღლების პატრონობას თავად ბადრი პატარკაციშვილი იკისრებს, ისევე, როგორც აჭარაში დამსვენებელთა ჩასასვლელად ხელსაყრელი გარემოს შექმნას.

შედარებით მოკრძალებული გეგმები აქვთ სხვა ბიზნესმენებს:

როგორც ჟურნალისტებს "თიბი-სი ჯგუფის" ხელმძღვანელმა მამუკა ხაზარაძემ განუცხადა, **"თი-ბი-სი ბანკი" ივნისიდან ბათუმში ფილიალის გახსნას გეგმავს, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებას დაიწყებს".**

ბათუმში საკუთარ ფილიალს ხსნის ასევე "გაერთიანებული ქართული ბანკი". როგორც ჟურნალისტებს "გქბ"-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ზაზა სიორიძემ განუცხადა, **"ბანკს განზრახული აქვს აჭარაში სერიოზული ინვესტიციების ამოქმედება და მიკროკრედიტების პროგრამის განხორციელება".**

**"აჭარა იმდენად მიმზიდველი რეგიონია ინვესტიციების ჩასადებად, რომ არც ერთი ქართველი ბიზნესმენი იქ მიმდინარე პროცესებში მონაწილეობაზე უარს არ იტყვის, მით უფრო, რომ რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში მონაწილეობა ქვეყნის წინაშე ნებისმიერის ვალია",** - განაცხადა კომპანია "ყაზბეგის" პრეზიდენტმა, პოლიტიკური მოძრაობა "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ლიდერმა გოგი თოფაძემ. მან აღნიშნა, რომ კომპანია "ყაზბეგი" აჭარაში სოლიდური ინვესტიციის ჩადებას აპირებს და ეს ინვესტიცია მრავალმხრივი იქნება. გოგი თოფაძე ამ დღეებში რუსეთიდან ჩამოსულ ბიზნესმენთა ერთ-ერთ ჯგუფსაც შეხვდა. გამორიცხული არაა, რომ აჭარაში მან ერთობლივი ბიზნეს-პროექტიც განახორციელოს.

თბილისელ ბიზნესმენებს უფრო კონკრეტულად არ უსაუბრიათ.

აჭარაში გავრცელებულ ეჭვს, რომ ხელისუფლება "ცენტრში ფეხმოკიდებული" ბიზნესმენებით ადგილობრივი ბიზნესმენების "ჩანაცვლებას" აპირებს, ისევ და ისევ გადასახადის გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარე ბადრი პატარკაციშვილი გამოეხმაურა, რომელმაც, ძაღლთსაშენის შენარჩუნების გარდა, აჭარელ ბიზნესმენთა დაცვაც იკისრა:

**"აჭარელი ბიზნესმენების ინტერესები სრულად უნდა იქნეს დაცული და ამაში გადამხდელთა კავშირიც მიიღებს მონაწილეობას,"** - აღნიშნა ბადრი პატარკაციშვილმა. გარდა ამისა, მისი თქმით, **"არც ერთ ბიზნესმენს, რომელსაც უფრო მეტი მატერიალური საშუალება გააჩნია, მცირე ბიზნესმენების დაჩაგვრის საშუალება არ მიეცემა".**

თავად პრემიერ-მინისტრმა კი სტუმრებს ადგილობრივებისთვის სპეციალური კრედიტების გამოყოფა სთხოვა, რათა **"მოსახლეობამ შეძლოს საკურორტო სეზონისთვის მომზადება".**

# ევრობანკი საქართველოში ინვესტიციებს აბანდებს

*ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (ერგბ) პრეზიდენტი ჟან ლემიერი საქართველოს ორდღიანი ვიზიტით ეწვია. ვიზიტის მიზანია კავკასიის ქვეყნებთან თანამშრომლობის გეგმების დასახვა, ახალი ინიციატივებისა და ინვესტიციების განხორციელება.*

სოფიკო ოხანაშვილი

ჟან ლემიერი საქართველოს 19 მაისს ეწვია. მისი ვიზიტის ფარგლებში პირველი ღონისძიება სასტუმრო "მარიოტში" თბილუნივერსალბანკის აქციების შესყიდვის ხელშეკრულებაზე საზეიმო ვითარებაში ხელმოწერა იყო. ერთწლიანი თანამშრომლობის შემდეგ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა თბილუნივერსალბანკის აქციების 20 პროცენტი იყიდა.

ევრობანკსა და თბილუნივერსალბანკს შორის გაფორმებული რიგით მეოთხე კონტრაქტის დიდი მნიშვნელობა ხაზგასმით აღნიშნა თბილუნივერსალბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ტარიელ გვალიამ. მისი განცხადებით, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის აქციონერობა თბილუნივერსალბანკისთვის დიდი პატივია და დამატებით რესურსებსაც ნიშნავს. **"გაიხსნება ახალი საკრედიტო ხაზები არა მარტო ერგბ-დან, არამედ სხვა ბანკებიც გამოთქვამენ ჩვენთან თანამშრომლობის სურვილს. ერთი სიტყვით, ევრობანკის აქციონერობა ეს არის დასავლური პრინციპებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი",** - განაცხადა "24 საათთან" საუბარში გვალიამ.

თბილუნივერსალბანკთან გაფორმებული ხეშეკრულების მნიშვნელობაზე ისაუბრა ჟან ლემიერმაც. მისი განმარტებით, საქართველოში საბანკო საქმე წინა წლებთან შედარებით სერიოზულ პროგრესს განიცდის, რაც, პირველ რიგში, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელის ირაკლი მანაგაძის დამსახურებად მონათლა. **"ეს ძალიან მნიშვნელოვანი ხელშეკრულებაა. მერწმუნეთ, ადვილი არ არის, ევროპაში ვინმე დაარწმუნო, რომ რომელიმე ბანკის აქციები იყიდოს. თბილუნივერსალბანკი ნამდვილად კარგი ბანკია",** - საზეიმო გამოსვლაში აღნიშნა ლემიერმა.

შეგახსენებთ, რომ დაახლოებით ერთი წლის წინ ერგბ-მა თბილუნივერსალბანკს 1,5 მილიონ დოლარიანი ხუთწლიანი კონვენტირებული საკრედიტო ხაზი გამოუყო, რაც სარგებლის 4,5 პროცენტის გადახდას ითვალისწინებდა.

ამ თანხის ფარგლებში, თბილუნივერსალბანკის აქციათა 20 პროცენტის შესყიდვის გარდა, დაგეგმილი იყო მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის განხორციელებაც.

ცნობისთვის, დღემდე თბილუნივერსალბანკისთვის ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკს სამი საკრედიტო ხაზი აქვს გამოყოფილი. პირველი კრედიტი, რომლის ოდენობაც ერთ მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან



ჟან ლემიერის განმარტებით, საქართველოში საბანკო საქმე პროგრესს განიცდის.

იური მეჩითოვის ფოტო

თბილუნივერსალბანკმა 1997 წელს მიიღო. მაშინ ხელშეკრულებაში სამთავრობო გარანტიაც ჩაიდო, მომდევნო 500 ათასი დოლარის ოდენობის საკრედიტო ხაზი თბილუნივერსალბანკმა 2000 წელს მიიღო.

თბილუნივერსალბანკის აქციების შესყიდვის შემდეგ თბილუნივერსალბანკის აქციონერი ევრობანკის პრეზიდენტი ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, მთავრობის წარმომადგენლებს, ბიზნესწრეების ლიდერებს და საქართველოში მოღვაწე საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლებს შეხვდა. საუბრისას განსაკუთრებული ყურადღება კორუფციასთან ბრძოლის მნიშვნელობასა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე გამახვილდა.

ლემიერის განცხადებით, ევრობანკის მიზანი იქნება განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება კერძო სექტორში; კერძოდ, მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში; ევრობანკი მცირე პროექტებს ინფრატრუქტურის სფეროშიც დააფინანსებს (განახლებადი ენერგია). ოფიციალური შეხვედრების დეტალები ჟურნალისტებისათვის უცნობი დარჩა. ამის შესახებ მელიერმა მასმედიის წარმომადგენლები ჯერ კიდევ "მარიოტში" გამართულ საზეიმო შეკრებაზე გააფრთხილა. **"საქართველოსთან დაკავშირებით იდეები ძალიან ბევრია, მაგრამ სამოქმედო გეგმებზე ახლა არაფერს ვიტყვი, რადგან ხვალ პრესკონფერენციაზე ცუდი დასწრება იქნება",** - განაცხადა ლემიერმა. გუშინდელ შეხვედრებთან დაკავშირებით ევრობანკის პრეზიდენტი დღეს საგანგებო პრესკონფერენციას გამართავს და ჟურნალისტებს მომავალი თანამშრომლობის დეტალებზე ესაუბრება.

ცნობისთვის, საქართველოში ვიზიტისას ლემიერი ხელს მოაწერს კიდევ ერთ ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც, ევრობანკი სს "თელიანი ველის" კაპიტალში 1.2 მილიონ აშშ დოლარს აბანდებს. ამ ინვესტიციის მიზანი კი კომპანიის საწარმო სიმძლავრეების გაზრდა, მარკეტინგული სტრატეგიის გაუმჯობესება, ღვინის არსებული ხარისხის გაუმჯობესება და უმაღლესი ხარისხის ღვინის გაყიდვების ზრდაა.

ლემიერის კავკასიაში ვიზიტი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ახალ ინიციატივას - "ღარიბი ქვეყნების დახმარების პროექტს" უკავშირდება. ამ პროექტში სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ყირგიზეთი, მოლდოვა, ტაჯიკეთი და უზბეკეთია გაერთიანებული. ევრობანკის პრეზიდენტი კავკასიაში 18 მაისს ჩამოვიდა და პირველად სომხეთს ესტუმრა. ვიზიტის მთავარი მიზანი მთავრობის პირველ პირებთან შეხვედრა და კავკასიაში ევრობანკის მუშაობის მომავალ გეგმებსა და ახალ ინიციატივებზე საუბარი იყო. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ სამხრეთ კავკასიაში ინფრასტრუქტურის, საბანკო საქმის, ენერგეტიკის და მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროებში ინვესტირებულია 700 მილიონი ევრო.

"ს/ს თელასის"
განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

22 მაისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:
ცოტნე დადიანის(ნაწილობრივ), ზესტაფონის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# უკრაინის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია ჩიხში მოექცა

პირველი გვერდიდან

ჩალიჯმა უკრაინის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ელჩის ანტონ ბუტეიკოს მიბაძა, რომელმაც სამსახურს პროტესტის ნიშნად დაანება თავი. მისი აღშფოთება დსთ-ს ერთიან ეკონომიკურ სივრცესთან კიევის აშკარა დაახლოებამ გამოიწვია. 2003 წლის სექტემბერში საგარეო საქმეთა, იუსტიციის, ეკონომიკისა და ევროპული ინტეგრაციის სამინისტროებმა დსთ-ს ერთიან ეკონომიკურ სივრცეში გაწევრიანების გამო ერთხმად გამოხატეს პროტესტი. იანვარში კი ეკონომიკისა და ევროპული ინტეგრაციის მინისტრი ვალერი ხოროშოვსკი გადადგა.

უკრაინის საგარეო პოლიტიკურ ისტებლიშმენტში დსთ-ს სტრუქტურებში ინტეგრაციის გამო დაწყებული განხეთქილება უკრაინის საზოგადოებაში ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ სკეპტიციზმის ზრდას დაემთხვა. პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა აგრძელებს ბრიუსელში დიპლომატიური "სიგნალების" გაგზავნას იმის შესახებ, რომ უკრაინას ევროკავშირში გაწევრიანება სურს. პრეზიდენტმა კუჩმამ და პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ იანუკოვიჩმა ე.წ. "კონსტრუქციული ევრო-ინტეგრაციის" იდეა წამოაყენეს, რაც ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანების ხანგრძლივ პროცესს გულისხმობს. მათ უარი თქვეს ამ ორგანიზაციებში ერთბაშად გაწევრიანების მოთხოვნაზე. ეს, ფაქტობრივად, პრეზიდენტ კუჩმას წინა პროგრამის უარყოფას ნიშნავს. 2002 წლის მაისში კუჩმამ გამოაქვეყნა "ევროპული არჩევანის" პროგრამა, რომელიც უკრაინის განვითარების სამ ეტაპს გამოყოფდა, რაც 2011 წელს ევროკავშირში გაწევრიანებით უნდა დაგვირგვინებულიყო.

"კონსტრუქციული ევრო-ინტეგრაცია" ბუნდოვან მინიშნებებს აკეთებს შიდა რეფორმების გატარებაზე, რომლის დროსაც "გათვალისწინებული იქნება ის რისკები და საფრთხეები, რომელიც ნაჩქარევ ევრო-ინტეგრაციას ახლავს თან".

თავდაცვის მინისტრმა იევენ მარჩუკმა მხარი დაუჭირა ამ პოზიციას და განაცხადა, რომ უკრაინის გაწევრიანება ნატო-ში 2015 წლამდე შეუძლებელია. იგივე მარჩუკი შარშან ამტკიცებდა, რომ გაწევრიანება შესაძლებელი იქნებოდა 2010 წელს. თავდაცვის მინისტრის ბოლო განცხადებას კვერი დაუკრა გენერალ-ლეიტენანტმა იაროსლავ სკალკომ, უკრაინის საჰაერო ძალების სარდალმა, რომელმაც მაისში აღნიშნა, რომ "ნატო-ში გაწევრიანება არ უნდა ვიჩქაროთ".

იანუკოვიჩმა კიდევ უფრო გაართულა ეს საკითხი და განაცხადა, რომ მნიშვნელობა არ აქვს, უკრაინა ევროკავშირის წევრი იქნება თუ არა. მისი თქმით, ქვეყნის სტრატეგიული მიზანია "უკრაინელთა ცხოვრების დონის ევროპულ სტანდარტებთან გათანაბრება". ოპოზიციური გაერთიანება "ჩვენი უკრაინა" კი ამტიცებს, რომ ცხოვრების დონის გაზრდა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ უკრაინა ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირდება და არა დსთ-ს ერთიან ეკონომიკურ სივრცეში.


ლეონიდ კუჩმამ ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას დსთ ამჯობინა.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირით უკრაინელთა იმედგაცრუებას თავად ბრიუსელის პოზიციაც აძლიერებს. ამერიკული ანალიტიკური ცენტრები რუსეთისა და უკრაინის ეკონომიკური ტრანსფორმაციის დონეს ერთ დონეზე აფასებენ. ამის მიუხედავად, ევროკავშირმა "საბაზრო ეკონომიკის სტატუსი" მხოლოდ რუსეთს მიანიჭა 2002 წელს, რაც, დიდწილად, ტერორიზმის წინააღმდეგ ომში რუსეთის მონაწილეობამ განაპირობა. გასულ კვირას, ბრიუსელში იანუკოვიჩს განუცხადეს, რომ უკრაინა ამ სტატუსს ვერც ამჟამინდელ, ევროკავშირ-უკრაინის საბჭოზე მოიპოვებს.

უკრაინის დისტანცირების თვალსაზრისით, ევროკომისიის პრეზიდენტმა რომანო პროდიმაც თავისი წვლილი შეიტანა, როდესაც განაცხადა, რომ უკრაინა არასოდეს შეუერთდება ევროკავშირს. ისევე, როგორც "საბაზრო ეკონომიკის სტატუსის" შემთხვევაში, კიევი ორმაგ სტანდარტებზე ამახვილებს ყურადღებას. პროდიმ "ფაინენშლ თაიმსთან" ინტერვიუში აღნიშნა, რომ დასავლეთ ბალკანეთის სახელმწიფოები და თურქეთი, საბოლოოდ, ევროკავშირის წევრები გახდებიან, მაგრამ დსთ-ს წევრი ქვეყანა ვერასოდეს გაერთიანდება.

კუჩმას პრეზიდენტობის ვადა ოქტომბერში გასდის. ფაქტობრივად, მისი პრეზიდენტობის დროს, უკრაინის ევრო-ატლანტიკურ სისტემაში ინტეგრაციის თვალსაზრისით, ბევრი არაფერი გაკეთებულა. უკრაინის მმართველი წრეების გათვლებით, ევრო-ატლანტიკურ სისტემაში ინტეგრაციის გზაზე პირველი ნაბიჯი უკრაინისთვის "საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსის მინიჭება" უნდა გამხდარიყო, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება და ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა. ახლა საქმე ძალზე ცუდადაა. ივნისში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა უკრაინისთვის ხმის უფლების ჩამორთმევის საკითხს განიხილავს. ივნისის ბოლოს სტამბოლის ნატო-ს სამიტზე კი უკრაინას ინდივიდუალური გაწევრიანების გეგმის მიცემაზე უარს ეტყვიან.

კუჩმამ და მისმა მომხრეებმა ამ კრიზისში ისევ დასავლეთი და მისი ორმაგი სტანდარტები დაადანაშაულეს. ამის პარალელურად, დასავლეთის მთავრობები და საერთაშორისო ორგანიზაციები მკაცრად აკრიტიკებენ უკრაინის საშინაო პოლიტიკას. "ჩვენი უკრაინისა" და მისი ლიდერის ვიქტორ იუშჩენკოს აზრით, კუჩმას საშინაო პოლიტიკა "ძირითად ევროპულ ღირებულებებს ეწინააღმდეგება".

# ღაზას სექტორში ძალადობა გრძელდება

ისრაელის არმია ღაზას სექტორში მდებარე რაფაჰას ლტოლვილთა ბანაკში სადამსჯელო აქციებს განაგრძობს. თელ-ავივის განცხადებით, პალესტინელებისათვის საცხოვრებელი სახლების დანგრევა ანტიტერორისტული და თავდაცვის მიზნებითაა ნაკარნახევი. თუმცა, რაფაჰაში უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი დღითიდღე იზრდება.

გუშინ ათი პალესტინელი დაიღუპა რაფაჰაში გამართული საპროტესტო დემონსტრაციის დროს, რომელსაც ებრაელმა ჯარისკაცებმა მასირებული ცეცხლი გაუხსნეს. ისრაელის არმიის სპეცოპერაციის შეწყვეტის მოთხოვნით, რაფაჰაში ათასობით პალესტინელი გამოვიდა. საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, დაღუპულთა შორის ორი ბავშვია. ისრაელის არმიამ დემონსტრაციაზე შეტევა სამხედრო ვერტმფრენებიდან განახორციელა. დაღუპულებთან ერთად, შეტევის დროს 60-დე დემონსტრანტი დაიჭრა, მათ შორის რამდენიმეს მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. აქედან გამომდინარე, მსხვერპლის გაზრდა გამორიცხული არ არის. პალესტინელი თვითმხილველების თქმით, ვერტმფრენების პარალელურად, დემონსტრაციის წინააღმდეგ ცეცხლი ტანკებიდანაც გახსნეს.

გასულ კვირას ისრაელის სამხედრო რაზმებსა და პალესტინელ მებრძოლებს შორის მომხდარი შეტაკებების შემდეგ, ისრაელის მთავრობის გადაწყვეტილებით რამდენიმე ათეული სახლი იქნა დანგრეული. თელ-ავივის ასეთი მოქმედება უარყოფითად შეაფასა გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა და ისრაელს თავის შეკავებისაკენ მოუწოდა, რადგან პალესტინელთა სახლების დანგრევა საერთაშორისო სამართლის ნორმებს ეწინააღმდეგება.


პალესტინელ დემონსტრანტებს ცეცხლი ჰაერიდან და ტანკებიდან გაუხსნეს.

ისრაელის არმიამ რაფაჰაში სპეცოპერაციები სამშაბათს განაახლა. ვერტმფრენებმა ლტოლვილთა ბანაკის ტერიტორიაზე წერტილოვანი დარტყმები განახორციელეს, ხოლო ქვეითი სპეცდანაყოფები კი ყოველი სახლის საგულდაგულო ჩხრეკას შუდგნენ. გარდა ამისა, ისრაელის არმიის ამოცანას იმ საიდუმლო გვირაბის აღმოჩენა წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც, ეგვიპტის ტერიტორიიდან პალესტინელი მებრძოლები კონტრაბანდულ იარაღს ღებულობენ.

დამკვირვებლების განცხადებით, ასეთი მასშტაბური სპეცოპერაცია, რომელსაც მშვიდობიანი მოსახლეობის სახლების დანგრევაც მოჰყვება, ღაზას სექტორში 1967 წლის შემდეგ არ განხორციელებულა. სპეცოპერაციას, რომლის კოდური სახელწოდებაა "ცისარტყელა," უკვე 24 უდანაშაულო პალესტინელის სიცოცხლე შეეწირა.

სამშაბათს საერთაშორისო ორგანიზაცია "ამნესტი ინტერნეიშენალმა" ისრაელის ხელისუფლებას სამხედრო დანაშაულის ჩადენაში დასდო ბრალი. ორგანიზაციამ ამ ამბებს სპეციალური მოხსენებაც მიუძღვნა, სადაც ნათქვამია, რომ სამი წლის წინ პალესტინური ინტიფადას დაწყებიდან ისრაელმა პალესტინის ტერიტორიაზე სამი ათასზე მეტი სახლი დაანგრია. "ამნესტი ინტერნეიშენალის" განცხადებით, უმრავლეს შემთხვევაში ამ აქციების შედეგად უდანაშაულო და მშვიდობიანი ოჯახები დაზარალდნენ.

გუშინ რაფაჰაში მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებს აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში გამოეხმაურა. მისი თქმით, ისრაელს სრული უფლება გააჩნია, ტერორისტებისაგან თავი დაიცვას, თუმცა ეს თელ-ავივმა მიღებული ნორმების ფარგლებში უნდა განახორციელოს.

# ირანი ერაყელი შიიტების დასაცავად

გუშინ ირანის დედაქალაქ თეირანის ქუჩებში ათასობით ირანელი შეიკრიბა საპროტესტო დემონსტრაციაზე, რომლის მიზანსაც ერაყში აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკის დაგმობა წარმოადგენდა. საპროტესტო შინაარსის პლაკატებით აღჭურვილი მომიტინგეები ანტიამერიკულ და ანტიბრიტანულ ლოზუნგებს სკანდირებდნენ. ირანელები განსაკუთრებით ალაშფოთა ერაყში მდებარე შიიტურ წმინდა ქალაქებში - ნეჯეფსა და ქერბელაში მიმდინარე ბრძოლებმა და მოსახლეობის წინააღმდეგ ძალადობამ.

საპროტესტო დემონსტრაცია ირანის სასულიერო ლიდერების მიერ იყო ორგანიზებული. სადამ ჰუსეინის რეჟიმთან ანტაგონისტური დამოკიდებულების მიუხედავად, ისინი ერაყის ოკუპაციას თავიდანვე ეწინააღმდეგებოდნენ. ირანელი დემონსტრანტები ბრიტანეთის საელჩოსთან მივიდნენ და ამერიკის, ბრიტანეთის და ისრაელის დროშები დაწვეს. ამის შემდეგ კი, საელჩოს შენობას ქვები და ალმოდებული ბოთლები დაუშინეს. საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, საელჩოსთან თავდაპირველად რამდენიმე ასეული ადამიანი შეიკრიბა, თუმცა რამდენიმე წუთში მათი რიცხვი სამი ათასამდე გაიზარდა.

**"მუსულმანები ვერ დაუშვებენ ამერიკელი სამხედროების თავხედურ თავდასხმებს წმინდა ადგილებზე და მათ მიერ ჩადენილი დანაშაული მკაცრად უნდა დაგმოს მთელმა ისლამურმა სამყარომ, შიიტებმა და ირანელებმა,"** - განაცხადა დემონსტრანტების წინაშე გამოსვლისას ირანის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ალი ხამენეიმ.

როგორც ცნობილია, ამერიკელი სამხედროები, უკვე რამდენიმე დღეა, ერაყში შიიტების წმინდა ქალაქებში გამაგრებულ მოქთად ალ-სადრის მომხრეებს ებრძვიან. მოქთად ალ-სადრი კი ერაყელი შიიტების ლიდერია და ამბოხების დაწყებამდე რამდენიმე კვირის განმავლობაში ირანში იმყოფებოდა. ზოგიერთი ინფორმაციით, მან შეხვედრები გამართა ირანის მთავრობის წარმომადგენლებთან და შესაბამისი კონსულტაციებიც მიიღო მათგან. მართალია, აიათოლა ალი ხამენეის თავის გამოსვლაში მოქთად ალ-სადრი არ უხსენებია, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ერაყში ამბოხებულ შიიტებს ირანელი ერთმორწმუნეებისგან სრული მხარდაჭერა გააჩნიათ.


ირანელი დემონსტრანტები თეირანში ბრიტანეთის საელჩოსთან.

ცხადია, ირანის ხელისუფლება აქტიურად ეცდება, ამერიკის წინააღმდეგ ისეთი ძლიერი კოზირი გამოიყენოს, როგორიც ერაყის 60-პროცენტიანი შიიტური მოსახლეობაა.

პარალელურად, ანტიამერიკული განცხადება გაავრცელა ლიბანში ბაზირებული შიიტური დაჯგუფების "ჰეზბოლას" ლიდერმა შეიხ ჰასან ნასრალამ. მან ერაყელ შიიტებს აშშ-ს წინააღმდეგ ჯიჰადის გამოცხადებისკენ მოუწოდა და საღვთო ომში სრული მხარდაჭერა აღუთქვა. **"ისე, როგორც არიელ შარონის ალ-აქსას მეჩეთში მისვლამ პალესტინური ინტიფადას დაწყება გამოიწვია, ასევე ნეჯეფის და ქერბელას წმინდა ადგილებზე თავდასხმებმა, შესაძლოა, ახალი ერაყული ინტიფადას დაწყება გამოიწვიოს და მხოლოდ ალაჰმა იცის, თუ რა სიძლიერის იქნება ეს წინააღმდეგობა,"** -განაცხადა ნასრალამ.

გუშინვე გაავრცელა განცხადება ერაყელი შიიტების დიდმა აიათოლა ალი სისტანიმ. მან ამერიკელებს და ასევე, მოქთად ალ-სადრის მომხრეებს ნეჯეფის და ქერბელას დაუყოვნებლივ დატოვებისაკენ მოუწოდა.

# "აბუ ღრაიბის საქმის" პირველი დამნაშავე

ერაყში "აბუ ღრაიბის" ციხეში წამების ფაქტებთან დაკავშირებით პირველი "საჩვენებელი" სასამართლო პროცესი გაიმართა. სასამართლო პროცესი, მართლაც, საჩვენებელი იყო და ეს იმითაც დასტურდება, რომ სამხედრო ტრიბუნალის სხდომა ყველასათვის ღიად გამოცხადდა. თუმცა, სკანდალურ საქმესთან დაკავშირებით მომავალი სენსაციური დეტალების გახმაურების თავიდან ასაცილებლად, ბოლო მომენტში მაინც აკრძალეს მისი პირდაპირი ტელეტრანსლაცია. ოფიციალური პირების გათვლით, ერაყში საჯარო სასამართლო პროცესის ჩატარება ამერიკული მართლმსაჯულების სისტემის სამართლიანობის დამადასტურებელი უნდა გამხდარიყო.

გუშინ აშშ-ს არმიის უმცროსი სერჟანტი ჯერემი სივიტსი დამნაშავედ ცნეს ბრალდების ოთხ პუნქტში, მათ შორისაა სამხედრო წესდების დარღვევა და სამხედრო პატიმრებზე სასტიკი მოპყრობის მიზნით შეთქმულებაში მონაწილეობა. სივიტსს კანონმდებლობით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი - ერთი წლით პატიმრობა, სამხედრო ჩინის ჩამორთმევა და ჯარიმის გადახდა შეუფარდეს.

24 წლის სივიტსი პენსილვანიის შტატიდან არის და ერაყში გამგზავრებამდე ავტომექანიკოსად მუშაობდა. მან აღიარა დანაშაული და, შესაძლოა ამიტომაც, მკაცრი სასჯელი არ ემუქრება. როგორც გაირკვა, სწორედ მას ეკუთვნის აბუ ღრაიბის ციხეში გადაღებული სურათები. სივიტსის აღიარების მიუხედავად, მის ნათესავებს მაინც არ სჯერათ ამერიკელი სერჟანტის ბრალეულობა და მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ იგი მხოლოდ ხელმძღვანელობის მიერ მიცემული ინსტრუქციების მიხედვით მოქმედებდა.

სივიტსისაგან განსხვავებით, რომელიც ამტკიცებს, რომ მისმა ხელძღვანელობამ წამების ფაქტების შესახებ არაფერი იცოდა, სხვა ბრალდებული ჯარისკაცები მეთაურებისაკენ თითის გაშვერას, ალბათ, არ მოერიდებიან და, როგორც ვარაუდობენ, განაცხადებენ, რომ მხოლოდ ბრძანებას ასრულებდნენ. შეგახსენებთ, ამ საქმესთან დაკავშირებით, კიდევ 6 ჯარისკაცს გაასამართლებენ, რომელთა შორის ორი ქალიცაა. ერთ-ერთი ბრალდებულის, სერჟანტ ფრედერიკის ადვოკატი, ჰარი მეიერსი შიშობს, რომ სასამართლო პენტაგონის მხრიდან მძიმე წნეხის ქვეშ იქნება. ამიტომაც მიაჩნია, რომ სასამართლო სხდომები ერაყში კი არა, აშშ-ში უნდა ჩატარდეს. **"ერთადერთი გზა სამართლიანი პროცესის უზრუნველსაყოფად - სხდომების ამერიკის ტერიტორიაზე გადატანაში მდგომარეობს,"** - აცხადებს იგი.

სასამართლო პროცესის წინა დღეს, აშშ-ს სამხედროების მისამართით ახალი ბრალდებები გაისმა. "როიტერის" სააგენტომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მისი სამი ადგილობრივი თანამშრომელი იანვარში ფალუჯის მახლობლად მსგავსი დაცინვისა და დამცირების ობიექტები გახდნენ. ამერიკელების მიერ ჩატარებულმა სამხედრო გამოძიებამ წამებისა და დამცირების ფაქტებს ვერ მიაკვლია, თუმცა "როიტერი" საქმის გადახედვას კვლავაც დაჟინებით მოითხოვს.

ამასობაში, "აბუ ღრაიბის" თემაზე კიდევ ერთი თვითმხილველი ალაპარაკდა. აშშ-ს სამხედრო დაზვერვის 302-ე ბატალიონის სერჟანტმა სემუელ პროვანსმა ტელეკომპანია "ეი-ბი-სი"-ს განუცხადა, რომ ხელმძღვანელობა პატიმართა წამების ფაქტების დამალვას ყოველმხრივ ცდილობდა. მისი განცხადებით, მარტო სასამართლოს წინაშე წარდგენილი 7 ჯარისკაცი არ ყოფილა დამნაშავე. სინამდვილეში, პატიმრების დამცირება გაცილებით მასშტაბურ ხასიათს ატარებდა. მეთაურების მკაცრი გაფრთხილების მიუხედავად, პროვანსმა ზოგიერთი დეტალები მაინც მოუთხრო ჟურნალისტებს. სერჟანტი, მართალია, პატიმართა დამცირების ფაქტების უშუალო თვითმხილველი არ ყოფილა, რადგანაც მას "აბუ ღრაიბის ციხეში" კომპიუტერულ სისტემაზე მეთვალყურეობა ევალებოდა, მაგრამ მისი განცხადებით, სამხედრო პოლიციის თანამშრომლებისათვის პატიმართაგან "აღიარების გამოძალვის" ბრძანების გაცემის შესახებ გამომძიებლებისაგან არაერთხელ გაუგია.

# რაში დახარჯავს ფულს განათლების სამინისტრო

*2004 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი 39826,1 ათასი ლარია. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ატესტაციაზე 98,9 ათასი ლარია გამოყოფილი, ხოლო უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციაზე - 39,7 ათასი ლარი. 2005 წლისათვის უმაღლესში მისაღები ეროვნული პროგრამის განსახორციელებლად 480 ათასი ლარია გამოყოფილი. საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის თანადაფინანსების სახით კი სამინისტრომ 275 ათასი ლარი უნდა გამოყოს. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ატესტაციასა და საერთოდ მეცნიერების მომავალზე ამ დღეებში მკითხველს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან, ბატონ სანდრო დიდებულიძესთან შევთავაზებთ ვრცელ ინტერვიუს. უმაღლესი განათლებისა და მისაღები გამოცდების საკითხებზე ჩვენი გაზეთი უახლოეს მომავალში მრგვალი მაგიდის მოწყობას გეგმავს. დღეს კი, მკითხველებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოსაზრებას ვთავაზობთ, იმ დანარჩენი პროგრამების შესახებ, რომელთა დაფინანსებაც წლევანდელი ბიუჯეტითაა გათვალისწინებული.*



*კახა ლომაია*

ნინო ცინცაძე

**- ბატონო კახა, ბიუჯეტში არსებობს ასეთი პუნქტი: არაქართული სკოლების სუბსიდირება სახელმძღვანელოების შესაძენად - 230 ათასი ლარი. რას ნიშნავს ეს?**

- იმის გამო, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს არაქართულ სკოლებში ათიათასობით და ასიათასობით სახელმძღვანელო შემოდიოდა მეზობელი ქვეყნებიდან, იმის გამო, რომ, მაგალითად, მარნეულელი ბავშვები ისტორიასა და გეოგრაფიას აზერბაიჯანში შექმნილი და იქაური განათლების სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოთი სწავლობდნენ, მათ უყალიბდებოდათ არასწორი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რომელ სახელმწიფოში ცხოვრობდნენ. ეს ტრადიცია წელს პირველად დაირღვევა. ვერავინ იტყვის დანამდვილებით რამდენი სახელმძღვანელო შემოვიდა იმ ქვეყნებიდან ამ ხნის განმავლობაში. მართალია, ეს პროცესი ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე მიმდინარეობდა, მაგრამ ჩვენი მხარე მასზე კონტროლს საერთოდ არ ახორციელებდა. ბუნებრივია, შემოსულ წიგნებს ქართული სახელმძღვანელოები კონკურენციას ვერ უწევდნენ, რადგან ეს წიგნები ან უფასოდ შემოჰქონდათ, ან ძალიან დაბალ ფასებში. ზარალდებოდა ქართველი გამომცემელიც, ქართული წიგნიც და ქართული საქმეც. ამიტომ წელს, ამ მწირი ბიუჯეტის პირობებშიც კი, გამოინახა გარკვეული თანხა, რომ ადგილობრივი გამომცემლებისგან ქართული წიგნები შევიძინოთ და ისინი არაქართული სკოლების სასკოლო ბიბლიოთეკებს ვაჩუქოთ. პირველ რიგში, პოლიტიკური პრიორიტეტია, რომ ასეთ სკოლებში საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით ისწავლებოდეს.

**- რამდენადაც მახსოვს, ბიუჯეტის საკომიტეტო მოსმენაზე ერთ-ერთმა დეპუტატმა ეჭვი შეიტანა, რამდენად მართებულია ამ საბიუჯეტო პუნქტში არაქართული სკოლებისათვის ფულის გამოყოფა.**

- ჩვენ ყველას უნდა გვესმოდეს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში კი, ჩვენი თანამოქალაქეების თაობა გაიზარდა ისე, რომ მათ არ იციან არა მხოლოდ ქართული ენა, არამედ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმაზე, თუ რომელ სახელმწიფოში ცხოვრობენ. ჩვენ ამ სამინისტროში სწორედ ამ სიტუაციის გამოსასწორებლად უნდა შევქმნათ წინაპირობა. ჩვენ ვამზადებთ მრავალენოვან სახელმწიფო პროგრამას საქართველოს ყველა საშუალო სკოლაში სწავლების ქართულ ენაზე გადასაყვანად. ბუნებრივია, დღევანდელ არაქართულ სკოლებს დაუყოვნებლივ ქართულ სწავლებაზე ვერ გადავიყვანთ, ამიტომ ეს პროცესი ნელ-ნელა და ეტაპობრივად უნდა მიმდინარეობდეს. ჯერ ერთი, ეს სკოლები ორენოვან სკოლებად უნდა გადაკეთდეს, რაც ახალი პროგრამების და სახელმძღვანელოების შექმნას მოითხოვს.

**- სასკოლო პარტნიორობის პროგრამაზე 100 ათასი ლარია გამოყოფილი. რას გულისხმობს ეს პროგრამა?**

- ესაც ამ დიდი საერთო პროგრამის ერთი ნაწილია. წელს ისიც პირველად ხორციელდება. მისი მიზანია ჩვენი ქვეყნის ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების მოქალაქეობრივი ინტეგრაციის ხელშეწყობა. გამოვაცხადებთ კონკურსს სასკოლო პარტნიორობის პროგრამაზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სკოლები, რომ ქართული და არაქართული სკოლების მოსწავლეებმა ერთად იმუშაონ, ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი კულტურა, ერთმანეთის ტრადიციები გაიცნონ, ერთმანეთის სტუმრები იყვნენ და ერთმანეთს დაუმეგობრდნენ.

**- კონკურსში მონაწილეობას პირდაპირ სკოლები მიიღებენ, თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ამ პროგრამის ორგანიზებასა და განხორციელებას აიღებენ საკუთარ თავზე?**

- არა, კონკურსში მონაწილეობას პირდაპირ სკოლები უნდა იღებდნენ. შესაძლოა აღმოჩნდეს ისე, რომ რომელიმე სკოლა პროექტის წერაში არ იყოს დახელოვნებული და მათ ამაში არასამთავრობო ორგანიზაციები დაეხმარონ, მაგრამ ფული უშუალოდ მიმღები მხოლოდ სკოლები იქნებიან.

კიდევ გავიგე ერთი პროექტი. ამასწინათ საინტერესო ვიყავით და წელს განსაკუთრებით პირველი ოფიციალური პირი აღმოჩნდა, რომელიც საინფორმაციო ოფიციალურად სტუმრობდა. იქ უამრავი პრობლემაა. მათ შორის სახელმძღვანელობის. 58 ათასი ლარი ბიუჯეტიდან სწორედ ამ პრობლემის მოსაგვარებლად გამოიყო. მასის ბოლოს ან ივნისის დასაწყისში ჩვენ კიდევ ჩავალთ საინგილოში და სახელმძღვანელოებს ჩავიტანთ. ამ თანხით შეიძლება მხოლოდ სახელმძღვანელოები დაფაროს. ამიტომ ჩვენ ვპარტიებში მოვუწოდეთ გამოეხმაურონ საზოგადოებას. იქ არა აქვთ ქართული კლასიკური ლიტერატურა, ძალიან უჭირთ სასკოლო თვალსაჩინოებების მხრივ, აკლიათ საკანცელარიო საქონელი. ჩვენი ცალზაზანი რეელუცია იქ საერთოდ არ იყიდება.



# ხელახლა დასახული იმედის გადასარჩენად

მარინა ბასილაშვილი
53-სკოლის პედაგოგი

ახლა სულ უფრო მეტი ადამიანი პროფესიულად განიხილავს განათლების სისტემის რეფორმირების გზებს, მეტ-ნაკლები წარმატებით საქმიანობს ზოგადი საგანმანათლებლო პოლიტიკის სფეროში და ასეთი საქმიანობისათვის ანაზღაურებასაც იღებს. რიგითი მასწავლებელი იმ ადამიანთა რიცხვს არ ეკუთვნის. იგი ბევრად უფრო კონკრეტული და "პროზაული" საქმითაა დაკავებული - მისი ვალია აღზარდოს მოქალაქე და მისცეს მას ცოდნის გარკვეული მარაგი. ამგვარი ვითარება სულაც არ მოასწავებს იმას, თითქოს მასწავლებელი უყურადღებოდ ტოვებდეს სისტემაში მიმდინარე პროცესებს. პირიქით, იგი ერთ-ერთი ყველაზე დაინტერესებული პირია, რაკიღა ამ პროცესების დადებითი და უარყოფითი შედეგები, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მის ცხოვრებასა და საქმიანობაზე აისახება. ამიტომ, არც უნდა გაგვიკვირდეს, რომ, თუ ყოველდღიურ რუტინას როგორმე თავი დააღწია და დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე საკუთარი მოსაზრებები ჩამოაყალიბა, მასწავლებელს უჩნდება სამართლიანი პრეტენზია, ამ მოსაზრებებს ყურადღებით მოეპყრან ისინი, ვისაც საგანმანათლებლო რეფორმის განხორციელება ევალება და ხელეწიფება.

პირველი და უმთავრესი საკითხი მაინც ისაა, არსებობს თუ არა მკაფიო საზოგადოებრივი დაკვეთა განათლების სისტემისათვის - აქვს თუ არა თავად საზოგადოებას შეგნებული, რა ტიპის მოქალაქეს ისურვებდა იგი საკუთარ წევრად? თუკი ამ მხრივ ერთადერთი მოთხოვნა ის არის, რომ მომავალმა მოქალაქემ უმძიმეს პირობებში თავისი თავისა და ოჯახის რჩენა ნებისმიერ ფასად შეძლოს, განათლების სისტემამაც ამ მოთხოვნას ადეკვატურად უნდა უპასუხოს, ხოლო თუ საზოგადოების მოლოდინს სხვა კრიტერიუმები განსაზღვრავს, იგივე სისტემამ სულ სხვა მიზნები უნდა დაისახოს. აქ საქმე არც ისე ადვილადაა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ავიღოთ, მაგალითად, ისეთი უდავო კრიტერიუმები, როგორიცაა პატრიოტიზმი და კანონმორჩილება. ხომ ცხადია, რომ პატრიოტი და კანონმორჩილი მოქალაქე სახელმწიფო ბიუჯეტში ხელს არასოდეს აფათურებს, ხალხის ხარჯზე არ გამდიდრდება და სხვის კუთვნილს არ მიითვისებს, არადა, სულ უკანასკნელ ხანამდე ჩვენ ვცხოვრობდით საზოგადოებაში, სადაც ამგვარი შინაგანი აკრძალვა, მოიაზრებოდა რა უნიათობის გამოვლინებად, წარუმატებლობის თითქმის ასპროცენტიან გარანტიას იძლეოდა. ახლა გაჩნდა იმედი, რომ ამ მხრივ ბევრი რამ შეიცვლება, მაგრამ გასარკვევია, რა ფორმით უნდა მონაწილეობდეს სკოლა რადიკალურ რევოლუციურ გარდაქმნებში, რომ ჰუმანისტური ფასეულობების ნგრევა არ გამოიწვიოს.

საქართველოში ამჟამად მიმდინარე ცვლილებების ფონზე, არსებული საგანმანათლებლო სისტემა სულ უფრო მზარდი საზოგადოებრივი წნეხის ქვეშ ექცევა. ინფორმაციის ისეთი ახალი მომწოდებლები, როგორიცაა მედია, არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ალტერნატიული პროგრამები, მუდმივად კონკურირებენ ერთმანეთთან და საკუთარი თვალსაზრისის დამკვიდრებისთვის იბრძვიან. შესაბამისად, საშუალო და უმაღლესი სკოლების მიერ გაცემული ცოდნის ხარისხი და რაოდენობა სულ უფრო მძაფრი კრიტიკის საგანი ხდება. მოსწავლისთვის საკუთარი მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილება უპირობო პრიორიტეტად იქცევა, რაც ცვლის მასწავლებელთან მის ურთიერთობას. მოსწავლე არა მხოლოდ თეორიულ ცოდნას, არამედ პრაქტიკულ რჩევებსაც ელის და იმ მასწავლებელს, რომელიც სწავლების ტრადიციული მეთოდებით იფარგლება, ხშირად უნდობლობას უცხადებს, მასწავლებელიც და მოსწავლეც კონკრეტული საზოგადოების წევრები არიან. ამდენად, საზოგადოების საერთო მდგომარეობა მათ ურთიერთობაზეც უშუალოდ აისახება. ყოველდღიური ყოფითი პრობლემებით, მატერიალური ხელმოკლეობით, ოჯახური სირთულეებით განაწამები დღევანდელი მასწავლებელი სკოლაში თან გაიყოლებს დაგროვილ აგრესიას, რომლის ობიექტადაც ხშირად მოსწავლე იქცევა. იგივე ხელმოკლეობა, არცთუ იშვიათად, მასწავლებელს გარკვეული, თუნდაც უმნიშვნელო კორუფციული გარიგებისაკენ უბიძგებს, რაც ბავშვის გამახვილებულ ინტუიციას შეუმჩნეველი არასოდეს რჩება და სათანადო რეაქციასაც იწვევს. მეორე მხრივ, მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა განსხვავებულ თაობათა შორის ურთიერთობის ნაწილია. დღეს, ტექნოლოგიური რევოლუციისა და ინტერნეტის ეპოქაში, თაობათა შორის გაჩენილი ბზარიც განსაკუთრებული სიჩქარით ღრმავდება. მასწავლებელი, რომელსაც განათლება წიგნის მეშვეობით აქვს მიღებული და მოსწავლე, რომელიც ინფორმაციას ძირითადად ტელევიზიისა და ინტერნეტის საშუალებით იღებს, ფაქტობრივად სხვადასხვა ენაზე საუბრობენ. ეს გლობალური პრობლემაა, თუმცა, ჩვენში, საზოგადოებრივი ფორმაციის ინტენსიური ცვლილების პირობებში, პრობლემა განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. უახლესი ათწლეულის სპეციფიკურმა, ძირითადად ნეგატიურმა გამოცდილებამ განსაკუთრებული დაღი დაასვა ჩვენი მოზარდი თაობის სულიერ განვითარებას. თინეიჯერებისთვის მიუღებელი შეიქნა ტრადიციულ ფასეულობათა საკმაოდ დიდი ნაწილი, ახალ ფასეულობათა დეფიციტის პირობებში კი, ხშირად მათი ჩანაცვლება მოხდა იაფფასიანი ფსევდოკულტურული ორიენტირებით, ძალადობის კულტით და კრიმინალური მენტალიტეტით, რამაც, ბუნებრივია, ახალი ბარიერები წარმოშვა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. ცალკე აღნიშვნის ღირსია მასწავლებლისა და მშობლის ურთიერთობა. პედაგოგს უჭირს თანამშრომლობა, როგორც პურის ფულს დანატრებულ მშობელთან, ვისაც შვილის განათლებაზე საფიქრელად დროც აღარ რჩება, ისე ყველა "ნუვორიშთანაც", ვისაც შვილის ატესტატის გარდა არაფერი აინტერესებს და მტკიცედ სწამს, რომ ფულით ყველაფრის ყიდვა შეიძლება. ეს მოვლენაც, არცთუ იშვიათად, ხელს უწყობს არსებული კონფლიქტების გაღრმავებას.

ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ განათლების რეფორმა მთლიანი სოციალური სისტემის რეფორმის ორგანული და განუყოფელი ნაწილია, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მისი განხორციელება სხვა სოციალური პრობლემების მოგვარების შემდეგ უნდა დაიწყოს. ხსენებული ძირითადი პრობლემატიკის ყოველმხრივი გააზრება და სისტემურ მიდგომაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი შეთანხმება წინ უნდა უსწრებდეს ისეთი კარდინალური საკითხების განხილვას, როგორიცაა, მაგალითად, განათლების სისტემის ინსტიტუციური საფუძვლები, ან სწავლების შინაარსი და ფორმა. ამ თვალსაზრისით მზა რეცეპტები არ არსებობს. სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია ცენტრალიზაციის დონეები. განსხვავებათა პარალელურად აისახება საერთო ტენდენციებიც, რომელთაგან ჩვენთვისაც მისაბაძად მიმაჩნია სასწავლო საგნების შემცირების გამოკვეთილი ტენდენცია და მისწრაფება სინთეზური დისციპლინებისაკენ. საბუნებისმეტყველო ცოდნის დანაწევრებულად, დიდი მოცულობით სწავლების პრაქტიკა უნდა შეიცვალოს, თუმცა ამ გეგმის განხორციელებას წინ უნდა უძღოდეს უმაღლესი პედაგოგიური განათლების სისტემის რეორგანიზაცია. ასევე მნიშვნელოვანია სოციალური საქმეების ცალკე სრულფასოვან დისციპლინად ჩამოყალიბება, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული ცოდნის, სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის ელემენტარული საფუძვლების ერთიანი შესწავლა. აქ მნიშვნელოვანია არა იმდენად სასწავლო დისციპლინების შემცირება, არამედ ის, რომ მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს სამყაროსა და საზოგადოების სინთეზური ხატები, მისთვის ნათელი გახდეს მოვლენათა შორის არსებული კავშირები და ამ კავშირთა მარეგულირებელი უზოგადესი კანონები.

ვიმეორებთ, პროგრამის ასეთი რეფორმირება შეუძლებელი იქნება ორ ძირითად საგანმანათლებლო ინსტიტუციას - საშუალო და უმაღლეს სკოლას შორის ურთიერთობის გაღრმავების გარეშე. გარდა ამისა, ხსენებული დონის მისაღწევად აუცილებელია სწავლების კომპლექსური, ინტეგრაციული და დინამიკური მეთოდების შემუშავება. ამგვარი მეთოდების მეშვეობით მოსწავლეს უნდა მივაწოდოთ არა მხოლოდ თეორიული ცოდნა, არამედ პრაქტიკულიც, რომლის გამოყენებასაც იგი შეძლებს, ბოლომდე განავითარებს საკუთარ სოციალურ კომპეტენციას. ამავე მიზანს უნდა ისახავდეს სასკოლო კლუბების განშტოებული ქსელის შექმნაც, რისთვისაც, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა აშშ განათლების სისტემის უმდიდრესი გამოცდილების საფუძვლიანი გააზრება. სასკოლო კლუბები უნდა იქცეს მოსწავლეთა დამოუკიდებელი შემოქმედებითი და კვლევითი აქტივობის ასპარეზად, მათი სოციალური თვითდამკვიდრების პოლიგონად. დროის კიდევ ერთი ზოგადი მოთხოვნაა განათლების სისტემაში მძლავრი ფსიქოლოგიური სამსახურის ამოქმედება, ქარაქტეროლოგიური თუ პროფორიენტაციული (სწავლების ბოლო საფეხურზე) ტესტირების პრაქტიკის ინტენსიური დანერგვა. ეს სერიოზული მექანიზმი, რომელიც სკოლას დღეს ასე სჭირდება, ამჟამად ჩანასახოვან მდგომარეობაშია.

განსაკუთრებული საუბრის თემაა ცალკეული საგნის სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შინაარსი. განახლებულ საქართველოს ნამდვილად სჭირდება განახლებული განათლების სისტემა, რომელიც თავისუფალი ქვეყნის თავისუფალ მოქალაქედ მოზარდის ჩამოყალიბებას დაისახავს მიზნად და ამ მიზნის მიღწევასაც შეძლებს. ასეთი მასშტაბის ამოცანების გადაწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ არსებობს სახელმწიფოებრივი ნება, დააფუძნოს სამოქალაქო საზოგადოება.



# ერთი დღე ლიახვისპირელებთან

ბოცო ქვაბთაძე

## ვანათი - კეთილი მეზობლები

ვანათში, უძველეს ქართულ სოფელში ამბობენ, - ქართველებმა და ოსებმა კეთილმეზობლური ურთიერთობები აღადგინესო.

**- დღეს როგორი მდგომარეობაა ვანათში?** - ვკითხე სოფლის საკრებულოს გამგებელს ვაჟა ჯოჯიშვილს.

- ძალიანაც ნორმალური. სოფელში მცხოვრებ ქართველებსა და ოსებს ჭირიც ერთი აქვთ და ლხინიც. ეს იმათაც ეხება, ვინც კონფლიქტის დროს და მერეც დაბრუნდა. ასეთი რამდენიმე ოჯახია.

**- ვინ დაბრუნდა?**

- მშობლიურ კერას დაუბრუნდნენ ვიქტორ და ირაკლი კაბულოვების, ნიკალა ბესთაევის და ვიქტორ გუჩმაზოვის ოჯახები.

**- სხვა უბნებშიც ბრუნდებიან?**

- კი - ლტოლვილთა ერთი ნაწილი საცხენეთის უბანშიც დაბრუნდა. საკრებულოს გამგეობა ცდილობს, მათთვის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნას.

**- დაბრუნებულ ოსებს თუ ეძლევათ საპრივატიზაციო მიწის ფართობები?**

- სოფლის საკრებულოს შედგენილი აქვს გეგმა-პროექტი, რომლის მიხედვითაც, სოფელში დაბრუნებულ ოს მოსახლეებზე გავცემთ კუთვნილ მიწის ფართობებს.

**- თქვენი აზრით, რამდენად მყარია ეს აღდგენილი კეთილმეზობლობა?**

- სხვას რას უნდა ნიშნავდეს სოფელში შერეული ოჯახების შექმნა - ორი ხალხის დანათესავება, სავაჭრო და მეზობლური ურთიერთობების გაბმა; შერიგება და თანასწორუფლებიანი ცხოვრება გარდაუვალია.

## შეთანხმება მესამე ძალის გარეშე

ცხინვალის რეგიონის საკონფლიქტო ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების შეყვანა ოსურმა მხარემ აღიქვა, როგორც ორი ოსეთის ინტეგრაციის წინაპირობა. ქართულმა მხარემ კი სამშვიდობოები მიიჩნია კონფლიქტის ცივილიზებული გზით დარეგულირების გარანტად. მაგრამ, დრომ ცხადყო, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები მხოლოდ თავიანთი სტრატეგიული მიზნების განხორციელებისათვის იბრძვიან. ქართულ-ოსური მხარე მიხვდა რუსეთის ხელისუფლების მომრიგებლური კურსის ჭეშმარიტ მიზანს და მოსახლეობის ერთი ნაწილი პრინციპულად ითხოვს ცისფერჩაფხუტიანების რეგიონიდან გაყვანას.

**- როგორ შეაფასებდით სამშვიდობოების მოღვაწეობას?** - ვკითხე ქსუისის საშუალო სკოლის პედაგოგს ალექსანდრე ჯავახიშვილს.

- კონფლიქტის პირველ წლებში რუსეთის სამშვიდობო ძალები აშკარად იცავდნენ "ოსეთის" ხელისუფლების ინტერესებს. ისინი რეგიონში სპობდნენ ყოველივე ქართულს და, რაც მთავარია, ცხინვალიდან და ყორნისის რაიონიდან თოთხმეტი ათასამდე აბორიგენი მოსახლე განდევნეს.

**- ოსებს როგორი დამოკიდებულება აქვთ რუს სამშვიდობოებთან?**

- ოსი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელთანაც ჩვენ ურთიერთობები გვაქვს, პრინციპულად სვამს კითხვას - რა შედეგები მოაქვს რუსი მშვიდობისმყოფელების ყოფნას რეგიონში? ოსი მოსახლეობის ერთი ნაწილი ჩვენთან ერთად მოითხოვს მათ გაყვანას და ქართულ-ოსური შერეული სამართალდამცავი ძალების ჩაყენებას.

რა თქმა უნდა, სხვებიც არიან, ვისაც რუსი სამშვიდობოების ძალების გაზრდა სურთ, - აქაოდა, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა "დამოუკიდებელი ოსეთის" ანექსია არ მოახდინოსო. ცხადია, "ოსეთის" ხელისუფლებაც მათ აზრს იზიარებს.

**- რუსი სამშვიდობოები მართლაც რომ გაიყვანონ, ქართველები და ოსები საერთო ენას გამონახავენ?**

- ღრმად ვარ დარწმუნებული, შერიგება ისტორიულად გარდაუვალი პროცესია. მთავარია, რეგიონში საქართველოს იურისდიქცია აღდგეს.

**- დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში, როცა ორ ხალხს შორის აღდგენილია სავაჭრო, ეკონომიკური და ნათესაური ურთიერთობები, ქართველი ლტოლვილები რატომ ვერ ბრუნდებიან ცხინვალში, ყორნისის რაიონში?**

- დაბრუნებულებს მოსთხოვეს, მიეღოთ "ოსეთის" მოქალაქეობა, "ოსეთი" ეღიარებინათ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ქართველების უმრავლესობამ მოთხოვნაზე უარი განაცხადა და ისევ ლტოლვილთა განსახლების ადგილს დაუბრუნდა.

## ასეთ ყოფაში როდემდე?

მიწისძვრისაგან დაზარალებულ სოფელ ბელოთში განსაკუთრებით თვალშისაცემია მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონე. ძელმიწურებსა და ხის ვაგონებში მცხოვრებ ხალხს თავზე აწვიმთ.

**- ასეთ დღეში რომ ხართ, წინა მთავრობა არ გეხმარებოდათ?** - ვკითხე თ. ტერაშვილს.

- შევარდნაძეს ბევრჯერ მივმართეთ, მაგრამ ჩვენი თხოვნა ქაღალდზე რჩებოდა. მიწისძვრის პირველ დღეებში, როცა სოფელი დაიქცა, მაშინდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა ჩამოვიდა ბელოთში. დათვალიერების შემდეგ დაგვპირდა, რომ დროებით საცხოვრებლად ხის ვაგონებს გამოგვიყოფდა და სამშენებლო სამმართველოები ბელოთის აღმოსავლეთით საცხოვრებელი სახლების მშენებლობასაც დაიწყებდნენ. მართლაც, მოკლე ხანში სოფელს თბილისიდან რამდენიმე ხის ვაგონი გამოუგზავნეს, ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობაც დაიწყეს, მაგრამ რამდენიმე თვეში თავი მიანებეს. გავიგეთ, რომ მინისტრთა საბჭოს მიეღო გადაწყვეტილება სოფლის სხვა ადგილას ჩასახლების შესახებ. ბელოთელებისათვის სასახლკარე ადგილები გორის რაიონის სოფელ ერედვის შემოგარენში გამოეყოთ, მაგრამ ბელოთელებმა მამა-პაპათა კერის მიტოვებაზე უარი განაცხადეს. ამ ვაგონში ექვსი ადამიანი ვცხოვრობთ. ჩემი შვილი და რძალი სხვის კერას არიან შეფარებულნი.



ზაზა ფარავაშვილის ფოტო

*კეთილმეზობლობა აღდგა.*

უკეთესი მდგომარეობა არც დემეტრაანთ (დემეტრაშვილების) უბანშია. რამდენიმე მოსახლის ბინა მიწისძვრის შემდეგ მთიდან დაძრულმა მეწყერმა მიწაში ისე ჩაიტანა, რომ მისი არსებობის კვალიც აღარ ჩანს. დღეს სოფელს კიდევ ერთი საფრთხე - ლომისის მთიდან დაძრული მეწყერი ემუქრება.

ბელოთის საკრებულოს გამგებელი გიორგი ტერაშვილი: "რეგიონის ახალი მმართველობის შესახებ საყვედური არ გვეთქმის. მიღებულია მთელი რიგი გადაწყვეტილებები, რომელთა განხორციელებაც მოკლე ხანში არის მოსალოდნელი. ჩვენი მდგომარეობით დაინტერესებულია პრეზიდენტის რწმუნებული ბატონი მიხეილ ქარელი, რომელიც ყველანაირად გვეხმარება".

**- მოსახლეობა ხომ არ ტოვებს სოფელს?**

- იყო მცდელობა, მაგრამ წასულები მშობლიურ ბუდეს ვერ შეელიენ და უკან დაბრუნდნენ. იქნებ საქებარნიც არ ვიყოთ, მაგრამ ბელოთი საქართველოს ამ განაპირა კუთხის ბოლო, ყველაზე დიდი ქართული სოფელია, რომელიც ინარჩუნებს ეროვნულ თვითმყოფადობას.

## მოსავალი მცირდება

სახელმწიფო მიწების პრივატიზაციის შემდეგ საგრძნობლად შემცირდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, მაგრამ ერედველთა ერთმა ნაწილმა მაინც შეძლო საშემოდგომო თავთავიანი ტექნიკური კულტურების მაღალი მოსავლის მიღება.

აგრონომი ვარლამ ქრისტესიაშვილი: " შარშან საშემოდგომო თავთავიანი კულტურების დათესვამდე ნიადაგი გავანოყიერე კალიუმიანი და ფოსფორიანი სასუქებით. დათქმულ ვადაში ჩავატარე თესვა, ჯეჯილი გამოვკვებე მინერალური სასუქით და ჰექტარზე გადაანგარიშებით 50 ცენტნერამდე მოსავალი მივიღე".

**- სხვა როგორი შედეგები გაქვთ ერედველებს?**

- შარშან ბოსტნეულის უხვი მოსავალი მივიღეთ. მოწინავეთა შორის არიან მირიან ცოტნიაშვილი, ალექსანდრე ჟუჟუნიაშვილი, თემურ ბორცვაძე, როლანდ მაისურაძე, შაქრო რომელაშვილი, ვანო ტურაშვილი. სამწუხაროდ, ერთმა ნაწილმა ცუდი მოსავალი მიიღო.

**- მიზეზი რა არის?**

- მიზეზი ბევრია, მაგრამ თავი და თავი მაინც გლეხის უსახსრობაა, რომლის გამოც, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მაღალ დონეზე ველარ სრულდება. არც თესლბრუნვაა დაცული. თითქმის, უგულებელყოფილია ქიმიზაცია, მექანიზაცია და მელიორაცია.

## მივხედოთ, გადავარჩინოთ...

ხუროთმოძღვრული ძეგლებით მდიდარ სოფელ აწრისხევში განსაკუთრებული მნიშვნელობა ქრისტიანულ ქმნილებას - ღვთისმშობლის ეკლესიას ეკუთვნის, რომლის აშენებასაც ისტორიკოსები და ხელოვნებათმცოდნეები IX-X საუკუნეებით ათარიღებენ და მის აშენებას შიდა ქართლის დიდი ფეოდალის ივანე ტბელის მმართველობის ხანას აკუთვნებენ.

დროთა ავბედობაში გამოვლილი ქმნილება ქვის მატიანედ იქცა. მას შემოაცვდა სახურავი, საიდანაც ჟონვა დაიწყო წვიმისა და თოვლის წყალმა. დღეს მის მრავალსაუკუნოვან კედლებს დანგრევის საფრთხე ემუქრება.

ნათელია, რომ საქართველოს დღეს არა აქვს იმის ეკონომიკური პოტენციალი, რომ ყველა ქრისტიანულ ქმნილებას რესტავრაცია ჩაუტაროს. კარგი იქნება, თუ ლიახვისპირელები მიხედავენ ათასწლოვან ქრისტიანულ ქმნილებას და პირნათლად გადასცემენ ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიით დაინტერესებულ მომავალ თაობებს.

## სპორტული ცხოვრება დუღს

პატარა ლიახვის ხეობაში სპორტის სახეობებიდან ყველაზე პოპულარული ეროვნული ჭიდაობა და ფეხბურთია და აქაურებმაც წლების მანძილზე სწორედ ამ სახეობებში მიაღწიეს წარმატებებს. ერედვის, ვანათის, ქსუისის ფეხბურთელთა გუნდები მრავალჯერ გხდნენ ყოფილი ოსეთის ავტონომიური ოლქის ჩემპიონები და თასის მფლობელები. იქაურმა მოჭიდავეებმა კი სსრკ-სა და ევროპის ჩემპიონობაც მოიპოვეს. ესენი არიან: მიდოდაშვილი, ქრისტესიაშვილი, ტურაშვილი, ბორცვაძე, ჯუმბერ და ჯეირან ბაციკაძეები, დათო ბერუაშვილი და სხვები.

დღეს ერედვის თემის სოფლებში სპორტული ცხოვრება ალმავლობას განიცდის. ფეხბურთში რამდენჯერმე ჩატარდა "მეგობრობის" თასის გათამაშება, რომელშიც მონაწილეობა ცხინვალის გუნდმაც მიიღო. ფინალში ერთმანეთს ერედვის თემის ნაკრები და ცხინვალის გუნდები შეხვდნენ. დაძაბულ ორთაბრძოლაში თემის ნაკრებმა სძლია და თასის პირველი მფლობელი გახდა.

ერედვის თემის გამგეობა, ასევე, დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტული აღზრდის საკითხებსაც. ახლახან ჩატარდა თემის პირველობა ფეხბურთში, რომელშიც ერედველმა ნორჩებმა იზეიმეს გამარჯვება. აღსანიშნავია, რომ, პარალელურად, ჩატარდა მოსწავლე გოგონების პირველობაც, რომელშიც გაიმარჯვა არცევის საშუალო სკოლის ფეხბურთელთა გუნდმა.

გასულ წელს სოფელ ერედვში ჩატარდა ტურნირები ეროვნულ ჭიდაობაში. მოასპარეზეებმა გაითამაშეს სანდრო კანდელაკის, არსენ მეკოკიშვილის, ვახტანგ ბალავაძის, ლევან თედიაშვილის სახელობის პრიზები.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია შეჯიბრებამ მრავალჭიდში, რომლის ინიციატორი აკაკი ბორცვაძე იყო. მან სოფელს საჭიდაო მაგიდა აჩუქა, სადაც, თემის გარდა, გორის, კასპის, ხაშურის, ქარელის, ცხინვალის წარმომადგენლებიც ცდიდნენ ძალებს. წონითი კატეგორიების მიხედვით, გამარჯვება ცხინვალის რეგიონის მკლავჭიდელებს ხვდათ.

მალე გაზაფხულ-ზაფხულის სპორტული სეზონი დაიწყება. ამასთან დაკავშირებით თემის გამგეობას შედგენილი აქვს სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც, თემის სოფლებში ჩატარდება შეჯიბრებები ფეხბურთში, ეროვნულ ჭიდაობაში, მკლავჭიდში, მძლეოსნობაში. მიაჩნიათ, რომ ეს შეჯიბრებები გადამწყვეტი ფაქტორი გახდება რაიონულ პირველობებზე წარმატებების მოპოვებისა.

## კულტურული ცხოვრების გარეშე

სოფელ ქსუისში ქართულ-ოსური კონფლიქტის დაწყებამდე ფუნქციონირებდა სასოფლო კლუბის შენობა, სადაც მოქმედებდა სიმღერისა და ცეკვის გუნდები, რომელსაც სათავეში ბესო დოგუზოვი ედგა.

კონფლიქტის ცხარე დღეებში კულტურის სახლი გადაწვეს და, ათ წელიწადზე მეტია, სოფელი მოკლებულია კულტურულ ცხოვრებას. მისი პატრონი დღემდე არავინ ჩანდა.

ქსუისის საკრებულოს გამგებელი მადონა ოქროპირიძე: " ეს საკითხი გულთან ახლოს მიიტანა გუბერნატორმა, რომელიც შეგვპირდა, რომ განახორციელებდა ქმედით ღონისძიებებს პრობლემის გადასაჭრელად. ამ მიმართულებით სასიკეთო ძვრები უკვე იგრძნობა. როგორც ჩანს, ჩვენთან ისევ ამოქმედდება სასოფლო კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა და, იმედია, აქაურ ახალგაზრდებს სრული საშუალება მიეცემათ, თავიანთი გემოვნებით იცხოვრონ.

# კორუმპირებული "ნაციონალები" უფრო მკაცრად დაისჯებიან

პირველი გვერდიდან

როგორც საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა აღნიშნა, კენჭაძის შესახებ გარკვეული ინფორმაციები მათთან მანამდეც მიდიოდა, თუმცა მათი დადასტურება ვერც ერთხელ ვერ მოხერხდა. ამჯერად კი სამართალდამცველებს თვით იმ პირმა მიმართა, ვისგანაც ფულის გამოძალვას ცდილობდა პარლამენტარი. ბათუმის ერთ-ერთი სასტუმროს მეპატრონეს ამირან მანუჩაძეს, რომელიც თავის დროზე ასლან აბაშიძის კაცად ითვლებოდა, რამდენჯერმე ტელეფონით დაუკავშირდა ვინმე გივი ჩეჩელაშვილი. იგი ბიზნესმენს პოლიტიკურ წრეებში გავლენის მქონე ფიგურათა მფარველობას აღუთქვამდა, სანაცვლოდ კი 120 ათას დოლარს ითხოვდა. სრულიად მოულოდნელად, მანუჩაძემ სატელეფონო ზარების შესახებ გენერალურ პროკურატურას აცნობა და ოპერაციაც დაიგეგმა. სახელმწიფო კანცელარიის ეზოში გაჩერებულ მანქანაში, მანუჩაძესთან მოლაპარაკებაზე თავად გიორგი კენჭაძე მივიდა და ფულით, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, დანიშნული 100 ათასი დოლარით სავსე ჩემოდანიც მანვე დაიტოვა. ოპერატიული სამეთვალყურეო აპარატურით დაფიქსირებული "გარიგება" ახლა უკვე სამართალდამცველებს მტკიცებულების სახით გამოადგებათ.

ფულის გამოძალვაში დადანაშაულებული პარლამენტარის მიმართ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას კენჭაძის იმუნიტეტი ხელს ვერ შეუშლის.

გენერალურმა პროკურატურამ გუშინვე მიმართა საკანონმდებლო ორგანოს ოფიციალური წერილით, რომლითაც გიორგი კენჭაძისთვის იმუნიტეტის მოხსნა და სასამართლოსგან მისი ბინის ჩხრეკისა და აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების მოთხოვნის უფლება ითხოვა. პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტში პროკურატურის ამ თხოვნას გაგებით მოეკიდნენ. "ნაციონალ" კობა დავითაშვილს, რომელიც სხდომის ორი საათით გადადებას და, საკითხში კარგად გასარკვევად, თავად კენჭაძესთან შეხვედრას ითხოვდა, არ დაუჯერეს და კოლეგისთვის იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე შუამდგომლობით პარლამენტის ბიუროს მიმართეს, დღეს კი ამ საკითხს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განიხილავენ. თუმცა, განხილვის შედეგზე საუბარი უკვე წინასწარ შეიძლება - საქართველოს პარლამენტი, წინა მოწვევის პარლამენტებისგან განსხვავებით, გენერალური პროკურატურის მოთხოვნებს ჯერ არ შეწინააღმდეგებია. გუშინ პარლამენტში ერთი საინტერესო დეტალიც გაირკვა - 33 წლის გიორგი კენჭაძე წარსულში ყაჩაღობისთვის ყოფილა ნასამართლევი.



პირველი დაპატიმრებული "ნაციონალი" - გიორგი კენჭაძე.

პარლამენტის მიერ სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნის შემდეგ კი გიორგი კენჭაძეს ფულის გამოძალვაში ბრალსაც წარუდგენენ და სასამართლოსაც მიმართავენ მისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით. ამასობაში, სამართალდამცველები ეძებენ გივი ჩეჩელაშვილს, რომელიც გამოძალვის საქმეში შუამავლის როლს ასრულებდა და ვინმე ვოვას.

რაც შეეხება კენჭაძეს, მის ირგვლივ მოვლენათა სამომავლო განვითარების შესახებ უტყუარი პროგნოზების გაკეთება ახლავე შეიძლება. ამის საშუალებას პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადებებიც იძლევა. მისი თქმით ხომ, კორუფციაში გახვეული "ნაციონალური მოძრაობის" წევრები სხვებზე მკაცრად დაისჯებიან. მიხეილ სააკაშვილმა გუშინ, სპეციალურად, კენჭაძის დაკავებასთან დაკავშირებით ჩატარებულ ბრიფინგზე ისიც განაცხადა, რომ **"ნაციონალური მოძრაობის" რიგებში შესაძლოა კიდევ იყვნენ მსგავსი კორუფციული მიდრეკილების მქონე პირები, თუმცა სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ თუკი ასეთ ფაქტებს ექნება ადგილი, მათი გამოვლენა უახლოეს მომავალში აუცილებლად მოხდება".**

ჰყავდა თუ არა პრეზიდენტს მხედველობაში "ნაციონალური მოძრაობის" რომელიმე კონკრეტული წევრი, ჯერჯერობით, უცნობია. თუმცა კი, გიორგი კენჭაძესთან მიმართებაში ავბედითად გაიჟღერა პეტრე ცისკარიშვილთან მისი მეგობრობის ფაქტმა და, აგრეთვე, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტში მოხსენების გასაკეთებლად მისულ, გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის გიორგი ჯანაშიასთვის დასმულმა ბუნდოვანმა კითხვამ - არის თუ არა კენჭაძის დაკავება კახეთის საქმესთან კავშირში?

**"ჯერ არ ვიცით",** - უპასუხა ჯანაშიამ.

**"კენჭაძე ისევე იყო ჩემი მეგობარი, როგორც "ნაციონალური მოძრაობის" სიით გასული თითქმის ყველა დეპუტატი"**, - თავი იმართლა კახეთში პრეზიდენტის რწმუნებულმა პეტრე ცისკარიშვილმა.

მაგრამ ფაქტია, გიორგი კენჭაძემ ვარდების რევოლუციის შემდეგ კახეთში გარკვეული საქმიანობა წამოიწყო. ამის თაობაზე უფრო დეტალურად "24 საათის" კახეთის კორესპონდენტის წერილიდან შეიტყობთ.

# გიორგი კენჭაძე თამაზ ხიდაშელმა "ჩაუშვა"

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

ნაციონალური მოძრაობის წევრმა გიორგი კენჭაძემ კახელ მეწარმეებთან ურთიერთობა ორი თვის წინ დაამყარა. გვერდზე კი ისეთი ადამიანები მოიყენა, რომლებიც, თავის დროზე, ასლან აბაშიძის ქვეშევრდომები იყვნენ დ სხვადასხვა მაქინაციებში იმხილებოდნენ. მან კახეთი თავდაპირველად აპრილში "დალაშქრა". პირველი შეხვედრა კი გურჯაანელ ბიზნესმენებთან გამართა. გურჯაანის რაიონის მაშინდელმა გამგებელმა ზაზა ნაცვლიშვილმა კენჭაძესა და მის გუნდთან შეხვედრაზე მეწრამეები მოტყუებით დაიბარა, თუმცა წარმატებულ გურჯაანელ ბიზნესმენებს, პრეზიდენტის რწმუნებულის პეტრე ცისკარიშვილის ნაცვლად, გამგეობის დარბაზში გიორგი კენჭაძე და მისი თანმხლები პირები დახვდნენ.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, მოულოდნელ სტუმრებს "კახეთის მეწარმეთა კავშირის" შექმნა სურდათ. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მეწარმეებს შეხვედრაზე გვერდს უმშვენებდა შევარდნაძის მმართველობის დროს კონტროლის პალატის მიერ დანაშაულში მხილებული ილია დალაქიშვილიც.

იდეას ხორცი შეესხა, გიორგი კენჭაძესთან ერთად, მეწარმეთა კავშირის დაფუძნებას კი სათავეში ვინმე იოსებ ნატროშვილი ჩაუდგა. მათი მუშაობის დევიზი ასეთი გახლდათ: "ერთმანეთს მხარში ამოვუდგეთ, მონაწილეობა მივიღოთ კანონის შექმნაში და უკანონობის წინააღმდეგ ბრძოლაში", - აცხადებდნენ ახალი მეწარმეები.

გიორგი კენჭაძეს მხარს ვინმე დიმიტრი ცხონდიაც უმშვენებდა, რომლის მტკიცებითაც, მას ჰოლანდიაში წარმატებული ბიზნესი აქვს. აქვს ფერმები, ხოლო ოფისები - საზღვარგარეთის 17 ქვეყანაში. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მსოფლიოში ცნობილმა ფერმერმა და ბიზნესმენმა, როგორც ცხონდია საკუთარ თავს უწოდებდა, ოფისი სამხარეო ადმინისტრაციის შენობაში მოიწყო - სულ რაღაც ერთი ოთახი და ერთიც პირადი კომპიუტერი. მათი ბიზნესით დაინტერესებულ ჟურნალისტებს კი ცხონდია და კენჭაძე კომპიუტერში შეტანილ ლამაზ ფოტოებს აჩვენებდნენ.

სინამდვილეში რა ხდებოდა, ჯერჯერობით, უცნობია. ფაქტი ერთია, ნაციონალების პოლიტიკურ ოპონენტებს სალაპარაკო მიეცათ; მაგალითად, კახეთში მოღვაწე "ედპ-ტრადიციონალისტთა" წევრები ამბობენ, კავშირი, რომელიც ნაციონალების კალთას ეფარებოდა, "მეწარმეს წილში 25 პროცენტში უჯდებოდა".

"კახეთის მეწარმეთა კავშირის" წარმომადგენლები კახელ მეწარმეებს არწმუნებდნენ, რომ მათ ორგანიზაციას მხარს უჭერდა კახეთის გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილიც, რასაც ცისკარიშვილი თავიდანვე უარყოფდა.

ყველაზე სენსაციური განცხადება კი კენჭაძის დაკავებასთან დაკავშირებით თელაველების დეპუტატმა თამაზ ხიდაშელმა გააკეთა. როგორც ის ირწმუნება, კენჭაძე დანაშაულში მან ამხილა: **"ეგ ყველაფერი მე გავაკეთე. ამის გამო გუშინ პარლამენტის სხდომა ჩავშალე"**, - განაცხადა ხიდაშელმა და ასეთივე მუქარა თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს გაუგზავნა.

უნდა აღინიშნოს, რომ კენჭაძე საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე "კახეთის მეწარმეთა კავშირიდან" გამოვიდა, მაგრამ, როგორც კახეთში ამბობენ, იქ სიტუაციას მაინც ის აკონტროლებდა.

# ინტერპოლის საქართველოს ბიუროს ახალი შეფი ჰყავს

*ინტერპოლის საქართველოს ბიუროს "ვარდების რევოლუციის" შემდეგ უკვე მეორე ხელმძღვანელი ჰყავს. შინაგან საქმეთა სამინისტროში ბარამიძის თანაგუნდელის სახელით მისული ალექსანდრე ბაქრაძე, მართალია, ოპერატიული მუშაობის გამოცდილებით ვერ დაიკვეხნის, თუმცა საერთაშორისო ურთიერთობებსა და სამართლებრივ საკითხებში გათვითცნობიერებულობა ამ პოსტზე მას მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს.*

ინტერპოლის აწ უკვე ყოფილი ხელმძღვანელი, ასევე გიორგი ბარამიძის თანაგუნდელი დავით ღლონტი ამჟამად უკვე აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს უდგას სათავეში. გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ირაკლი კლდიაშვილმა ინტერპოლის საქართველოს ბიუროს თანამშრომლებს ახალი შეფი წარუდგინა. თავად მინისტრი ამ ღონისძიებას სრულიად საპატიო მიზეზით ვერ დაესწრო - იგი ბათუმში გამართულ მთავრობის გაფართოებულ სხდომას ესწრებოდა.

საკმაოდ გამოცდილი თანამშრომელი, საზღვარგარეთ მიღებული განათლებითა და წლების მანძილზე საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში შეძენილი გამოცდილებით - კლდიაშვილის მიერ ინტერპოლის თანამშრომელთა წინაშე ჩამოთვლილ ახალი ხელმძღვანელის ამ დადებით მონაცემებს ერთი, შეიძლება ითქვას, ნაკლი ემატება - ოპერატიული მუშაობის გამოცდილების არქონა, თუმცა საკითხი სადავოა - რამდენად სჭირდება ასეთი გამოცდილება ინტერპოლის ბიუროს შეფს, ძნელი სათქმელია, რადგან ყოფილი შეფის, თავის დროზე ოპერატიულ სამსახურებში წლობით ნამუშევარი კახა ბაკურაძის გამოცდილება ინტერპოლის ბიუროს არაფერში გამოადგა. ყოველ შემთხვევაში, ამაზე მეტყველებს თავად ირაკლი კლდიაშვილის განცხადება, რომ საქართველოში ინტერპოლის მუშაობა ამ ეტაპზე მოპარული ავტომანქანების დაბრუნებითა და ოპერატიული ფუნქციების შესრულებით შემოიფარგლება. შინაგან საქმეთა სამინისტროს სიტუაციის გამოსწორების თვალსაზრისით ახალი კადრის, უკანასკნელ დრომდე სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე ნამუშევარი ალექსანდრე ბაქრაძის ეიმედებათ:

**"ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში ნამუშევარს, მას საკმაოდ კარგი გამოცდილება და კონტაქტები აქვს უცხოელ კოლეგებთან. ვიმედოვნებთ, რომ იგი ამ საპასუხისმგებლო მოვალეობას წარმატებით გაართმევს თავს"**, - აღნიშნა ირაკლი კლდიაშვილმა.

თავად ინტერპოლის ბიუროს ახალი ხელმძღვანელის სანდრო ბაქრაძის განცხადებით, საკადრო ცვლილებებზე საუბარს იგი ჯერ ნაადრევად მიიჩნევს და მას ინტერპოლის თანამშრომელთა თანადგომის დიდი იმედი აქვს.

*24 საათი*

# ჩიქოვანის ჯანმრთელობას ექსპერტიზა შეაფასებს

*გუშინ ეგრეთ წოდებულ "კანონიერ ქურდს" გოგი ჩიქოვანს ჯანდაცვის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრის ექიმებმა სპეციალური გამოკვლევა ჩაუტარეს.*

9 მაისს საკუთარ სახლში დაკავებულ "კანონიერ ქურდს", 78 წლის გიორგი ჩიქოვანს, მეტსახელად - "პაპაშას", რომელიც ჯანმრთელობის გაუარესების გამო ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან თერაპიის ინსტიტუტის კარდიოლოგიის განყოფილებაშია გადაყვანილი, გუშინ ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტებმა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარეს. ხანდაზმული პატიმრის ჯანმრთელობის უკიდურესად გაუარესება მის მიერ მშრალი შიმშილობის დაწყებამ განაპირობა. აღსანიშნავია, რომ ჩიქოვანი შაქრიანი დიაბეტით არის დაავადებული და შიმშილობა მისი სიცოცხლისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

დაკავებულის ადვოკატის შალვა შავგულიძის განცხადებით, ექსპერტიზა თავად გამოძიების მიერ დაინიშნა. კომისია კი ჯანდაცვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრმა გამოყო.

როგორც ცნობილია, წარსულში ოთხჯერ ნასამართლევი გოგი ჩიქოვანის ბინის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღს, ორ ცალ ხელყუმბარას და ტანკსაწინააღმდეგო ჭურვ "მუხას" მიაგნეს. შესაბამისად, იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შენახვისთვის დაკავებულ გოგი ჩიქოვანს აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი პატიმრობა ჯერ მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ შეუფარდა. შემდეგ კი, პატიმრის ჯანმრთელობის უკიდურესად გაუარესების მიუხედავად, საოლქო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. შესაძლოა, ამჯერად სასამართლო-სამედიცინო დასკვნა საქმეში ახალ გარემოებად იქნას მიჩნეული, რის საფუძველზეც გოგი ჩიქოვანის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობას სასამართლოში შეიტანენ.

**"იმედი მაქვს, დასკვნა რამდენიმე დღეში მზად იქნება და საშუალება მომეცემა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სასამართლოში ჩიქოვანის გათავისუფლების შუამდგომლობა დავაყენო,"**, - აცხადებს შალვა შავგულიძე.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**ქუთაისი.** გუშინწინ, გვიან ღამით, ქუთაისში გაიქურდა იმერეთის საოლქო პროკურატურა. დაუდგენელმა პირმა შენობაში ღამის საათებში შეძლო შეპარვა. მან პროკურატურის კუთვნილი კომპიუტერი და სხვა ნივთები მოიპარა. იმერეთის საოლქო პროკურატურის შენობას ღამის საათებში ქუთაისის საკუთრების დაცვის სამმართველოს თანამშრომლები იცავენ. მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე კოდექსის 177-ე მუხლის II ნაწილით აღიძრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სამტრედია.** გუშინ დილით შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ნარკოტიკული ნივთიერების გამსაღებელი, 27 წლის ლუდა რენიკოს ასული მუმლაძე დააკავეს. იგი სამართალდამცველების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის I ნაწილით იძებნებოდა. ლუდა მუმლაძე, რომელიც ზუგდიდში, სოფელ ზედა ეწერში ცხოვრობს, სამტრედიის რაიონში აიყვანეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამინისტროს თანამშრომელს - ემზარ ხორბალაძეს მოქალაქის ცემის გამო ბრალს "სხეულის განზრახ დაზიანების" მუხლით წაუყენებენ, რაც სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. როგორც შს მინისტრის მოადგილემ ირაკლი კლდიაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, პოლიციელმა დიდუბის ავტოსადგურთან სამარშუტო ტაქსის მძღოლი ზაზა ლურსმანაშვილი სცემა, რის გამოც ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. **ინტერ-პრესი**



# როგორ აკოტრებდნენ ქართულ ნავიგაციას?

## ანუ "ავიამაფიის კორიფეები 2"

*წინა ხელისუფლებაში ისეთი მაქინაციებით მუშაობდნენ და ისეთი სისწრაფით იხვეჭდნენ სიმდიდრეს, ალბათ, თავად შევარდნაძესაც გააოცებდა მისი ჩინოვნიკების მოქნილობა. იმ დროში ჟურნალისტებსაც თავზესაყრელად გვქონდა "სამუშაო", თუმცა ყველაფერზე მაინც არ მიგვიწვდებოდა ხელი - არ გვაკარებდნენ. თუ თვითმფრინავი არ ჩამოვარდებოდა, რომელიმე ავიაკომპანიის თანამშრომელს არ მოკლავდნენ, ან ლიცენზიის გამო საერთაშორისო სკანდალს არ ატეხდნენ, ავიაციასთან ჟურნალისტს ვინ მიაკარებდა?*

ოთარ ქირია

დაპირებისამებრ, "*24 საათი*" განაგრძობს შავბნელი ავიაისტორიების თხრობას. მართალია, დღეს ავიაციის სულ სხვა სეგმენტზე მინდოდა თქვენი ყურადღების გამახვილება, მაგრამ ჩავთვალე, რომ ის მოიცდის, რამეთუ ნავიგაციაში, რაზეც წინა მასალაში ვსაუბრობდით, ყველაფერი იმით არ შემოიფარგლება, რომ ვილაცამ სახელმწიფო უწყებაში პირადი კანტორა გახსნა, ვილაცამ აქვე მთელი სანათესაო დაასაქმა და "ქერის ორმო" ამოთხარა ქვეყნის ხარჯზე.

"ქართული ავიამაფიის კორიფეები" არსებობას წარმატებით განაგრძობს და დღეს კიდევ ერთ საინტერესო მაქინაციას ახდის ფარდას.

მოკლედ, წინა სტატიამ "კორიფეებში" პოპულარობით სულაც არ ისარგებლა, აქა-იქ მას პრესკონფერენციაც კი მიუძღვნეს მიკერძოებულობის ბრალდებით. მაგრამ არც ჩვენ დავზარდებით და გავიმეორებთ, რომ ყველა მოყვანილ ფაქტზე არსებობს დოკუმენტი. არც დღეს გადავუხვევთ გეზს და ყველა საქმეს საბუთებით დავადასტურებთ.

მოკლედ, შპს "საქაერონავიგაციის" მიმართ დებიტორული დავალიანება აქვთ ქართულ და უცხოურ ავიაკომპანიებს. დღეისათვის დავალიანებების საერთო თანხა, ჯარიმებისა და პროცენტების დამატების გარეშე 2.052 მილიონ ლარს შეადგენს. ეს დავალიანებები, ძირითადად, 1997-2004 წლებში დაგროვდა (იმ მონაცემების მიხედვით, რასაც დღევანდელი ხელმძღვანელობის იურისტები დასკვნის სახით წერენ).

"საქაერონავიგაციას" თანხები ჯერაც არ მიუღია, ასევე, აშშ-ს საელჩოს, ბავშვთა ფონდის, სახელმწიფო ავიაციის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, გაეროს დამკვირვებელთა მისიებისთვის გაწეულ მომსახურებაში. საერთო თანხა 2.527 მილიონ ლარს შეადგენს. მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფო ავიაცია განთავისუფლებულია გადასახადებისაგან. რაც შეეხება გაეროს დამკვირვებელთა მისიის და სხვა ორგანიზაციების ავია-გადაადგილებას, საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად, საქართველო ვალდებულია გაუწიოს უფასო მომსახურება აღნიშნულ ორგანიზაციათა თვითმფრინავებს.

უცხოური ავიაკომპანიებიდან ყველაზე დიდი დავალიანება "საქაერონავიგაციის" მიმართ ავიაკომპანია "სომხეთის ავიახაზებს" აქვს. თანხა 2002-2003 წლებში დაგროვდა და დღეისათვის 389 ათას აშშ დოლარს შეადგენს. ეს ავიაკომპანია აღარ ფუნქციონირებს, თუმცა გაუქმებამდე ავიაკომპანიამ რეისები "არმავიას" დაუთმო, რომლის აქციათა 80 პროცენტის მფლობელია ავიაკომპანია "სიბირი".

"საქაერონავიგაციის" მიმართ მსხვილი დავალიანება აქვს რუსეთში დაფუძნებულ "ავიაექსპრესკრუიზს". ვალი 1999-2003 წლებში წარმოიშვა და ჯამში 68 ათას დოლარს შეადგენს. ამჟამად ავიაკომპანია ფრენებს აღარ ახორციელებს.

მცირე ზომის დებიტორული დავალიანებები აქვთ სხვა რუსულ და უკრაინულ ავიაკომპანიებს. ვალის სიდიდე 140-იდან 5000 დოლარამდე მერყეობს, თუმცა ასეთი ავიაკომპანიების რიცხვი ჯამში 17-ია.

ირკვევა, რომ ზემოხსენებული რუსული "ავიაექსპრესკრუიზის" პარალელურად არსებობს ქართული "ავიაექსპრესკრუიზიც" და მას "საქაერონავიგაციის" 109 ათასი ლარი მართებს 1998 წლიდან. მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა კომპანია თანხას არ ფარავს. აღსანიშნავია, რომ ამ გაფრთხილებებისა და გაუგებარი დამოკიდებულების ფონზე ავიაკომპანიასთან 2001 წლის მარტში ახალი ხელშეკრულებაც კი გაფორმდა. დამტკიცდა ძველი დავალიანების გადახდის გრაფიკიც, თუმცა თანხა მაინც არ დაიფარა. არადა ამ კომპანიას თბილისში, ავიასალაროც ჰქონდა გახსნილი.

ქართული ავიაკომპანიებიდან ყველაზე დიდი თანხა "საქაერონავიგაციის" მიმართ "საქართველოს ავიახაზებს" მართებს - 1.232 მილიონი ლარი, რომელიც 1995-1998 წლებში წარმოიშვა. დღეს "საქართველოს ავიახაზები" გაკოტრებულია და სანამ გაკოტრების კომისია არ დაასრულებს მუშაობას საეჭვოა "საქაერონავიგაციამ" რამე მიიღოს, თუ საერთოდ მიაკუთნეს რამე ვალების ხანდაზმულობის გამო.

1997-1999 წლებში 122 ათასი ლარის დავალიანება წარმოეშვა "ეარჯორჯიას". ავიაკომპანიის ბუღალტერთან ერთად შედგენილია შედარების აქტიც. მოპოვებულ იქნა ინფორმაცია "ეარ-ჯორჯიას" ქონებრივი მდგომარეობის შესახებ და გაირკვა, რომ საწარმო ფლობს თვითმფრინავს. სასამართლოში სარჩელი მხოლოდ მიმდინარე წლის 5 მაისს შევიდა (ანუ მაშინ, როცა ძველი ხელმძღვანელობა და იურისტები უკვე აღარ მოღვაწეობდნენ "საქაერონავიგაციაში". ახალი ხელმძღვანელობა ამ საწარმოში მარტში მოვიდა - ო.ქ.) და საქმე "საქაერონავიგაციის" სასარგებლოდ გადაწყდა. თანხა ორიოდ კვირის წინ დაიფარა.

1997-1998 წლებში 118 ათასი ლარის მომსახურება გაეწია ავიაკომპანია "ლასარე-ეარ"-ს. თანხა დღესაც გადაუხდელია. (ახალი ხელმძღვანელობის მოსვლასთან ერთად ავიაკომპანიის კუთვნილ თვითმფრინავს ყადაღა დაედო, თუმცა აღმასრულებელს ის ადგილზე განადგურებული და დაჭრილი დახვდა. ყადაღა დაედო ავიაკომპანიის საბანკო ანგარიშებს და მიმდინარეობს მუშაობა ავიაკომპანიის სხვა ქონების დასადგენადაც - ო.ქ.). მიუხედავად დავალიანებისა, ავიაკომპანიის მფლობელებმა დააფუძნეს შპს "ლასარე", რომელიც აეროპორტის თავისუფალ ტერიტორიაზე საწყობს ფლობს და, სავარაუდოდ, სოლიდურ შემოსავლებსაც იღებს. "ლასარე-ეარ"-ისა და "ლასარე"-ს სამართლებრივი დაკავშირება შეუძლებელია. ამიტომაც, "საქაერონავიგაციის" ამჟამინდელი ხელმძღვანელობა აპირებს მიმართოს პროკურატურას.

მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება შპს "გაკოს" შესახებ, რომელსაც "საქაერონავიგაციის" მიმართ ასევე სოლიდური დებიტორული დავალიანება გააჩნია. ავიაკომპანია აღარ ფუნქციონირებს. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში ახლაც მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება. ირკვევა ისიც, რომ გაკოტრების საქმის მწარმოებელი საქმის შეწყვეტას ითხოვს, ვინაიდან კომპანიას გაკოტრების მასა არ გააჩნია. თუმცა, არსებობს ინფორმაცია, რომ აღნიშნული საწარმოს დამფუძნებლებმა "გაკოს" გაკოტრების შემდეგ დააფუძნეს "გაკო კავკასია", რომელსაც წინამორბედის ბედი მალე ეწია. არცთუ დიდი ხნის წინათ კი ამავე ჯგუფმა დააფუძნა "ეარ-ბისეკი". კანონით "გაკოს" დავალიანების მოთხოვნა "ეარ-ბისეკისთვის" შეუძლებელია. ამ შემთხვევაშიც "საქაერონავიგაციის" ხელმძღვანელობა აპირებს მიმართოს პროკურატურას.

1995-1998 წლებიდან ავიაკომპანია "აბავია"-ს "საქაერონავიგაციის" 63 ათასი ლარი მართებს. ავიაკომპანიას საკუთრებაში აქვს თვითმფრინავი, რომელიც იჯარით აქვს გადაცემული სხვა კომპანიაზე. ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, ამ კომპანიის მიმართაც არავითარი ქმედება არ განხორციელებულა ვიდრე დღემდე, როცა ახალ ხელმძღვანელობას სარჩელი შეაქვს.

"საქაერონავიგაციის" 19 ათასი ლარი მართებს "სოხუმის ავიახაზებს", ვალი 1997-1999 წლებში წარმოიშვა. ავიაკომპანია ფლობს თვითმფრინავს. სარჩელი მათ წინააღმდეგაც მზადდება.

ავიაკომპანია "ნინტრანსავიასერვისი" - დავალიანების თანხამ 1998 წელს 10 ათასი ლარი შეადგინა და ის დღემდე არ დაფარულა. ავიაკომპანია ფლობს თვითმფრინავს. სასამართლოში მოპასუხედ წარდგინება ამ კომპანიასაც მალე მოუწევს.

ავიაკომპანია "გატკო" - დავალიანების თანხა შეადგენს 7 ათას ლარს და ის 2003 წელს წარმოიშვა. მზადდება სარჩელი.

ავიაკომპანია "ტრანსავიასერვისი" - დავალიანება 2003 წელს წარმოიშვა და 3 ათას ლარს შეადგენს.

ავიაკომპანია "ტაიფუნი" - 1997-1998 წლებში დავალიანებამ შეადგინა 8 ათასი ლარი.

ერთადერთი ავიაკომპანია, რომლის მიმართაც სარჩელი დროულად აღიძრა გახლავთ "მიმინო", რომელსაც "საქაერონავიგაციის" სასარგებლოდ 25 ათასი ლარის გადახდა დაეკისრა, თუმცა თანხა დღემდე არ დაფარულა.

და კიდევ, ტრანზიტების რეისების მომსახურების თანხების აკრეფა ავიაკომპანიებისაგან ხორციელდება საერთაშორისო ავიასატრანსპორტო ასოციაციის IATA-ს მეშვეობით. აქ ხდება მხოლოდ თანხების აკრეფა, იძულების მექანიზმი IATA-ს არ გააჩნია. როგორც ირკვევა, "საქაერონავიგაციაში" არ არსებობს IATA-სთან დადებული ხელშეკრულების ქართული ვარიანტი და მათ მიერ მიღებული არცერთი რეზოლუცია. "საქაერონავიგაციის" ახალი ხელმძღვანელობა ეჭვობს, რომ ანალოგიური სიტუაციაა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთანაც.

1997-1998 წლების პერიოდში "საქაერონავიგაციის" მიმართ დავალიანებები დაუგროვდათ ასევე ბათუმის, ფოთის, სენაკის და თელავის აეროპორტებს. მათ შორის ყველაზე დიდი თანხა - 82 ათასი ლარი - ბათუმს მართებს. ყოფილი ხელმძღვანელობის



*ნავიგაციისადმი დღესაც მილიონები მართებთ.*

მხრიდან არ გატარებულა არანაირი ღონისძიება ამ თანხების ამოსაღებად და კანონით დადგენილი წესით არ მიუმართავთ სასამართლოსათვის.

დღესდღეობით თითქმის ყველა მოთხოვნება დებიტორების მიმართ არის უპერსპექტივო იმის გამო, რომ ვალის მეტი წილი ხანდაზმულია. ამასთან, გამომდინარე ავიაკომპანიების სპეციფიკიდან, ისინი ძალიან მოკლე პერიოდში შეიძლება გახდნენ გადახდისუუნაროები ან გაკოტრდნენ. რაც მოხდა ავიაკომპანია "სომხეთის ავიახაზების" შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს კომპანია თვეების განმავლობაში არღვევდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და არ იხდიდა მომსახურების საფასურს. "საქაერონავიგაციის" მიერ არ გატარებულა არავითარი ღონისძიება აღნიშნული კომპანიის მიმართ, რამაც საბოლოოდ 400 ათასი დოლარის ზარალი მიაყენა სახელმწიფო საწარმოს.

"საქაერონავიგაციის" ამჟამინდელი ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ყველა ავიაკომპანიას გაეგზავნა წერილობითი მოთხოვნა დებიტორული დავალიანების თანხის გადახდის შესახებ და გაფრთხილება, რომ დაგეგმილია სარჩელის შეტანა. ხოლო იმ კომპანიებს, რომელიც ამჟამადაც ფუნქციონირებენ და აქვთ დავალიანებები, გაეგზავნებათ წერილობითი გაფრთხილება, რომ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში შეეწყდებათ მომსახურება.

გარდა ამისა, "საქაერონავიგაციამ" ჯერ საოლქო, შემდეგ უზენაეს სასამართლოში წააგო პროცესი ეკონომიკის სამინისტროსთან, რომელიც საწარმოს უკანონო ფასწარმოქმნას ედავებოდა. ორივე ინსტანციის სასამართლო განაჩენში, ისევე, როგორც კონტროლის პალატის აქტში, წერია, რომ "საქაერონავიგაცია" წლების მანძილზე უკანონოდ აწარმოებდა ელენერგიის განაწილებას. კერძოდ, ის "ეი-ი-ეს თელასი"-საგან ყიდულობდა კილოვატ/საათ ენერეგიას 4.5 თეთრად, ხოლო აეროპორტს და აფრენა-დაფრენასთან დაკავშირებულ ყველა სუბიექტს აწვდიდა 5.4 თეთრად.

დაწყებულია სასარჩელო პროცესი "საქაერონავიგაციასა" და ფინანსთა სამინისტროს შორის. კერძოდ, საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილგადამხდელთა ინსპექციამ "საქაერონავიგაციას" გააუქმა დღგ-ს ჩათვლების მთელი სერია, რადგან ის კომპანიები, რომელთაგანაც "საქაერონავიგაციას" მიღებული ჰქონდა ანგარიშ-ფაქტურები, ფინანსთა სამინისტროში ჩასათვლელი დღგ-ს თანხებს არ იხდიდნენ.

"საქაერონავიგაციამ" ვერ მოახერხა, ასევე, ფინანსთა სამინისტროსგან იმ თანხების მიღება, რომელიც მას გაეროს მისიების თანამშრომელთა და საერთაშორისო დამკვირვებელთა გადაყვანის დროს გაწეული სანავიგაციო მომსახურებისთვის ეკუთვნოდა. დადგენილი წესით ამ თანხებს სახელმწიფო უნდა ფარავდეს, თუმცა ეს თანხები სახელმწიფოს არ დაუფარავს. მოკლედ "საქაერონავიგაციას" ვალები დიდად არ აღელვებდა. რატომ?

გოჩა სვანიძე, "საქაერონავიგაციის" ყოფილი ადვოკატი:

**- "სომხეთის ავიახაზების" წინააღდეგ სარჩელი რატომ არ აღძარით?**

- თუ დირექტორმა არ უთხრა ადვოკატს, ის თავისით ვერ გადაწყვეტს რა საქმე გააკეთოს - ***(თუმცა, ჩვენ ხელთ გვაქვს დოკუმენტი, სადაც "საქაერონავიგაციის" ხელმძღვანელი ალექსანდრე სილაგაძე 2003 წლის ოქტომბერში მიმართავს სვანიძეს, მიიღოს ზომები დავალიანებებთან დაკავშირებით - ო.ქ.)*** - მე შემატყობინეს გასული წლის ბოლოს, მაგრამ ეს ასე იოლი საქმე არ არის. ჯერ ერთი გამოსარკვევი იყო, რომელი ვალია ხანდაზმული და რომელი არა. საჭირო იყო მიმოწერა, გადაფრენები, სახელმწიფო ბაჟის გადახდა და სხვა უამრავი პროცედურა, რომელიც ერთ და ორ დღეში არ კეთდება. მიმდინარეობდა მოლაპარაკება.

**- აქ მარტო სომხურ ავიაკომპანიაზე არ არის საუბარი?**

- სია გადმომცეს, მაგრამ ყველა ავიაკომპანიის სახელი ნამდვილად არ მახსოვს.

**- ხშირ შემთხვევაში საქმე ხანდაზმულობამდე მიდიოდა, რატომ?**

- ეს მოლოდ თანხას არ ეხება.

**- რაც შეეხება ჩათვლებთან დაკავშირებულ საქმეს, ის წაგებულია?**

- სარჩელი შეტანილია და თუ წააგებს ვაი მაგათ პატრონს.

**- თქვენ ხომ წააგეთ საქმე?**

- ერთი წავაგეთ, ეკონომიკის სამინისტროსთან. ოღონდ, რა ფოკუსებით მოგვიგეს დღესაც არ ვიცი.

**- რაც შეეხება "საქართველოს ავიახაზებს"?**

- გაკოტრების პროცესი უკვე დაწყებულია.

**- თქვენს გარდა "საქაერონავიგაციას" იურისტი არ ჰყავდა?**

- შეიძლება ჰყავდა, არ ვიცი. ისე, ძალიან ძვირი დაუჯდებოდა.

საქაერონავიგაციის ყოფილი ხელმძღვანელი ალექსანდრე სილაგაძე არანაკლებ განაწყენებული ჩანს წინა სტატიით, თუმცა ჩვენ კიდევ ერთხელ ავუხსენით პირად საუბარში, რომ მას აქვს სრული უფლება სასამართლოში იჩივლოს: (*ინტერვიუში სტილი დაცულია*):

**- არსებობს აზრი, რომ ნავიგაციის მიმართ ვალები ხელოვნურად იქმნებოდა, და არ საჩივრდებოდა?**

- ვის აქვს ასეთი აზრი?

**- ექსპერტებს. თუნდაც დღევანდელ ხელმძღვანელობას.**

- გააჩნია რა დებიტორულ დავალიანებებზეა საუბარი. არის ისეთი დავალიანება, რომელიც იმის გამო წარმოიშვა, რომ სახელმწიფომ არ შეასრულა თავისი მოვალეობები. არსებობს კიდევ დინამიური დებიტორული დავალიანებები. ავიაკომპანია თავიდან არასდროს არ იხდის, ის იღებს მომსახურებას და გარკვეული დროის შემდეგ იხდის თანხას. დაახლოებით სამი თვის დაგვიანებით იწყება გაწეული მომსახურების საფასურის დაფარვა. ჩვენ ვხელმძღვანელობთ "იკაო"-ს რეკომენდაციით. მათი პრინციპია - ავიაკომპანიებთან ვითანამშრომლოთ ბოლომდე და არ შევუზღუდოთ მათ ფრენის საშუალება. საქმე ეხება მგზავრებს. თქვენ, რომ ბილეთი იყიდოთ, ავიაკომპანია კი ნავიგაციის ვალების გამო დახურული დაგხვდეთ და არ გაგაფრინოთ, დააშავეთ რამე.

**- ზღვარი სად არის?**

- ზღვარი სხვადასხვანაირია - სანამ არ გაიმარჯვებ.

**- მაგალითად?**

- ჩვენთან ერთ დროს რუსული სამხედროები დაფრინავდნენ. დიდი ხნის მანძილზე მათ დავალიანება არ ჰქონდათ დაფარული, დაახლოებით 1993 წლიდან. დღეს კი, ყველაფერს იხდიან.

**- "საქართველოს ავიახაზების" შემთხვევაში ვალები ძლიან დიდი ხნისაა...**

- ის ეხლა გამოაცხადეს ბანკროტად.

**- თუმცა მისმა მფლობელებმა სხვა ავიაკომპანია დააარსეს?**

- არ ვიცი. მე ვიცი, რომ გაკოტრების პროცესი დაწყებულა.

**- ავიაკომპანია "გაკო"?**

- არ ვიცი.

**- ხომ შეიძლებოდა მათი გაფრთხილება; რამდენადაც ვიცი, ზოგ შემთხვევებში შედარების აქტები გაკეთებულიც არის?**

- ყველაფერი გაკეთებულია, გაკოტრების კომისია გადაწყვეტს რამდენი ერგება "საქაერონავიგაციას".

**- და როდის, ვალების ხანდაზმულობა არ უნდა იქნეს გათვალისწნებული?**

- სასამართლო გადაწყვეტს.

**- საერთოდ რამდენი ხანი შეიძლება აცალო ავიაკომპანიას ვალი?**

- შეიძლება დიდი ხანიც. ძირითადად, ასეთი პრობლემები ყოფილ საბჭოთა ავიაკომპანიებთან არსებობს. საერთაშორისო კომპანიების შემთხვევაში სხვა მდგომარეობაა.

**- "სომხეთის ავიახაზები"?**

- სხვათა შორის ის ძალიან კარგად იხდიდა, ამჟამად მისი რეისებით ავიაკომპანია "სიბირი" სარგებლობს.

**- და როდის გადაიხდის ვალს?**

- იქნება. სხვათა შორის საქართველოს სომხეთის დენის ფული მართებდა. მაღალ დონეებზე მოლაპარაკება მიდიოდა ჩათვლის შესახებ.

**- რა ვალდებულია ნავიგაცია დენის ვალი დაფაროს?**

- ეს მაღალ დონეებზე წყდებოდა და ჩემი საქმე არ იყო.

**- "სომხეთის ავიახაზებმა" რეისების 80 პროცენტი "არმავიას" უსახსოვრა. შემდეგ გამოჩნდა ავიაკომპანია "სიბირი", ფული ხომ იყო. რატომ არ იჩივლეთ?**

- სასამართლოში ჩივილს რა აზრი აქვს.

**- ის, რომ ეს სახელმწიფო ფულია და არა თქვენი...**

- ისინი არ უარყოფდნენ ვალის დაფარვას - ნელ-ნელა, გრაფიკით იხდიდნენ.

**- პირველი ვალის აღების შემდეგ დიდი დრო გავიდა...**

- ისინი ნელ-ნელა იხდიდნენ.

**- ეხლაც ამბობენ, ფრენებს დავიწყებთ და გადავიხდითო...**

- დიახ და დააბრუნებენ კიდეც თანხებს.

**- რაც შეეხება "ეარ-ჯორჯია"-ს?**

- "ეარ-ჯორჯია" არ უარყოფდა დავალიანებას. მათ ფული არ ჰქონდათ, თვითმფრინავს გაყიდიან და გადაიხდიან.

**- "ავიაექსპრესკრუიზი"?**

- ეს კომპანია ფულს იხდიდა. მერე ლიცენზია დაუხურეს, ვფიქრობ მას მალე დაუბრუნებენ ფრენის უფლებას.

**- უცნაურია, ავიაკომპანიას ჯერ ართმევენ, შემდეგ უბრუნებენ ფრენის უფლებას... საერთოდ, ეს ქართული ავიაკომპანიაა, თუ რუსული?**

- იყო ქართული მხარეც და რუსულიც.

**- ფინანსთა სამინისტროსთან დაკავშირებულ პრობლემებზე რას იტყვით, მგონი ჩათვლები გაგიუქმეს თავის დროზე?**

- სახელმწიფოს იმაზე მეტი მივეცით ვიდრე ეკუთვნოდა.

**- ვგულისხმობ იმას, რომ იურიდიულად თქვენი მხარე სუსტი იყო...**

- თქვენ სპეციალისტი არ ხართ და ამას ვერ იტყვით. პირიქით, იურიდიული მხარე ძალიან ძლიერი იყო. ჩვენი საწარმოს შემოსავალი სერიოზულად იზრდება, მოხდა გადაიარაღება, ახალი შენობა ავაშენეთ, ტექნიკა შემოვიტანეთ.

**- დოკუმენტების მიხედვით, ჩათვლები იმიტომ გაგიუქმეს, რომ ის კომპანიები არ იხდიდნენ დღგ-ს, ვისგანაც ყიდულობდით საქონელს?**

- მე ხომ მოვიტანე ანგარიშფაქტურა...

**- მაგრამ ყოფილა მოსაზრება, რომ ეს კომპანიები არ არსებობენ და დოკუმენტები თქვენ მიერ გაყალბდა...**

- მე არ შემიძლია გაყალბება. ეს რომ გამეკეთებინა, ჩამსვავდნენ. სარჩელი უკვე შეტანილია სასამართლოში და ეს საქმე წაგებული ნამდვილად არ არის.

**- ენერგეტიკის საკითხებთან დაკავშირებით ხომ წააგეთ?**

- ჩვენ არ წაგვიგია - ჩვენ ვერ მოვიგეთ. ტარიფები არ გაგვიზრდია. "სემეკ"-მა თქვა, რომ არ არეგულირებს იმ ტექნიკურ მომსახურებას, რასაც ჩვენ ვახორციელებდით. კომისია კი ამბობდა, რომ ელენერგიაზე ტარიფები გავზარდეთ.

**- დიახ ის, რასაც თქვენ აკეთებდით იყო დისტრიბუცია?**

- დისტრიბუცია არა, განაწილება. საერთოდ, ეს საქმე სულაც არ გვინდოდა. მაგრამ იძულებული შევიქენით. თავიდან არსებობდა ერთიანი ენერგო-სისტემა. ხშირად დენი ითიშებოდა. ამიტომ, საჭირო იყო ელენერგიის რეზერვირება. ადრე დენის ორი წყარო არსებობდა, შემდეგ ერთი გაფუჭდა. დენის გათიშვის შემთხვევაში, მაგალითად აეროპორტი ქალაქს უნდა დალოდებოდა, როდის მიაწვდიდა დენს. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ გვქონდა "იუპიეს"-ები გვითხრეს მათთვისაც მიგვეწოდებინა და ამისთვის 20 პროცენტი დაგვიმატეს.

**- მაგრამ ამ გაძვირებულ დენს ისინი ხომ მუდმივად არ მოიხმარდნენ, თანხას კი სულ ნამატით იხდიდნენ?**

- სადენებსა და სარეზერვო "იუპიესებს" ხომ, სჭირდებოდა მომსახურება. მე ხალხი მყავდა მათი ექსპლუატაციისათვის დაქირავებული.

**- გასაგებია, მაგრამ კანონით ელენერგიის განაწილების უფლება არ გქონდათ თუ ლიცენზიას არ ფლობდით...**

- ლიცენზია იყო.

**- მან ორი წლით დააგვიანა. თავიდან თქვენ ულიცენზიოდ აწვდიდით...**

- თუ ასე გაინტერესებთ ეს საკითხი დაველაპარაკოთ იურისტს. ჩვენ დღემდე ვერ გავიგეთ, გვჭირდებოდა თუ არა ლიცენზია. ამიტომ, ამ საკითხზე ნუღარ ვისაუბრებთ, შევხვდეთ იურისტს და ისე.

**- თქვენი იურისტი ამბობს - დირექტორი არ მაძლევდა დირექტივებს და იმიტომ არ ვჩიოდიო...**

- ისევ ეს საკითხი. ის მართალია. კიდევ გეუბნებით, არავინ დავობდა ვალის გადახდაზე. უბრალოდ დღეს ისინი მძიმე სიტუაციაში არიან.

**- ავიღოთ მაგალითად ავიაკომპანია "ეარ-ბისეკი", მანამდე იყო "გაკო-კავკასია", უფრო ადრე "გაკო" - იქნებ აფერისტები არიან?**

- მე არ შემიძლია გითხრა, რომ აფერისტები არიან. "ეარ-ბისეკი" დღეს იხდის. პოსტსაბჭოურ დროში იყო რაღაც გაუგებრობა. მაშინ არც კანონი იყო. დღეს საშუალებები არსებობს. თუ ავიაკომპანია იძახის, რომ არ გადაიხდის, მხოლოდ მაშინ შეიძლება სასამართლოში ჩივილი.

მოკლედ, რუსულ-ქართული დიალოგი სილაგაძესთან გაგრძელდა იმაზე, თუ რატომ გააფორმა "საქაერონავიგაციამ" 1999 წელს გოჩა სვანიძის იურიდიულ კომპანიასთან უვადო ხელშეკრულება, როგორია ნავიგაციის ტექნიკური აღჭურვილობა, რატომ უნდა იყოს ავიაკომპანიის ინტერესი ჯერ მგზავრი და მერე ბიზნესი, ან პირიქით და ა.შ. ბატონმა საშამ ბევრ სხვა საკითხებშიც გამარკვია. ბოლოს მეუხერხულა. გვერდით მანქანაში სამი ადამიანი გველოდა (ალბათ დაცვა იყო). რაც არ უნდა ფიზიკურად ძლიერი ჩანდეს კაცი, საათზე მეტის ლოდინი მაინც რთული მოსათმენია.

რაც შეეხება "საქაერონავიგაციის" ახალ ხელმძღვანელობას, მისი სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვიქტორ გოგორიშვილი აცხადებს, რომ: **"ასეთი პოლიტიკით, სახელმწიფომ უკვე დაკარგა მილიონები. სომხური კომპანიის შემთხვევაში 389 ათასი დოლარი, "საქართველოს ავიახაზების" შემთხვევაში მილიონ ლარზე მეტი და სხვა მრავალი. რა თქმა უნდა, ავიაკომპანიებს ხელი უნდა შეეწყოთ საქმიანობაში მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო აზარალო. წლების მანძილზე ლოდინი არ შეიძლება, მარტო იმიტომ, რომ ვალი ხანდაზმული ხდება და მასთან დაკავშირებულ საქმეებს მერე სასამართლოც აღარ იღებს წარმოებაში. წინა ხელმძღვანელობის მაგივრად, დღეს ჩვენ გვიხდება ახალი იურისტების ძებნა, სასამართლოებში სირბილი, სარჩელებზე მუშაობა, ყადაღები და ა.შ."** - აცხადებს გოგორიშვილი.

როგორია ექსპერტების აზრი?

**"მე როგორც ისანი-სამგორის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა ნავიგაციის ხელმძღვანელობას არაერთხელ მივმართე იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რაც აეროპორტის დასახლებაში მცხოვრებთ აწუხებთ. არადა ნავიგაციას ხელეწიფებოდა ამ პრობლემების მოგვარება. თუმცა, მოგვარება კი არა, საერთოდ ყურად არ იღეს ჩემი მიმართვა. ეს აეროპორტის და საერთოდ სამგორის მოსახლეობამ გადასარევად იცის და მიხვდებიან რასაც ვგულისხმობ.**

**რაც შეეხება, ავიაკომპანიებთან დაგროვილ ვალებს, მეც ვიცნობ "იკაოს" რეკომენდაციას, რომელიც ავიაკომპანიების ხელშეწყობას გულისხმობს, მაგრამ აქ არ არის საუბარი იმაზე, რომ ვალები წლებით აცალო, ან ყველაფერზე თვალი დახუჭო. შეგნებულად თუ შეუგნებლად, ფაქტია, რომ ნავიგაციის ხელმძღვანელობას გულგრილი დამოკიდებულება გააჩნდა მნიშვნელოვანი საკითხებისადმი. რა თქმა უნდა ძველ ხელმძღვანელობას ვგულისხმობს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ კი არა, აეროპორტის დასახლების მაცხოვრებლებმაც კი იციან, რომელი ავიაკომპანიის უკან ვინ დგას. ეს ხომ უცხოეთი არ არის, ჩვენი ახლო წარსული სხვანაირია და ყველამ ვიცით ვინ რას ფლობს, ნავიგაციამაც მათ შორის და არ უნდა შეეწყო ხელი ისეთი კომპანიებისთვის, რომელიც პოტენციული ბანკროტები იყვნენ. იურიდიულად შეიძლება იგივე "გაკო", მერე მისი შვილობილები, თუ მისივე დამფუძნებლების მიერ შექმნილი ახალი ავიაკომპანიები შეიძლება ერთმანეთს ვერ დაუკავშირო, მაგრამ ხომ ყველამ ვიცით, რომ ეს ერთი ხალხის არის. რატომ მივცემ ასეთ ხალხს კიდევ ვალს, თუ რაღაც განსაკუთრებული არ ხდება? თუკი ნავიგაციის ხელმძღვანელობას ბერკეტი არ ჰქონდა, პარლამენტში საკითხი უნდა დაეყენებინა. ჯერ არ მახსოვს, რომ ამ უწყებას ჩვენთვის მოემართოს. ხომ ჰქონდა ამის საშუალება აღმასრულებელ ხელისუფლებაში მაინც. რატომ ერთხელ არ გადადგა ნაბიჯი?"** - აცხადებს პარლამენტარი მიხეილ მაჭავარიანი.

ნომრის სტუმარი

# ძარღვი ხელახლა ფეთქავს

მაია ჭალაგანიძე

**გენერალ-ლეიტენანტი გივი იუკურიძე; თელაველი; 1975 წელს დონეცკის უმაღლესი სამხედრო პოლიტიკური სასწავლებლის საინჟინრო ფაკულტეტზე ჩააბარა; სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა სამარაში, მერე კი ავღანეთში გააგზავნეს, სადაც ბატალიონის მეთაურის მოადგილე იყო და ვადამდე კაპიტნის წოდებაც მიანიჭეს; იქიდან დაბრუნების შემდეგ სამსახურის გეოგრაფია ასეთი იყო: ახალქალაქი, მოსკოვის სამხედრო პოლიტიკური აკადემია, განჯა, ახალქალაქი, თბილისი, ბათუმი; 1992 წელს საბჭოთა არმიიდან წავიდა და ქართულ ჯარში ვიცეპოლკოვნიკის წოდებით მოვიდა; მსახურობდა გორში; 1993 წელს მისმა ნაწილმა ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა. შემდეგ რუსეთის შეიარაღებული ჯარების გენშტაბის აკადემია დაამთავრა. მსახურობდა საქართველოს ეროვნული უშიშროების აპარატში, შემდეგ - პრეზიდენტის აპარატში. თებერვალში კი ახალმა ხელისუფლებამ გენერალური შტაბის უფროსობა ჩააბარა;**

**ჰყავს მეუღლე და პატარა ვაჟი, რომელსაც ჯარში ულაპარაკოდ გაუშვებს.**



ჯარისკაცებს სამოქალაქო აბანოებში ბანდნენ. ეს "მარცხენა" შემოსავლების წყაროც იყო... 50 კაცი იბანდა და უფრო მეტ ჯარისკაცს აფორმებდნენ. შედეგად დაუბანელ ჯარისკაცს და ვიღაცის სქელ ჯიბეს ვიღებდით.

პირველ რიგში, ზოგიერთებს გეოგრაფიას შევასწავლიდი. გაუგებარი იყო, რატომ ააფეთქეს ხიდები, რადგან ფოთში მთელი ტექნიკა და ავიაცია სწავლებებს ჩრდილოეთით ატარებდა და არა სამხრეთით.

აფხაზები მობილიზაციისთვის ემზადებიან, მაგრამ პოზიციების გამაგრება არა მდინარე ენგურის სიახლოვეს, არამედ ღალიძგაზე დაიწყეს. ეს ტერიტორია აფხაზეთის სიღრმეში მდებარეობს. თუ ისინი იქ გამაგრდებიან და დანარჩენ ტერიტორიას გვითმობენ, ეს უკვე ძალიან კარგია.

**- შეგიძლიათ თქვათ, რა რაოდენობის სამხედრო დახმარებას ვიღებდით მეგობარი ქვეყნებიდან?**

- ფულით, პრაქტიკულად, არავინ გვეხმარებოდა. უფრო ფასეულობების, ქონების, ტექნიკის, მარაგნაწილების სხვა სახით გვეხმარებოდნენ..

**- ამ რესურსებით ჯარის რეფორმირება შესაძლებელი იყო?**

- სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ რეფორმა, გარკვეულად, დაწყებული დაგვხვდა, მაგრამ ამ რეფორმების მიმდინარეობას ძალზე ბევრი პრობლემა ახლდა. ჯერ ერთი, რეფორმირების საწყის ეტაპზე ჩამოყალიბებული არ იყო, რა გვინდოდა, რისკენ ვისწრაფვოდით. რა თქმა უნდა, პიველ რიგში, უნდა დგვეგეგმა, რას ვაშენებთ და მერე დაგვეწყო მშენებლობა. არაერთხელ შეიცვალა სხვადასხვა სამხედრო ქვედანაყოფის სტრუქტურა, ჩამოყალიბდა და გაუქმდა სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული. ამ ცვლილებების შედეგად მატერიალური ქონება ერთი პასუხისმგებელი პირიდან მეორესთან გადადიოდა, ხშირად კი, საერთოდ, უპატრონოდ რჩებოდა.

**- ელიტური და არაელიტური ნაწილების არსებობის ტენდენციას საით მივყავდით?**

- ჩემთვის გაუგებარია, ერთი ქვეყნის ჯარში, ერთნაირი პასუხისმგებლობის და ერთნაირი დატვირთვის მქონე სამხედრო მოსამსახურეებს რატომ უნდა ჰქონდეთ ერთმანეთისგან განსხვავებული მომარაგება, ხელფასი და უზრუნველყოფის სხვა საკითხები. ეს ხალხის განწყობაზეც აისახა - არაელიტურ ნაწილებში მომსახურე ჯარისკაცების აბსოლუტურ უმრავლესობას იმედი ჰქონდა გადაწურული. შედეგად მივიღეთ პრესტიჟდაკარგული ჯარი, რაც კატეგორიულად დაუშვებელია.

დღეს პრეზიდენტი და უშიშროების საბჭო ამ საკითხებში მაქსიმალურ დახმარებას გვიწევენ. ჩვენც ვცდილობთ მდგომარეობის შეცვლას.

**- შედეგად?**

- ყველა ჯარისკაცზე გაიცემა სამხედრო სამოსელი. ხანდახან ისეც ხდებოდა, რომ ჯარისკაცს ერგებოდა ქუდი და არ ერგებოდა ფორმა, ან არ ერგებოდა ფეხსაცმელი. ახლა ყველა ოფიცერი და ჯარისკაცი მიიღებს კომპლექტს.

გარდა ამისა, ყველა ოფიცერსა და ზემდეგს ივნისის თვიდან ხელფასზე დანამატი განესაზღვრება. ელიტურ ნაწილებში მომსახურე მაიორი, თანამდებობის მიხედვით, 600-700 ლარს იღებს. ჩვეულებრივ ნაწილში კი 100-120 ლარს. ეს უზარმაზარი განსხვავებაა. 120 ლარად რთულია არჩინო ოჯახი, იყო პატიოსანი და კეთილსინდისიერად შეასრულო ჯარისკაცის მოვალეობა.

ივნისიდან ძალაში შევა ფულადი ანაზღაურების ახალი სისტემა. პრეზიდენტის ფონდიდან ("ჯარის განვითარების ფონდი") გარკვეული დანამატის დადგენის საშუალება გვეძლევა. ეს დანამატები ეტაპობრივად ისე უნდა გაიზარდოს, რომ საბოლოოდ, ყველა ნაწილში იმ რაოდენობის ხელფასს იღებდნენ, რაც ელიტურ ნაწილებშია. ასეთია სახელმწიფოს პოლიტიკა. მომავალი და შემდეგომი წლების ბიუჯეტი ისე დაიგეგმება, რომ დანამატების წილი შემცირდება და ხელფასი გაიზრდება, რის შედეგადაც სამხედრო მოსამსახურე დიდ პენსიას აიღებს.

**- სამხედრო დოქტრინის გარეშე, როგორ მუშაობთ?**

- სამხედრო დოქტრინა 1997 წელს არის მიღებული და მან თავისი დრო მოჭამა. სანამ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია არ ჩამოყალიბდება, სამხედრო დოქტრინის ჩამოყალიბება გაუგებარი იქნება.

**- არმიის მშენებლობა ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი გახდა. ეს თქვენი დარგის დაფინანსებას უკვე შეეტყო?**

- სამწუხაროდ, ჯარის აღმშენებლობისას ქვეყნის ფინანსური შესაძლებლობებიდან გამოვდივართ. დღეს ჩვენ ქვეყანას, ასე თუ ისე, ნორმალურ პირობებში 12-15 ათასიანი ჯარის შენახვა შეუძლია. კარგად მესმის, რომ 15 ათასი ცოტაა, მაგრამ გვყავდეს მეტი და ვერ შევინახოთ, აზრი არ აქვს. ამ ერთიორი წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურის ნორმალურ დონემდე აყვანას შევეცდებით. ქუთაისში ყაზარმების კაპიტალური შეკეთება დაიწო; ორიოდე დღეში ეს ფოთშიც დაიწყება. თელავში ახალი ყაზარმა გაკეთდება; ვაზიანში ერთი ყაზარმის კაპიტალური შეკეთება მთავრდება. გარკვეული სარემონტო სამუშაოებია დაგეგმილი კოჯორშიც. ორიოდე კვირაში, თითქმის, ყველა სამხედრო ქალაქში აბანოების მშენებლობა დამთავრდება. ჯარისკაცებს სამოქალაქო აბანოებში ბანდნენ და ეს გვერდითი შემოსავლების წყაროც იყო...

**- საპონს იპარავდნენ?**

- ჯერ ერთი, ნახევარს არ ბანდნენ - ზოგი არ მიჰყავდათ, ზოგი - თავად არ მიდიოდა... 50 კაცი იბანდა და უფრო მეტ ჯარისკაცს აფორმებდნენ. შედეგად, დაუბანელ ჯარისკაცს და ვიღაცის სქელ ჯიბეს ვიღებდით.

**- სამხედრო განათლება დასავლეთში ბევრმა ქართველმა მიიღო, მაგრამ მათი 90 პროცენტი სამხედრო სტრუქტურებში არ იყო დასაქმებული. ახლა?**

- სპეციალური განათლება არა მხოლოდ დასავლეთში, არამედ რუსეთსა და უკრაინაშიც აქვთ მიღებული. ქუჩიდან მოყვანილი ადამიანები საკმაოდ მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ და, გეთანხმებით, ასეთი ხალხი დაუსაქმებელი იყო. აბსოლუტურმა უმრავლსობამ ჩვენი შეთავაზებით დაიწყო სამსახური. ვცდილობთ, კიდევ 2 ან 3 ქვედანაყოფი გადავიყვანოთ მაღალანაზღაურებად ხელფასზე...

**- არის ეს პროფესიული ჯარისკენ გადადგმული ნაბიჯები?**

- ეს ნაბიჯები თავდაცვის სამინისტროს წინა ხელმძღვანელობის მიერ იყო დაწყებული. ჩვენ ამას განვაგრძობთ.

ამ წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ საკონტრაქტო პროფესიული სამხედრო მოსამსახურე ტექნიკას უკეთ უვლის და მართავს, ვიდრე ჯარისკაცი. სამხედრო სავალდებულო სამსახურში გატარებული დრო საკმარისი არ არის იმისთვის, რომ ჯარისკაცმა სრულად შეისწავლოს და სათანადოდ მოუაროს ტექნიკას.

**- რა მდგომარეობა დაგხვდათ აჭარაში განლაგებულ სამხედრო ნაწილებში?**

- 25-ე ბრიგადა, პირადი შემადგენლობის რაოდენობიდან გამომდინარე, არასრული ბრიგადა იყო. მოკლედ რომ ვთქვა, საცხოვრებელი მდგომარეობისა და საბრძოლო მომზადების მხრივ, იქაც ისეთივე და, შეიძლება, ცოტა უარესი მდგომარეობა იყო, როგორც დანარჩენ საქართველოში. შტაბი ინგრევა, საცხოვრებლად და სამუშაოდ არ გამოდგება; სამედიცინო პუნქტიღა შემორჩა და სასადილოს გარემონტება დაუწყიათ. ხელვაჩაურში განლაგებულ მეორე სამხედრო ქალაქში ყველაფერი გაპარტახებულია. შემორჩენილ ყაზარმაშიც საშინელი მდგომარეობაა.

**- როდის იქნება საამაყო ქართულ ჯარში სამსახური?**

- ეს პროცესი უკვე დაიწყო. ჯარს დიდი ყურადღება ექცევა. 26 მაისს აღლუმზე, რამდენიმე ერთეული ტექნიკის ნაცვლად, 50 ერთეული მარტო ტანკი გამოვა, 100-ზე მეტი ერთეული - ჯავშანტექნიკა. იმის მიუხედავად, რომ დღეს ჯარში ყველა პრობლემა მოგვარებული არ არის, ხალხში საკუთარი საქმის კეთების ძარღვი ხელახლა ფეთქავს.

**- სამხედრო აღლუმი საქართველოს მოქალაქეების საიმედოდ და მტრების შესაშინებლად ტარდება?**

- რა თქმა უნდა, თქვენ უნდა გიხაროდეთ. იმას ეშინია, ვისაც საჭიროა... აფხაზებმა სანგრების თხრა დაიწყეს. დაახლოებით, 800 კაცამდე, გაუგებარი დანიშნულების აფხაზური ქვედანაყოფები მოიყვანეს საზღვრებთან ახლოს. ზღუდეების გამაგრებას ცდილობენ. აქედან შეტევას პანიკურად ელიან, თუმცა ამას არავინ აპირებს. სოფლებში 25-30-კაციანი ჯგუფები დადიან იმის საჩვენებლად, რომ, თითქოს ბევრნი არიან და მოსახლეობაში გარკვეულ პროპაგანდას ეწევიან; თითქოს, ქართველ მოსახლეობას ტერიტორიის დატოვება მოუწევს, რადგან იქ სასაკლაო იქნება. დაუზუსტებელი ინფორმაციით, მოსახლეობის ნაწილმა ეს დაიჯერა.

**- საკუთარი მოსახლეობის დასაცავად ქართული მხარე რას აკეთებს?**

- პირველ რიგში, ზოგიერთებს გეოგრაფიას შევასწავლიდი. აჭარის შემთხვევაშიც გაუგებარი იყო, რატომ ააფეთქეს ხიდები, რადგან ფოთში მთელი ტექნიკა და ავიაცია სწავლებებს ჩრდილოეთით ატარებდა და არა სამხრეთით. კარგი იქნება, თუ აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლება მიხვდება, რომ რკინიგზაზე დატვირთული ტექნიკა 26 მაისის აღლუმში მონაწილეობის მისაღებად თბილისისკენ წამოვიდა და არა აფხაზეთისკენ.

**- ეს "ცრუ" მანევრები ამართლებს, არა?**

- ეს არ არის ცრუ მანევრები. ფოთის სწავლებებმა აჭარის შემთხვევაში ძალიან კარგი შედეგი გამოიღო. თუმცა, სწავლებას სხვა მიზნები ჰქონდა.

**- წინა ხელისუფლება აუცილებლად გადადებდა წვრთნებს, აბაშიძეს რომ დისკომფორტი არ შექმნოდა...**

- პირიქით - ამ ეტაპზე ეს აუცილებელი იყო, რადგან აჭარის ხელისუფლება ხალხის შეიარაღებას ახდენდა, ძალით უნდა დაპირისპირებოდა იმას, ვინც იქ იარაღით შესვლას არ აპირებდა. ამიტომაც, აუცილებლად უნდა ენახათ, რომ მათი შეიარაღებული მზადება უაზრობა იყო.

**- რა პოლიტიკურ შეფასებას მისცემდით ფოთში ჩატარებულ წვრთნებს?**

- პირველ რიგში, ხელისუფლებამ და ხალხმა დაინახა, რომ ქვეყანას, ვერ გეტყვით სრულყოფილად, მაგრამ ჰყავს, გარკვეულწილად, მომზადებული სამხედრო ქვედანაყოფები, რომელთაც დასახული ამოცანების შესრულება შეუძლიათ. აქამდე მხოლოდ "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაში მონაწილე ქვედანაყოფებზე იყო აქცენტი. თუმცა, მხოლოდ ისინი ვერაფერს გააკეთებენ. ხელისუფლების მცდელობამ ამ ეტაპზე გარკვეული შედეგი გამოიღო.

თავად პრეზიდენტმაც აღნიშნა, რომ ჯობს, 200 ათასი ლარი სწავლებაში დაიხარჯოს, ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა სამხედრო ხელოვნება უკეთ შეისწავლონ, ვიდრე დახარჯო ათჯერ მეტი და საბრძოლო მოქმედებები საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე აწარმოო... ფოთში ჩატარებულმა სწავლებებმა აჭარის საკითხის მშვიდობიან გადაწყვეტაში გარკვეული როლი შეასრულეს. თუმცა, არაფრით არ შეიძლება იმის უგულებელყოფა, რომ ამ საქმეში ლომის წილი უშიშროების სამინისტროს და უშიშროების საბჭოს ეკუთვნით.

**- აფხაზეთში როგორ დაინახეს ეს წვრთნები; ამან ხომ არ გაამძაფრა შიში?**

- სხვათა შორის, ფოთის წვრთნების პერიოდში მათ მიერ მიღებული ზომები მომეწონა კიდეც. მათ მობილიზაციისთვის მზადება დაიწყეს, მაგრამ პოზიციები - არა მდინარე ენგურის სიახლოვეს (ამაში რუსებიც შეუშლიდნენ ხელს), არამედ მდინარე ღალიძგაზე დაიწყეს. ეს ტერიტორია აფხაზეთის სიღრმეში მდებარეობს. თუ ისინი იქ გამაგრდებიან და დანარჩენ ტერიტორიას გვითმობენ, ეს უკვე ძალიან კარგია. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი დევნილი მოსახლეობის 90 პროცენტი, ყოველგვარი პრობლემების გარეშე, საკუთარ სახლებს დაუბრუნდებოდა.

**- ამაზე ხმამაღლა ლაპარაკი მათი პოზიციების აქეთ გადმოწევას ხომ არ გამოიწვევს?**

- გადმოწიოს, არც ეგ არის პრობლემა. ჩვენ არ ვაპირებთ იქ მისვლას. მათი ქმედება ჩემთვის გაუგებარი იყო. ალბათ, ძალიან შეეშინდათ... ნახევრად ხუმრობით კი ვლაპარაკობ, მაგრამ აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლებაში სერიოზული შეშფოთება მართლაც არსებობს. გრძნობენ, რომ მათ დღევანდელ რეჟიმს დიდი დრო არ უწერია. მათ, რატომღაც, ჰგონიათ, რომ ამ პრობლემას სამხედრო გზით გადავწყვეტთ. არც ერთი ჩვენი ქვედანაყოფი აფხაზეთის მიმართულებით არ გადასულა და უახლოეს მომავალში არც გადავა.

**- საქართველოს დელეგაციის რუმინეთში ვიზიტისას გაირკვა, რომ უკვე ნატო-ს კარის შიგნიდან გამღები მეგობარიც გვყავს. როგორ ვუახლოვდებით ამ ორგანიზაციის სტანდარტებს ახალი ხელისუფლების პირობებში?**

- ბოლო პერიოდში საკმაოდ ინტენსიური და მიზანმიმართული მუშაობა დაიწყო. ათასი რამ კეთდება იმისთვის, რომ ამ სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანებამდეც ღირსეულად ვიცხოვროთ. მომზადდა სათანადო დოკუმენტები, რომელზეც მუშაობა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა. როგორც იქნა, ნატო-ს ხელმძღვანელობამ ამ დოკუმენტის სამხედრო ნაწილი საკმაოდ დადებითად მიიღო. ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს სხვადასხვა მიმართულების დახვეწაზეც.

სამხედრო ინფრასტრუქტურის და სოციალური პირობების გაუმჯობესება საკმაოდ რთულია. ამ საკითხების გადაწყვეტას და ნებისმიერ სტრუქტურულ რეორგანიზაციას ფინანსური უზრუნველყოფა სჭირდება. მაგრამ, ჩვენ ნელ-ნელა, მეგობარი ქვეყნების დახმარებით, ამას შევძლებთ.

**- სამხედრო ექსპერტებმა შენიშნეს, - ქართული სამხედრო აღლუმის დროს ვერ მიხვდები, რომელი ქვეყნის ჯარი მოდისო...**

- სამწუხაროდ, ეს ასეც იყო, მაგრამ ის დრო წავიდა. ის ქვედანაყოფები, რომელთა აღჭურვასა და მომზადებაშიც თურქი მეგობრები გვეხმარებიან - თურქული, ხოლო "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით მომზადებული ქვედანაყოფები ამერიკული სამწყობრო წესდების მიხედვით მოქმედებდნენ. დანარჩენ ნაწილებში გადმოქართულებული "რუსული ნაბიჯით" დადიოდნენ. ერთი ქვეყნის ჯარში სამი სამწყობრო წესდების მოქმედება გაუგებარი და მიუღებელია. ამ ეტაპზე, ჯერჯერობით ინსტრუქცია ჩამოვაყალიბეთ, დავამტკიცეთ და ყველა ნაწილში დავაგზავნეთ. ეს ინსტრუქცია აღლუმის შემდეგ სამწყობრო წესდება გახდება.

**- 26 მაისს როგორ გაივლიან?**

- წესიერად გაივლიან. იმ წესების მიხედვით, რომლითაც "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაში მონაწილე ქვედანაყოფები ხელმძღვანელობენ.

**- რას წარმოგვიდგენენ ქართველი სამხედროები 26 მაისს?**

- თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობიდან, დაახლოებით, 400-მდე მხოლოდ ქვეითი იქნება; 600-მდე საბრძოლო ტექნიკის ეკიპაჟი; ყველა შესაბამისად ჩაცმული და მომზადებული იქნება, რათა ქვეყნის დამოუკიდებლობის დღესასწაულზე თავიანთი ვალი პირნათლად მოიხადონ.

აღლუმზე ჩვენი ქვეყნის საბრძოლო ტექნიკის ძალიან დიდი რაოდენობა იქნება წარმოდგენილი. "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაში სულ 10 ტანკი და სპეცსაბრძოლო მანქანა მონაწილეობდა, მეტი გამართული საბრძოლო ტექნიკა, პრაქტიკულად, არ არსებობდა. აღლუმზე დღეს იქნება 25 ერთეული "ტე-72", 24 ერთეული "ტე-55", 15-მდე ქვეითად საბრძოლო მანქანა, 9 ერთეული საბრძოლო სადაზვერვო მანქანა, რამდენიმე ჯავშანტრანსპორტიორი, 47 ათეული სხვადასხვა დასახელების საარტილერიო სისტემა და ა.შ. ამ რაოდენობისა და ამ შემადგენლობის აღლუმი საქართველოში ჯერ არ ყოფილა. ამას დაემატება შინაგანი ჯარი და სხვა...

**- გაუძლებს ჩვენი ძველი ქალაქი ასეთი რაოდენობის ტექნიკას?**

- ამის შესახებ დასკვნა ქალაქის ხელმძღვანელობამ უნდა მოგვცეს. თუმცაღა, გვაქვს პრეზიდენტის მითითება, რომ აღლუმი უნდა ჩატარდეს.

**- და მითითებაც - რომ ქალაქმა უნდა გაუძლოს?**

- რაკი იქნება ასეთი მითითება, ქალაქმა უნდა გაუძლოს... ეს ხუმრობაა. შემოწმდება გზებიც, ხიდებიც და ამის მიხედვით ვიმოქმედებთ. ჩვენ ხომ მტრები არ ვართ - თუ გვეტყვიან, - გააკეთეთო, - გავაკეთებთ; თუ - არაო, - არ გავაკეთებთ.



# აფიშა

## კონცერტები

**კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
ფოლკლორული ანსამბლი "ქიმერიონი"
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
ჰენრიხ იბსენი
ნორა, ანუ თოჯინების სახლი
რეჟისორი: გულნარა ბუთხუზი
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი, ბასა ჯანიკაშვილი, ლაშა ბუღაძე
"სამი ნოველა"
რეჟისორი: ლელა ჭინჭარაული
დას: 19:00 სთ.

**კინომსახიობთა თეატრი**
სტუდენტური ფილმების ფესტივალი
"ჩვენ მოვდივართ"
დას: 17:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"ტროა"
დას: 16:00; 18:00 სთ.

"ბინძური ცეკვები 2"
დას: 14:00; 20:00; 22:00 სთ.
ფასი: 6-9 ლარი

**კინოს სახლი**
"მონსტრი"
დას: 18:00 სთ.

## გამოფენა

**TMS**
მაიკ ვუდკოკის ფოტონამუშევართა გამოფენა

**"ორიენტი"**
ირაკლი ფარჯიანის ნამუშევართა მემორიალური გამოფენა

**თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
შალვა ხახანაშვილის ფოტოგამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
აქცია-გამოფენა "გალერეის ფონდების კოლექციიდან"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**ხუთშაბათს, 20 მაისს**, 17 საათზე
მწერალ ზაალ სამადაშვილის ციკლი - "ახალი განზომილება",
სტუმარი - დავით ქართველიშვილი, თემა - "მკითხველის შესახებ".
**პარასკევს, 21 მაისს**, 17 საათზე
დავით გულუას წიგნის - "დავბრუნდები თქვენთან" პრეზენტაცია.
***მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50***

**23 მაისს და 6 ივნისს**

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი" წარმოადგენს მუსიკალურ წარმოდგენას ალექსანდრე პუშკინის ზღაპრების მოტივებზე - "Превращения в Лукоморье"
დამდგმელი რეჟისორები: ინგა გარუჩავა და პეტრე ხოტიანოვსკი
კომპოზიტორი თენგიზ ჯაიანი.
დას: 13:00; 15:00 სთ.

# "კულტ-პახოდი"

ნინო ჭანიშვილი

18 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თბილისის მუზეუმებში აქცია-გამოფენები გაიმართა. კულტურის მინისტრს და მის მხლებლებს ყველგან სიხარულით, ცრემლებით, თხოვნებით და საყვედურებით ეგებებოდნენ.

ექსკურსიის პირველი ობიექტი ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი იყო, რომელიც შესანიშნავ ადგილას - "კომკავშირის ხეივანში" მდებარეობს. ეს მუზეუმი, რომელიც 1899 წელს დაარსდა, კოლექციის შეგროვების გარდა, ექსპედიციებსაც აწყობდა მთელ საქართველოში. 10 ათას ექსპონატთან ერთად შემონახულია ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მასალები - ალბომებად შედგენილი ქართული ორნამენტის სახეები, მეფეთა გვირგვინები, შუა საუკუნეების ავეჯი. ეს ყველაფერი შესანიშნავი მასალაა თანამედროვე დიზაინერებისთვის.

მინისტრს და მის ამალას განსაკუთრებულად თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში დახვდნენ. შენობის ფასადზე მოსკოვის თავისუფალი თეატრისათვის შექმნილი, სომოვის ცნობილი ფარდა იყო გადმოფენილი. იქ მოწყობილი ექსპოზიცია (პარადოქსია, მაგრამ...) ჩამონგრეულ კედლებს, შიშველ მავთულებს და ავანგარდულად ჩამოკონწიალებულ ნათურებს საოცრად უხდებოდა. მუზეუმის თანამშრომლებმა ექსპოზიცია სპეციალურად ამ დღისთვის მოაწყეს ახალი მინისტრისისთვის აქაური საგანძურის საჩვენებლად. მათ იმედი აქვთ, რომ გოკა გაბაშვილი ისეთივე ანტიკულტურულ მოვლენად არ იქცევა, როგორიც - მისი წინამორბედები. "... არა, სამინისტროს იმედი დიდად არა მაქვს. მინდა, რომ პატარკაციშვილმა ან ივანიშვილმა მიხედოს ჩვენს მუზეუმს", - ამბობს მუზეუმის ერთ-ერთი თანამშრომელი. ალბათ, ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ ამ მუზეუმში სრულიად უნიკალური მასალა ინახება.



თეიმურაზ სახიტაშვილის ფოტო

*გოკა გაბაშვილს და თემო გოცაძეს სალაპარაკო ბევრი აქვთ*

გუშინდელ პროგრამაში თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის – სურათების ეროვნული გალერეის (ერთობ გრძელი სახელწოდებაა) მონახულებაც შედიოდა. გამოფენას ერქვა "გალერეის ფონდების კოლექციიდან". აქ ერთად იყო არეული ბაღდავაძის, ვარაზის, გუდიაშვილის, აბრამიშვილის და გალერეის დირექტორის თემო გოცაძის ნახატები. ალბათ, უპრიანი იქნებოდა, ამ გამოფენისთვის "რაც ხელში მოგვხვდა" დაერქმიათ. საერთოდ, ჩემთვის გაუგებარია ამ გალერეის ფუნქცია და ისიც, თუ რატომ ინახავს იქ მომუშავე პერსონალს სახელმწიფო. კომუნისტურ ეპოქაში აქ იმ დროისათვის მისაღები და მოსაწონი საბჭოთა მხატვრების გამოფენები ეწყობოდა. ახლა, როცა, საბედნიეროდ, მხატვრები იდეოლოგიური დაკვეთებით აღარ მუშაობენ, ეს გალერეა უმეტესად არშემდგარ და უიღბლო მხატვრებზე აქირავებს საკუთარ ფართს.

"კულტ-პახოდი" ბავშვების სურათების გალერეის წინ მოწყობილი აქციით და მუსიკალური საკრავების მუზეუმის მონახულებით დასრულდა.

იმ დღეს თბილისის მუზეუმებს ევროსაბჭოს ექსპერტებიც ათვალიერებდნენ. "მუზეუმ-ტურის" ბოლოს ერთ-ერთ მათგანს, ვინმე ტიმოთი მეისონს გავესაუბრე; მან ჩვენზე მოხსენება უნდა დაწეროს. მისი შთაბეჭდილება ასეთია: "გაოცებული ვარ - არსად მინახავს, რომ მინისტრი ასე დადიოდეს მუზეუმებში. პირველი, რასაც მოხსნენებაში დავწერ, ის არის, რომ მუზეუმებს ტუალეტები უნდა ჰქონდეთ"...

# ვალსი მეფეებისა და ვენის ტყის ბინადართათვის

## მიქელაძის სახელობის სიმფონიური ორკესტრი იოჰან შტრაუსის დაბადების დღეს ზეიმობს

მადი სერებრიაკოვა

ასეთი მუსიკის ადგილი, ოპერის თეატრში კი არა, ალბათ, უფრო სადმე გაშლილ ადგილას არის, სადაც მსმენელი ვალსებსა თუ პოლკებს არა მარტო მოუსმენს, არამედ იცეკვებს კიდეც. ეს, რა თქმა უნდა – ხუმრობით; სერიოზულად კი, ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო დამსახურებულმა სიმფონიურმა ორკესტრმა, ვახტანგ მაჭავარიანის დირიჟორობით, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში იოჰან შტრაუსის დაბადებიდან 200 წლის აღსანიშნავი კონცერტი გამართა. ვალსების, პოლკებისა და მარშების გარდა, კონცერტზე შტრაუსის არიებიც შესრულდა. სოლისტად გერმანელი მომღერალი ბრიგიტ ვოლფარტი იყო მიწვეული.

ევგენი მიქელაძის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი მალე 80 წლის იუბილეს აღნიშნავს. თავის დროზე მათ წარმატებული გასტროლები გამართეს რუსეთში, პოლონეთში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიასა თუ ჰოლანდიაში. სწორედ მიქელაძის სახელობის ორკესტრი მასპინძლობდა თბილისში საერთაშორისო საოპერო ფესტივალს "ბრავო", რომელიც პაატა ბურჭულაძის ინიციატივით გაიმართა და მასში საოპერო სცენის ისეთი ვარსკვლავები მონაწილეობდნენ, როგორებიც არიან რენატო ბრუზონი და კატია რიჩარელი. დღეს ორკესტრს სამხიარულოდ საქმე ნამდვილად არ აქვს - დღემდე უსახლკაროდაა, მაგრამ მაინც ახერხებს წელიწადში რამდენიმე ნოვატორული კონცერტის გამართვას. ბოლო წლების განმავლობაში სწორედ მიქელაძის სახელობის ორკესტრს უკავშირდება საქართველოში ვერდის "ფალსტაფის", ვაგნერის "ტრისტან და იზოლდას", ბარტოკის "ლურჯწვერა ჰერცოგის სასახლის" პირველი შესრულება.

ამჯერად ორკესტრმა საქართველოში ახალ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი. კომპოზიტორთა მასშტაბური საიუბილეო საღამოები ჩვენთან იშვიათად ეწყობა, რადგან ამგვარი კონცერტები, შეძლებისდაგვარად, მოცემული კომპოზიტორის შემოქმედების ღრმა შესწავლასა და დამუშავებას საჭიროებს. იოჰან შტრაუსი მეტად პოპულარული კომპოზიტორია და "სამეფო ვალსი" თუ "ვენის ტყის ზღაპრები" პატარა ბავშვებისთვისაც კარგად ნაცნობია - თუნდაც, უოლტ დისნეის მულტფილმების წყალობით. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, კონცერტს არ დაჰკლებია მსმენელი, რომელიც ნაცნობ მელოდიებს ფეხის რიტმულ მოძრაობებსაც აყოლებდა.



ვახო ხაიდაშვილის ფოტო

*ორკეტრი შტრაუსს ასრულებს*

კონცერტის პროგრამა საკმაოდ ფართო იყო: ათეულობით ვალსთან, მარშთან, კადრილსა თუ პოლკასთან ერთად შესრულდა არიები "ღამურადან". სპეციალურად ამ პროექტისთვის მოწვეული ბრიგიტ ვოლფარტი მიქელაძის ორკესტრთან ერთად თბილისში უკვე მეორედ გამოჩნდა. შარშან მან იზოლდას პარტია სწორედ "ტრისტან და იზოლდას" საკონცერტო წარმოდგენაზე შეასრულა. აღსანიშნავია, რომ ვოლფარტი ვაგნერის საზოგადოების სტიპენდიანტია და მისი რეპერტუარი, ძირითადად, სწორედ ვაგნერის ნაწარმოებებითაა შედგენილი. თუმცა, გუშინ მან ვაგნერისგან ძლიერ განსხვავებული კომპოზიტორის იოჰან შტრაუსის ნაწარმოებებიც არანაკლები ოსტატობით შეასრულა. არტისტულ, დახვეწილ მომღერალს მსმენელის აპლოდისმენტიც არ დაჰკლებია.

რამდენადაც ცნობილია, ბოლო დროს დირიჟორი და ორკესტრის ხელმძღვანელი ვახტანგ მაჭავარიანი ნაკლებ დროს ატარებს საქართველოში. შარშანდელთან შედარებით, ეს ორკესტრის აქტივობაზეც აისახა. თუმცა, გუშინდელ კონცერტზე ერთი ანონსიც გაკეთდა: ახლო მომავალში ორკესტრი ანალოგიურ კონცერტს ბერლიოზის დაბადებიდან 200 წელსაც მიუძღვნის.

ვახტანგ მაჭავარიანს წარდგენა ისედაც არ სჭირდება. ეს სახელი მუსიკით ნაკლებად დაინტერესებულ ადამიანებსაც კი ემახსოვრებათ რამდენიმე წლის წინათ სიმფონიური მუსიკის ცენტრის გარშემო ატეხილი სკანდალის გამო. დაპირისპირება მაჭავარიანსა და ჯანსულ კახიძეს შორის, ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგაც, ხმაურიანი გამოსვლების გარეშე, მაგრამ მაინც გრძელდება. ამ საკმაოდ სკანდალური პროცესის მორიგი სერია შტრაუსის იუბილეზეც ვიხილეთ. საქმე საკონცერტო ბუკლეტს ეხება, სადაც, მონაწილეთა შესახებ ცნობებისა და საკონცერტო პროგრამის გარდა, ვახტანგ მაჭავარიანის შესახებ პრესაში დაბეჭდილი მასალებიდან ფრაგმენტებიც იყო წარმოდგენილი. ბუკლეტის ტექსტი ჯანსულ კახიძეს ეკუთვნოდა და მაჭავარიანისა და მიქელაძის ორკესტრის განქიქებას შეიცავდა. ჩემთვის ბოლომდე გამოცანად დარჩა, რაში დასჭირდათ კონცერტის ორგანიზატორებს ამგვარი, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური ჟესტი – იქნებ, შტრაუსის მუსიკის ოპტიმისტური და მხირული განწყობილების იმედად?!

# მისი აღმატებულება ჯაზი

## ყველანი ფესტივალის გარშემო

ვერა ნეფარიძე

*რიგითმა ნომერმა რვამ თბილისის ტრადიციულ ჯაზ-ფესტივალში გარკვეული ცვლილებები შეიტანა. გამოცდილებამ და 1978 წლიდან დღემდე თბილისში ჩამოსული ვარსკვლავების ავტორიტეტმა ჯაზის მოყვარულებისთვის ღონისძიება - ყოველწლიურ ზეიმად, ხოლო გონიერი ბიზნესმენებისთვის სასარგებლო დასაფინანსებელ და მხარდასაჭერ ღონისძიებად აქცია. ის, რომ ჯაზის წლევანდელი კვირეული "საქართველოს ბანკის" თბილისის ჯაზ-ფესტივალის სახელით ჩაივლის, თავისთავად, მნიშვნელოვან ცვლილებებზე მეტყველებს.*

თუმცა, ეს არ არის ფესტივალის შესახებ ერთადერთი სიახლე. წლევანდელი ღონისძიება სანდრა რულოვსის პატრონაჟით იმართება; პირველი ლედიც და საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენელიც გუშინ პირველად დაესწრნენ ფესტივალის საინფორმაციო პრესკონფერენციას. მათ გარდა, საორგანიზაციო საკითხებში მონაწილეობს ქალაქის მერიაც. მათი წყალობით კი, ღონისძიების ორგანიზატორ "ისთერნ პრომოუშენს" მრავალი საორგანიზაციო, ანუ, როგორც თავად უწოდეს, ბევრი ბიუროკრატიული საკითხის გადაწყვეტა აღარ მოუწიათ. მაგრამ, ვფიქრობ, ყველაზე სასიამოვნო მაინც ისაა, რომ, ფესტივალების დაფინანსების თვალსაზრისით, ბიზნესმენები გააქტიურდნენ. პირადად მე "საქართველოს ბანკის" შარშანდელმა გადაწყვეტილებამ მისი მესვეურებისადმი გარკვეული სიმპათია და ნდობა გამიჩინა. გუშინდელი პრესკონფერენციაც, რომლითაც ორგანიზატორებმა ოფიციალურად წარადგინეს რიგით მერვე ჯაზფესტივალი, სწორედ "საქართველოს ბანკის" სათავო ოფისში გაიმართა.

პრესკონფერენციას, ორგანიზატორების გარდა, სპონსორები და პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. "ისთერნ პრომოუშენის" ხელმძღვანელებმა პრესკონფერენციის დასაწყისშივე გაამახვილეს ყურადღება იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სპონსორების როლი ღონისძიების ხარისხისთვის: "სპონსორების დამსახურებაა, რომ თბილისში იმართება ასეთი წარმომადგენლობითი ფესტივალი, სადაც ბილეთები ძალიან იაფია პოსტსაბჭოთა და ევროპაში გამართულ მსგავს ფესტივალებთან შედარებით. სწორედ ამ კომპანიების წყალობით, მაშინ, როდესაც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში იგივე შემსრულებლების კონცერტებზე ბილეთების ღირებულება 400 ამერიკული დოლარია, ჩვენს ფესტივალზე ეს თანხა, მაქსიმუმ, 50 დოლარი იქნება. ფაქტობრივად, ჩვენი პარტნიორი კომპანიები იხდიან დანარჩენ 350 დოლარს და ეს ძალიან მნიშვნელოვანია", - თქვა "ისთერნ პრომოუშენის" პრეზიდენტმა მიშა გიორგაძემ. ალბათ, ნათქვამის საილუსტრაციოდაც გამოდგება "ისთერნ პრომოუშენის" მარკეტინგის დირექტორის კახა კანდელაკის მონათხრობიც: კომპანიის ხელმძღვანელებმა რამდენიმე დღის წინათ კიევში ჯორჯ ბენსონი მოინახულეს (შეხვედრაზე მომავალ წელს თბილისში მუსიკოსის სტუმრობა გადაწყდა). მაშინ, როდესაც შარშან თბილისში დაგეგმილ ბენსონის კონცერტზე ბილეთების ფასი 50 დოლარი იყო (მართალია, არ ჩამოვიდა, მაგრამ ეს ფინანსური მიზეზით არ მომხდარა), კიევში წელს ეს თანხა 400 დოლარამდე აღწევდა. ასე რომ, თბილისის ჯაზფესტივალის პარტნიორ კომპანიებზე ბევრადაა დამოკიდებული ფესტივალზე დასასწრები ბილეთების ხელმისაწვდომობაც და მოწვეული მუსიკოსების ავტორიტეტიც.

ყოველი ფესტივალის მონაწილეთა წარმომადგენლობაზე, ბუნებრივია, გარკვეულწილად, მოქმედებს წინა ღონისძიებაში მონაწილეთა ავტორიტეტიც. ჯაზის მოყვარულები წლევანდელ ღონისძიებას, ალბათ, წუნს ვერ დასდებენ. ჯონ მაკლაფლინისა და ზაკირ ჰუსეინის "შაქტი"; მაიკლ ფრენქსი, რომელსაც თბილისში ერთხელ უკვე ელოდნენ, და ალბათ ამ დანაკლისის ასანაზღაურებლად, წლევანდელ ფესტივალზე ამ მუსიკოსის ორი კოცერტი გაიმართება; ათი "გრემის" მფლობელი ბობი მაქფერენი და ავტორიტეტული მესაყვირე ქრის ბოტი - ასეთია წლევანდელი რიგით მერვე ჯაზფესტივალის სტუმრების შემადგენლობა. მაგრამ, ამ მუსიკოსების გარდა, როგორც "ისთერნ პრომოუშენის" ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, ფესტივალის ავტორიტეტზე კიდევ ერთი ადამიანი იზრუნებს - საქართველოს პირველი ლედი. "ჩემთვის დიდი პატივია ამ ფესტივალის პატრონაჟი. ჩემს ქალაქშიც იმართებოდა ხოლმე ჯაზის საღამოები, მაგრამ ასეთი სახელოვანი ჯაზმენები, აქ რომ ჩამოდიან, იქ არ ყოფილან. მახსოვს, კარგი ატმოსფერო და გართობის საშუალება იყო ეს კონცერტები. შევეცდები, წელს არც ერთი კონცერტი არ გამოვტოვო. ყველანაირად ვეცდები, ამ ფესტივალს ხელი შევუწყო", - თქვა პრესკონფერენციაზე სანდრა რულოვსმა. მსგავსი ფესტივალები ქვეყნის პრესტიჟზე დადებითად რომ მოქმედებს, ეს "საქართველოს ბანკის" პრეზიდენტმა ვლადიმერ პატეიშვილმაც აღნიშნა: "იმედია, წლევანდელი ფესტივალიც შარშანდელივით წარმატებული იქნება და მსმენელს დიდ სიამოვნებას მოუტანს".




თეიმურაზ სახიტაშვილის ფოტო

*ისინი ჯაზმა გააერთიანა*

წლევანდელ ფესტივალზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობათ ადგილობრივ შემსრულებლებსაც. ორგანიზატორები გვპირდებიან, რომ ნორჩი საქსაფონისტის სახით, ისინი ნამდვილ სიურპრიზს უმზადებენ ფესტივალის აუდიტორიას; ასევე, გივი გაჩეჩილაძის ცნობილი "ბიგ-ბენდი" საგანგებო პროგრამას ამზადებს ცნობილ ქართველ ვოკალისტებთან ერთად; მომღერალი ნატო მეტონიძე კი ორ საკონცერტო ნომერს შეასრულებს მესაყვირე ქრის ბოტის თანხლებით. რამდენადაც გაზეთი "24 საათი" რჩება ფესტივალის საინფორმაციო მხარდამჭერად, უახლოეს დღეებში დავიწყებთ სტატიების სერიას, სადაც მოგაწვდით მასალებს ფესტივალის მონაწილეებისა და საკონცერტო პროგრამების შესახებ.

რეცენზია

# "ჩამოტანილი" ხელოვნება "დახვედრილ" გარემოში

## გერმანელი ხელოვანი კრისტინა ოლმერის გამოფენა თბილისში

თეა პაიჭაძე

გაზაფხული, თუნდაც მხოლოდ კალენდრით მოსული, ყველასი და ყველაფრის გამოცოცხლების, გამოღვიძების, გააქტიურების ჟამია. თბილისური Artსივრცეც გაივსო, გაჯერდა ხელოვნების სხვადასხვა სფეროს მომცველი განსხვავებული ხასიათის ღონისძიებებითა თუ მოვლენებით. მრავალი გამოფენა და რაც განსაკუთრებით გასახარია, სახვითი ხელოვნების თეორიული მხარისადმი მიძღვნილი კონფერენციები ზედიზედ იხსნება. თანაც, ეს სიმპოზიუმები საერთაშორისოა და უნებურად სიამაყის გრძნობაც გეუფლება, ასე მრავლად რომ ხვდები შენს ქვეყანაში ჩამოსულ ხელოვანებსა თუ თეორეტიკოსებს, რომლებიც შენთან ერთად ფიქრობენ და ამ ფიქრებს, ნააზრევს, შთაბეჭდილებებს, შეხედულებებს, კონცეფციებს აქ, შენს თბილისში გამოთქვამენ. ცოტა ხნით მაინც ისე გრძნობ თავს, როგორც "ცენტრში". მაგრამ რა არის ცენტრი და პერიფერია? ეს კითხვა სულ უფრო ხშირად ისმება დღევანდელ სამყაროში, რომელიც მაქსიმალურად ხსნის, არღვევს ყოველგვარ ჩარჩოს. "ძიება საზღვრების გარეშე" - ასე ერქვა თბილისის გოეთეს ინსტიტუტში ამ დღეებში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც კურატორულ საქმესა და ინტერკულტურულ ეპოქაში კულტურათაშორისი გაცვლის საკითხებს მიეძღვნა. ამ კონფერენციის ფარგლებში გაიხსნა ფრაიბურგელი ხელოვანის კრისტინა ოლმერის გამოფენა.

ყოველთვის სასიამოვნოა გაეცნო უცხოელთა შემოქმედებას. ამის საშუალება დღეს თბილისის რამდენიმე საგამოფენო დარბაზში ერთდროულადაა შესაძლებელი, სხვა, არანაკლებ საინტერესო საერთაშორისო ფორუმის ფარგლებში მოწყობილ ვერნისაჟებზე. მაგრამ პირველი, რაც კრისტინა ოლმერის გამოფენას გამოარჩევს, არის ის, რომ მან არა მარტო ამ კონკრეტული შემთხვევისთვის შექმნა თავისი ნამუშევარი (რაც თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთ თანმდევ, ლამის აუცილებელ პირობად იქცა), არამედ შექმნა აქ და ახლა; ახალმიღებული შთაბეჭდილებებით, კონკრეტულ სივრცეში.

კედლის გასწვრივ, მისგან ოდნავ მოშორებით მოთავსებულ პროექტორში დაუდევრად შუაზე გადახეული სლაიდი დევს. ის მხოლოდ დაკლაკნილ, უსწორმასწორო, გრძელ, ვიწრო ანარეკლს იძლევა კედელზე, მხატვარმა ფერადი ნახატით რომ შეავსო. ნახევის კიდეები ფერადოვანი ზოლის ორივე მხარეს მოშრიალე ჩრდილის არშიას აყოლებს. დაჭვირული მაქმანივით შემოვლებული ეს ერთგვარი ჩარჩო ყოფს ერთმანეთისგან კედლის ერთფეროვან, ბნელ სიბრტყეს და ოდნავ ამობურცულ, ფერად, განათებულ გამოსახულებას.

"ნაპრალის ქვეყანა" - ასე ჰქვია ამ ნამუშევარს. როგორც კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ხელოვნებათმცოდნე ნინო ჭოღოშვილმა აღნიშნა გამოფენის პრეზენტაციაზე, "ორი კვირის მანძილზე შექმნილი ეს ნამუშევარი ჩვენი, ასე ვთქვათ, "დანაპრალებული" გარემოს სიმბოლოს წარმოადგენს, რაც ახლად ჩამოსულ უცხოელს პირველ რიგში ხვდება თვალში". ასეთადაც უდავოდ აღქმული ეს ნამუშევარი სხვა ასოციაციებსაც მრავლად ბადებს.

კრისტინამ საუბრისას გაიხსენა, რომ მის მეგობარს ჰგონებია, სათაურის დაბეჭდვისას შეცდომა გაიპარაო: Rissland-ის ნაცვლად Russland-ი, ანუ რუსეთი უნდა ეწეროსო. კრისტინას მისთვის აუხსნია, საქართველო სწორედ ის ქვეყანაა, რომელიც რუსეთს ნაპრალით გამოეყოფაო. "რუსეთად" – ნამდვილად არა, მაგრამ გერმანულიდან "მიწის ნაგლეჯად" შეიძლება ითარგმნოს ნამუშევრის სახელწოდება. ნაგლეჯის, ანუ ფრაგმენტის, დიდი მთლიანობის მცირე ნაწილის ასოციაციის გამოწვევა - ნამუშევარში და მის სახელწოდებაში ჩადებული კიდევ ერთი აზრია. როცა, მაგალითად, ყვავილებიან მინდორს უყურებ, მრავალი ფერი ერთმანეთში ისე გადადის, ერთიან ფერად აღიქვამ. ასევე, როცა შორიდან უყურებ ამ ნამუშევარს, ვერ ხედავ პატარა შტრიხებს, რომლითაც გამოსახულებაა შექმნილი. შტრიხები ფანქრითაა კედელზე დატანილი. ფანქარზე ზემოდან გრაფიტია წასმული. ამით მარტო ფერი კი არაა ჩამუქებულ-"ჩამჯდარი", გამოსახულების ზედაპირის კედლის სიბრტყიდან ამოწევაც ხდება. ეს უსწორმასწორო კლაკნილი ლანდშაფტის, ან რუკის ნაწილად შეიძლება წარმოიდგინო. რაკი ის ნაწილია, დეტალია, შეიძლება ნებისმიერი ქვეყნის დეტალი იყოს და რატომ



კრისტინა ოლმერი

არა - საქართველოსი? მხატვარი გიტოვებს შესაძლებლობას, შენ თვითონ დაასრულო გამოსახულება შენს ცნობიერებაში, თავად აღადგინო ის მთლიანობა, რისი მხოლოდ ნაწილი შემოგთავაზა მან; გაქანება მისცე ფანტაზიას, წარმოსახვას და გახდე თანამონაწილე მხატვრული პროცესისა, ნამუშევრის თანაშემქმნელი.

მნახველის აქტიური მონაწილეობა აუცილებელი პირობაა კრისტინა ოლმერისთვის. ის არა მარტო იძლევა საშუალებას სურათი დამთვალიერებლის წარმოსახვაში დამთავრდეს, არამედ ისე ქმნის ნამუშევარს, რომ ის მაშინ გაცოცხლდება, როცა მის წინ ადამიანები გამოჩნდებიან. გამოსახულება ხომ პროექტორის შუქით ნათდება და როცა დამთვალიერებელი მოძრაობას იწყებს, კედელზე მისი ჩრდილიც ამოძრავდება. სტატიური გამოსახულება დინამიური გახდება, "უმოძრაო" სურათი თითქოს ამოძრავდება, მართლაც, გაცოცხლდება.

გამოფენის გახსნაზე ხშირად გაისმოდა ფრაზა "ძალიან თანამედროვე", როგორც ეპითეტი თუ კომპლიმენტი. ზოგი კი ამით ნამუშევრის ვერ გაგების (თუ - უფრო, არგაგების) ახსნას ცდილობდა. კრისტინას თბილისური ქმნილება, ისევე როგორც მთელი მისი შემოქმედება, დიახაც რომ თანამედროვეა და მოიაზრება არა ახალი, ან თუნდაც თანამედროვე, არამედ "ძალიან თანამედროვე" ხელოვნების დროის მცირე მონაკვეთში. მაგრამ მხატვრისთვის ძალზე მნიშვნელოვანია და ის ამას ხაზგასმით აღნიშნავს, კავშირი ძველთან. ის ქმნის თანამედროვე ხელოვნებას მრავალ თანამედროვე ხელოვანთაგან ლამის სრულიად უარყოფილი "ძველი" სახვითი ხერხებით: დამაჯერებელი ხელით დასმული შტრიხებით, "ძველივე" მასალით - ფერადი ფანქრებით და თანამედროვე დიჯიტალური ტექნოლოგიების ფონზე, ასევე "ძველად" ქცეული დიაპროექტორით. ამით აცხადებს, რომ თანამედროვე ხელოვნებაში არა აქვს მნიშვნელობა, რა ტექნიკას გამოიყენებ, არამედ არსებითია ის, როგორ გამოიყენებ. ამასთან, მრავალ თანამედროვე ხელოვანთაგან განსხვავებით მხატვრის უმაღლეს დანიშნულებად კრისტინა ოლმერი კვლავაც თვლის, ესთეტიკურად ღირებულის შექმნას, ისეთის, თვალს რომ მიანიჭებს სიამოვნებას. ტრადიციულობა და თანამედროვეობა მის შემოქმედებაში მრავალი წახნაგით ეხება ერთმანეთს.

თბილისში გამართულ კონფერენციაზე კრისტინა ოლმერმა თავისებური ხედვის და ამ ხედვის ამსახველი, სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული პროექტების შესახებ მოხსენებაც წაიკითხა. მისთვის, ისევე როგორც სხვა მონაწილეებისთვის, მნიშვნელოვანია კულტურული გაცვლები ნამუშევრებისა თუ თეორიების დონეზე. როგორც ხელოვანისთვის კი, მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო თავისი სიტყვა, (ჩა)მოეტანა ქართველ მაყურებლამდე. მაგრამ, რაკი ნამუშევარი აქ უნდა შექმნილიყო, მნიშვნელოვანი იყო მეორე მომენტიც: კარგად შეეგრძნო აქაური გარემო ნამუშევრის კონტექსტთან უკეთ დასაკავშირებლად. კონცეფცია, მასალა, სახელწოდებაც კი, მას გერმანიაშივე ჰქონდა მოაზრებული, მაგრამ ქართულმა სინამდვილემ მასში ცვლილებები შეიტანა. კრისტინა ჩამოსვლამდე ფიქრობდა, რომ ჰორიზონტალურ ხაზს გამოსახავდა. ალბათ, ჰორიზონტივით შორი და საქართველოში პირველად მომავალს - სწორხაზოვანიც ეჩვენებოდა ორ ზღვას შუა მოქცეული "მიწის ნაგლეჯი". აქ დახვედრილმა, პირველ რიგში, ალბათ, მთა-გორიანმა ლანდშაფტმა და შემდეგ მრავალმა სხვა "მოუსვენარმა" გარემოებამ, დინამიურმა, მრავალფეროვანმა, მოძრავმა, ცოცხალმა "მიზეზმა" (ალბათ, მრავალხმოვანებამ ქართული სიმღერისა, მრავალწახნაგოვანებამ ქართული ხასიათისა, მრავალგემოვანებამ ქართული სამზარეულოსი, ან, სულაც, დღეში რამდენჯერმე მკვეთრად შეცვლილმა ამინდმა, მოსახატ ოთახში დახვედრილმა კუთხემ და ა. შ.) ქაღალდის (სლაიდის) ნახევს შორის გამომსკდარი ძლიერი განათების ზოლი ერთიანად აბრიცდაბრიცა და ძალიან პლასტიური გახადა, ფერადოვანი გამის კი უფრო გალიავება გამოიწვია და მას ნათელი, ხალისიანი ელფერი "მოარგო".

"სად მივდივარ?" ამ კითხვით მოემგზავრებოდა ის საქართველოში, რომელსაც ახლა ასე პასუხობს: "საქართველოც შეიძლება ცენტრი იყოს, რადგან აქ ცხოვრობენ და ქმნიან ადამიანები, რომლებიც ისე მოქმედებენ, თითქოს სამყაროს ცენტრში იდგნენ. თუმცა, ეს ხომ შენზეა დამოკიდებული; შენი ქმედებით შეგიძლია გახადო სხვისთვის - პერიფერია – ცენტრად. "

ესაა მრავალფეროვანი განცდებით ამავსებელი ქვეყანა; ეს შეხვედრების მიწაა, "ნაპრალის ქვეყანა", "მიწის ნაგლეჯი", მცირე, მაგრამ ის ადგილი, რომელზედაც მრავალმა კულტურამ "გაიარა" და რომელიც საკუთარ, უდიდეს კულტურულ საგანძურს ფლობს, რომელსაც დანახვა, დაფასება და მოფრთხილება უნდა.

საქართველოდან ქრისტინა ოლმერი ახალი ნამუშევრის შექმნის იმპულსით მიემგზავრება. ჯერ ზუსტად არც იცის, რა იქნება, როგორი იქნება ეს ახალი ნამუშევარი, მაგრამ იგი "ქართული სტიმულით" შეიქმნება. მხატვარს თან მიჰყვება იმის განცდაც, რომ რაღაც დარჩა გასაკეთებელი და ის აქ აუცილებლად უნდა დაბრუნდეს.

# "საზიზღარი" კარლსონის და დისციპლინირებული ხალხის ქვეყანა

ლელა მჭედლიძე

მას შემდეგ რაც კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა, ბევრმა წყალმა ჩაიარა. აუთვისებელი და აღმოსაჩენი მიწები ჩვენს პლანეტაზე მგონი აღარც დარჩა. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ ნებისმიერი მოგზაური თუ უბრალო ტურისტი, როგორც წესი ახალ, მისთვის უცხო ქვეყანაში ჩასვლისას მას თითქოს ხელახლა აღმოაჩენს ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, სათავისოდ მაინც.

## ლინდგრენის ქვეყანაში კარლსონი არ უყვართ!

კანონმორჩილი და დისციპლინირებული, პუნქტუალური, ჩუმი, მორიდებული, ურთიერთობაში თავშეკავებული, ახალი ნაცნობობისადმი გარკვეული შიშით განწყობილი და დაკომპლექსებული. ასე ახასიათებენ საკუთარ თავს თავად შვედები. ალბათ, სწორედ მათი ამგვარი ნატურიდან გამომდინარე, ისინი აშკარად ვერ უგებენ სახურავის საკმაოდ კოლორიტულ ბინადარს, რომელსაც მთელ მსოფლიოში იცნობენ და უყვართ. საუბარი, რა თქმა უნდა, ასტრიდ ლინდგრენის ერთ-ერთ პერსონაჟზე სახელად კარლსონზეა. თუმცა, შესწორების სახით იმასაც ვიტყვით, რომ კარლსონი სახელი კი არა გვარია, თანაც შვედეთში საკმაოდ გავრცელებული, ისევე როგორც მაგალითად სვენსონი...

**"აბა, კარლსონი რა საყვარელია, გოდორა კაცუნა, რომელიც მუდმივად იტყუება და სხვის ხარჯზე ცხოვრებას ცდილობს"** - ასეთია ზოგადად შვედური საზოგადოების განწყობა კარლსონის და საერთოდ, მისი მსგავსი "არასასიამოვნო ტიპების" მიმართ. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ამ "მოწიფული, ფერ-ხორციანი და ჭკვიანი მამაკაცის" მაგალითზე შვედები თავის პატარებს ასწავლიან თუ როგორი არ უნდა იყოს ნამდვილი შვედი. საერთოდ კი შვედები ლინდგრენს აღმერთებენ. სრულიად სამართლიანადაც, რადგან ამ სასიამოვნო ქალბატონმა ალფრედ ნობელის, "აბბას", "ვოლვოსა" და ინგრიდ და ინგმარ ბერგმანებთან ერთად მთელ დუნიაზე გაუთქვა სახელი სკანდინავიის ამ ქვეყანას. სტოქჰოლმში ლინდგრენის საკმაოდ კოხტა და მყუდრო მუზეუმიც არის, რომელიც ბავშვების გასართობ ცენტრად არის გადაქცეული. სხვა პერსონაჟების ფონზე აქ შვედებისგან ასე მოძულებულ პროპელერიან არსებას უფრო მეტ პატივს სცემენ. ექსპოზიციის უდიდესი ნაწილიც სწორედ მას ეთმობა. ალბათ, კიდევ იმიტომ, რომ პატარები, უფროსებისაგან განსხვავებით, მას უფრო სხვაგვარად აღიქვამენ. ამ მუზეუმის ერთ-ერთ ნაწილში, პატარა მატარებლით, ლინდგრენის გმირების, უფრო კი კარლსონის სამყაროში მოხვედრის მსურველთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ ბავშვებს, ახალგაზრდა დედიკოებსა და მამიკოებთან ერთად აქ რიგში ჩადგომაც კი უწევთ. რიგები კი აქ ცოტა არ იყოს უცხო ხილია. ურიგოდ "გაძრომას" კი, როგორც წესი, ისევ ტურისტები ცდილობენ ხოლმე.

ყველაზე ძნელი შვედეთში გაბრაზებული შვედის ნახვაა. წონასწორობიდან ეს ზეგაწონასწორებული ხალხი ძალზე იშვიათად, სულ რამდენიმე გარემოების გამო გამოდის. მაშინ, როცა ველოსიპედისტი ფეხით მოსიარულის გზაზე დადის, მაშინ როცა დათქმულ შეხვედრას თუნდაც ხუთი წუთით გადააცილებენ, ან როცა ქაღალდისთვის განკუთვნილი ბუნკერის ნაცვლად ნაგავს სხვა, მაგალითად, პლასტიკატისათვის განკუთვნილ ბუნკერში ან კიდევ უარესი, ქუჩაში დაყრიან. მაგრამ, ამგვარი რამ, როგორც წესი, ძალზე იშვითად ხდება. შვედების ბუნებისადმი ძალზე ფაქიზი დამოკიდებულების გამო წყლის დალევა პირდაპირ ქუჩაში შეიძლება. სტოკჰოლმში კი მსურველი მოზრდილი ორაგულის დაჭერასაც შეძლებს. ასე რომ, შვედეთის შედარებით პატარა ქალაქებში, ისეთებში, როგორიც მაგალითად, კალსკრუნე და კალმარია, თავისუფლად შეიძლება იხილოთ საცხოვრებელ სახლებთან მორბენალი კურდღლები, ტბებში კი გედები და გარეული იხვები, რომლის დაჭერაც აზრადაც კი არავის მოსდის.

შვედეთი, განსაკუთრებით მისი პატარა ქალაქები ველოსიპედისტების სამოთხეა. ველოსიპედი აქ უყვართ, როგორც გადაადგილების სწრაფი და იაფი საშუალება, რომელიც ყველაფერთან ერთად, კარგ ფიზიკურ ფორმასაც გინარჩუნებთ. მით უფრო, რომ აქაურ გზებზე არამცთუ ველოსიპედით, მგონი ციგურებით სრიალიც კია შესაძლებელი. უცხოებს, უფრო ზუსტად კი უცხოელს (მიუხედავად იმისა, რა ფერის კანი ან თმა აქვს), ადგილობრივებისაგან ველოსიპედის ტარების მანერითაც განასხვავებენ: იმით, თუ რამდენად თავდაჯერებულად და წესების დაცვით დაჰყავს მას ველოსიპედი. თუმცა, ველოსიპედისტები აქ უფრო პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან ვიდრე ავტომობილების მძღოლები. აქ საკმაოდ მიღებული პარქტიკაა ერთი გადასასვლელიდან მეორეზე გადასვლის მსურველი ველოსიპედისთვის გზის დათმობა. ყველაზე მეტად კი ტრასებზე, უბრალოდ გზებზე გასულ უცხოელს ერთი საინტერესო დეტალი ხვდება თვალში. პრაქტიკულობით და ანგარიშიანობით განთქმული შვედები დღისით-მზისითაც კი ანთებული ავტომობილის ფარებით დადიან. მნიშვნელობა არ აქვს, დარია თუ ავდარი, მზიანი ამინდია თუ ბინდია. თავის დროზე, ნისლიან ამინდში ამ ხერხით, შვედები საგზაოსატრანსპორტო შემთხვევების აცილებას ცდილობდნენ და საკმაოდ ეფექტიანადაც ახერხებდნენ. ახლა მანქანების ანთებული ფარებით სიარული უკვე კანონით არის განსაზღვრული, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც თავად დავრწმუნდი, ლამის ერთი თვის განმავლობაში ნისლი აქ, ამ შემთხვევაში, კონკრეტულად ქალაქ კალმარში სულ ერთად ერთხელ ჩამოწვა.

## მატრიარქატი შვედეთში - "ვიკინგებს" ქმრად ირთავენ

ვიკინგების მემკვიდრეთა ქვეყანაში მშვენიერი ქალები ბატონობენ. შვედეთში სიამაყით აღნიშნავენ, რომ ფემინისტურმა მოძრაობამ დიდ წარმატებას მიაღწია. მაგალითად, შვედეთის მინისტრთა კაბინეტის 50 პროცენტი სუსტი სქესის წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული. ეკლესიის მსახურთა, კონკრეტულად მღვდელებს შორისაც აქ ქალებს ხშირად წააწყდებით. ახალი კანონის მიხედვით კი ტახტზე ასვლის უფლება ახლა ერთნაირად აქვთ, სამეფო ოჯახის სუსტი და ძლიერი სქესის წარმომადგენლებს. მოკლედ რომ ვთქვა, შვედეთში ქალები ირთავენ ქმრებს და არა პირიქით. კაცი, ისევე არის საოჯახო საქმიანობით დაკავებული, როგორც ქალი. ქმარი ისევე ვალდებულია, აიღოს დეკრეტული შვებულება ახალშობილის გაჩენის შემდეგ, როგორც ცოლი. "მარტოხელა მამები" აქ უკვე ისეთივე ჩვეულებრივი ამბავია, როგორც სხვაგან მარტოხელა დედები. ქალს შეუძლია უჩივლოს ქმარს გაუპატიურების ბრალდებით, იმ შემთხვევაში თუ მას ცოლ-ქმრული ვალის შესრულების სურვილი არ აქვს. ქალები მარტოკებიც მშვენივრად დაიარებიან კაფეებსა და ლუდის ბარებში, ან თავად ეპატიჟებიან საცეკვაოდ მამაკაცებს. რა თქმა უნდა, საბავშვო ეტლებით თუ ისე ბავშვებით მოსეირნე ახალგაზრდა და სიმპათიური მამიკოები აქ თვალს ახარებენ (როგორც წესი, კარგი ფიზიკური ფორმის შესანარჩუნებლად ყოველი მეორე შვედი აქტიურად არის სპორტის რომელიმე სახეობით დაკავებული), მაგრამ, მეორე მხრივ, აშკარად ჩანს მათი ერთგვარი დაკომპლექსებულობა ქალთან ურთიერთობაში.

მაგალითად, თავად ვიყავი მომსწრე, თუ როგორ მორცხვად იყვნენ კედელთან ატუზული დისკოთეკაზე საცეკვაოდ მისული შვედი ყმაწვილები, მაშინ, როცა მათი თანმხლები ქალბატონები სხვადასხვა სასმელებით გრილდებოდნენ ან სხვასთან ცეკვავდნენ. აქედან გამომდინარე, იქაურ დისკოთეკაზე სულ არ არის გასაკვირი თუ ორი-სამი ბიჭი ერთ გოგოსთან, ან სულაც ერთმანეთთან ცეკვავს. ყველაზე აქტიურები აქ ისევ ემიგარანტები არიან. ყველაზე მეტად სერბები, თურქები. ცნობისათვის, ცხრა მილიონიან მოსახლეობაზე აქ დაახლოებით მილიონამდე ემიგრანტი მოდის, რომელიც აქ საკმაოდ ნორმალურ პირობებში ცხოვრობს. ყველაზე მეტი მოთხოვნილება უცხოეთიდან შემოსულ მუშახელზე სოციალურ სფეროებშია, მაგალითად, როგორც წესი, მოხუცებულთა თავშესაფარში მომვლელად. ამ ბოლო დროს, ამგვარი კატეგორიის მოხუცებულთა რიცხვმა შვედეთში აშკარად იმატა.

## მოხუცებულთა სახლები სავსეა

ილუზიებს არ აჰყვეთ. მოხუცებულთა სახლში უპატრონო მოხუცთა რიცხვი ძალზე მცირეა. საერთოდ, მოხუცებულთა სახლების პოპულარობა, ცხოვრების მაღალი დონის გარდა შვედური კულტურის და თვითშეგნებიდან გამომდინარეობს. თავად შვედების მტკიცებით, ამ ქვეყანაში ყველაზე დიდ სირცხვილად საზოგადოების წინაშე ვალში ყოფნა ითვლება. საერთო კეთილდღეობისათვის ყველამ რაღაცა უნდა გააკეთოს და ამასთან საზოგადოებისათვის ტვირთადაც არ იქცეს. შვედეთში ყველაზე ნაკლებად საუბრობენ მშობლების წინაშე შვილების ვალდებულების შესახებ. აქ ადამიანაის სოციალური დაცულობის გარანტიად მთელი სიცოცხლის მანძილზე სახელმწიფო გამოდის. მოხუცებულთა უმეტესობა საკუთარი სურვილით მიდის მოხუცებულთა სახლებში, რათა ნათესავებისათვის ტვირთად არ იქცეს და, ამავე დროს, საკუთარი თავისუფლებაც შეინარჩუნოს. როგორც წესი, სახელმწიფო ყველანაირ პირობას უქმნის მოხუცებულებს, რომ მათ საკუთარ სახლებსა თუ ბინებში რაც შეიძლება მეტ ხანს იცხოვრონ, მაგრამ საქმე უფრო მეტად უკვე მძიმე ავადმყოფს, ან მარტოსულ მოხუცს ეხება, რომელსაც სახლში ჯდომას თავისი ასაკის კომპანია ურჩევნია. როგორც ერთ-ერთ მოხუცებულთა სახლში გვიყვებოდნენ, მოხუცები აქ მოსახვედრად რიგში საკმაოდ დიდ ხანს, ზოჯერ წლობითაც კი დგანან. მოხუცებს შვილები და ახლობლები აკითხავენ. სახელმწიფო ამაზეც ზრუნავს, რადგან შვილები მშობლების მოვლისათვის გარკვეულ ფულად თანხას, დახმარებას თუ კომპენსაციას იღებენ. რა თქმა უნდა, მოხუცებისადმი ამგვარი "უპასუხისმგებლო" დამოკიდებულება განსაკუთრებით თვალშისაცემია ბავშვებისადმი ერთგვარად ლამის გაღმერთებული დამოკიდებულების ფონზე. ქალების გარდა ამ ქვეყანაში ბავშვების ნამდვილი კულტია. სწავლა-განათლება უფასოა. მერვე კლასამდე ბავშვებს მასწავლებლები ნიშნებს არც კი უწერენ. ცნობისათვის, საკუთარი ენის შესწავლის საშუალება ემიგრანტ ბავშვებსაც აქვთ. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე კონკრეტული ენის შესწავლის მსურველი ხუთი ბავშვი მოგროვდა, სკოლა მათთვის მასწავლებლის "შოვნაზე" ზრუნავს.

## "მშრალი კანონი" შვედურად

მანქანების ანთებული ფარები დღისით, ფანჯრის რაფებში გამოდგმული შანდლები და ლამფები გარკვეულწილად თავდაცვის ზომაა, რომლითაც შვედები წელიწადში 7-8 თვის განმავლობაში საკმაოდ ადრე ჩამოწოლილ სიბნელეს ებრძვიან. სწორედ ამიტომაც შვედეთში შვებას ალკოჰოლში პოულობდნენ. ერთი პერიოდი საკმაოდ იმატა თვითმკვლელობის რიცხვმა. იმდენად, რომ სუიციდის მაჩვენებლებით შვედეთი სკანდინავიის ქვეყნებში პირველ ადგილზეც კი აღმოჩნდა. სახელმწიფომაც ზომები მიიღო. სპირტიანი სასმელები, რომელსაც აქ ცეცხლის ფასი ადევს, მხოლოდ განსაზღვრულ მაღაზიებში იყიდება, ისიც შეზღუდულ საათებში. საკამოდ დიდია დაბალგრადუსიანი სასმელების ასორტიმენტი. ასე რომ, შნაპსით, რომით, ღვინით თუ ლუდით პირის გასველება აქ უკვე ერთგვარ პატარა ზეიმად ითვლება. ახალგაზრდები, როგორც წესი, შაბათ-კვირისათვის იმარაგებენ სასმელს და ერთმანეთთან დასალევად უკვე თავთავიანთი წილით მიდიან. ყველაზე დიდი ზეიმი ქეიფის მოყვარულ შვედებს დანიაში გადასვლის შემდეგ აქვთ. საზღვრიდან არც თუ ისე შორს მათ უკვე შეუძლიათ საბითუმო ფასებში დიდი ასორტიმენტის ალკოჰოლიანი სასმელით დატკბნენ. დანიელები საკმაოდ ხალისობენ ბოთლებით სავსე ურიკებით მორბენალი შვედების დანახვაზე, რომლებიც "თავკონტროლს" მოწყვეტილი სიხარულისა და სასმელის გამო ადვილად კარგავენ.

მოსაყოლი კიდევ ბევრია. მით უფრო ისეთ ქვეყანაზე, რომელიც ჩვენისაგან ასე განსხვავდება და, ამდენად, ქართველისათვის მთლიანად აღმოჩენებითა და სიურპრიზებითაა სავსე.



უპსალა



შვედური ქოხი



სტოკჰოლმი

# ბექჰემის მცველი ერაყში მოკლეს

მადრიდის "რეალისა" და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველის, დევიდ ბექჰემის ყოფილი პირადი მცველი, დიდი ბრიტანეთის სამეფო ფლოტის წარმომადგენელი, 47 წლის ბრაიან ტილეი ერაყში მოკლეს.

ბექჰემების ოჯახში ტილეიმ 2002 წელს დაიწყო მუშაობა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, თითქოს უცნობი პირები ბექჰემების ოჯახის ერთ-ერთი წევრის გატაცებას გეგმავდნენ (თუმცა, ეს ინფორმაცია მტკნარი სიცრუე აღმოჩნდა. ის გაზეთმა News of the World-მა ტირაჟის გაზრდის მიზნით გაავრცელა).

ასე იყო თუ ისე, გაზეთის ამ ინფორმაციამ დევიდი და ვიქტორია ძალიან შეაშინა და ოჯახის უსაფრთხოების დასაცავად ზომებიც მიიღეს. ბექჰემებმა სიარული დაიწყეს ჯავშნიანი "ბმვ"-თი, რომელსაც ჟანგბადის დიდი მარაგიც კი ჰქონდა. მათ დაიქირავეს რამდენიმე ახალი პირადი მცველიც, რომელთა შორის იყო ტილეიც, ინგლისის სამეფო ორდენის კავალერი.

ბრიტანული "სანის" ცნობით, ბრაიან ტილეი, რომელიც ინგლისიდან გამგზავრების შემდეგაც ბექჰემების ოჯახის უახლოეს მეგობრად რჩებოდა, ერაყელმა პარტიზანებმა ბაღდათის მახლობლად მოკლეს. უკანასკნელად ტილეი ერთ-ერთი ეგვიპტური ფირმის ბაღდათის ფილიალში მუშაობდა.

მეგობრისა და ყოფილი მცველის სიკვდილთან დაკავშირებით დევიდისა და ვიქტორიას რეაქცია ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რომ ეს ამბავი მათ ძალიან დაამწუხრებთ.

## TV-სპორტი

### ხუთშაბათი. 20 მაისი

**НТВ+ФУТБОЛ**
07:00 NBA TV. დღიური
07:30 NBA TV. დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "MINNESOTA TIMBERWOLVES" - "SACRAMENTO KINGS". მე-7 თამაში. პირდაპირი ტრანსლაცია
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. პირველი მატჩი. "სან პაულუ" (ბრაზილია) – "დეპორტივო ტაჩირა" (ვენესუელა)
მატჩების მიმოხილვა
15:00 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. პირველი მატჩი. "სანტოსი" (ბრაზილია) – "ონსე კალდასი" (კოლუმბია)
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 "დარტყმა გოლისთვის"
17:15 "გამჟღავნება"
17:45 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი – იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" – "ბრეშა"
19:30 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
20:00 "FUTBOL MUNDIAL"
20:40 თავისუფალი დარტყმა
20:55 სახვალიო ტელეპროგრამა
21:00 საუიკენდო მატჩების ანონსი
21:05 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. პირველი მატჩი. "სან პაულუ" (ბრაზილია) – "დეპორტივო ტაჩირა" (ვენესუელა)
22:50 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. პირველი მატჩი. "სანტოსი" (ბრაზილია) – "ონსე კალდასი" (კოლუმბია). შესვენებისას (23:40) – თავისუფალი დარტყმა
00:50 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:45 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:40 02:40-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1993. დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "SEATTLE SUPERSONICS"- "HOUSTON ROCKETS". მე-7 თამაში
06:00 NBA TV. დღიური
06:30 NBA TV. კონფერენციის ნახევარფინალი. მე-7 თამაში. პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**
12:15 ჩოგბურთი. გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი დიუსელდორფში
13:45, 17:40, 20:00, 22:30 პრესცენტრი
14:00 "ფორმულის ჰარმონია"
14:20 ჰოკეი. სტენლის თასი. ნახევარფინალი. "CALGARY FLAMES" - "SAN JOSE SHARKS". მე-6 მატჩი
16:40 "ათენის გზაზე"
17:55 ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:15 "ჩქაროსნული სამყარო"
20:45 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
21:15 "მოტოვებული კვირა"
22:00 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
22:45 "ოლიმპის შვილები"
22:50 სახვალიო ტელეპროგრამა
23:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ნახევარფინალი. "CALGARY FLAMES" - "SAN JOSE SHARKS". მე-6 მატჩი
01:15 ახალი ამბები
01:30 ჩოგბურთი. გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი დიუსელდორფში
03:00 03:00-დან 04:30 შესვენება
04:30 ჰოკეი. სტენლის თასი. ნახევარფინალი. "PHILADELPHIA FLYERS" - "TAMPA BAY LIGHTNING". მე-6 მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
11:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
12:00 ცხენოსნობა. ნაციის თასი საფრანგეთში
13:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
15:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის ჩემპიონთა თაობა
15:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ისტორია
16:30 ჩოგბურთი. საჩოგბურთო ისტორიები
16:45 ველორბოლა. იტალიის ტური
17:45 ველორბოლა. იტალიის ტური
20:30 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
21:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები
22:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები
23:00 "სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში". ტელეჟურნალი
00:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
02:00 ახალი ამბები
02:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი კვიპროსში
03:15 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
04:15 ახალი ამბები




## ფეხბურთი

# "ვალენსია" უეფას თასის მფლობელია

### ვალენსია – მარსელი 2:0

A1 გვერდიდან

მატჩის დაწყების წინ რაფაელ ბენიტესს ორი პრობლემა ჰქონდა. მას უნდა მოეფიქრებინა "მარსელის" ბომბარდირის, დიდიე დროგბას (დროგბამ უეფას თასზე გამართულ 15 შეხვედრაში 11 გოლი გაიტანა) ნეიტრალიზების სქემა და გადაეწყვიტა, გამოეშვა, თუ არა მინდორზე არგენტინელი პაბლო აიმარი, რომელსაც არაფრისგან შედევრის შექმნა შეუძლია. აიმარმა ახლახანს მოიშუშა საზარდულის ტრავმა, ამიტომ ბენიტესმა ფეხბურთელის გამოყვანა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გადაწყვიტა. მოკლედ, აიმარი სათადარიგოთა სკამზე დარჩა. სამაგიეროდ შეტევის ხაზზე ესპანელებმა რუფეტე და მისტა გაამწესეს.

რაც შეეხება დიდიე დროგბას ნეიტრალიზებას, უნდა ითქვას, რომ ესპანელებმა ამ საქმეს შესანიშნავად გაართვეს თავი. ფრანგ ბომბარდირს "ვალენსიასთვის" განსაკუთრებული პრობლემა არ შეუქმნია. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ტაიმის ბოლოს, ფაბიენ ბარტეზის გაძევების შემდეგ, ფრანგებისთვის პრაქტიკულად ყველაფერი დასრულდა.


ეს-ეს არის ვისენტემ პენალტით ანგარიში გახსნა

მატჩი უაღრესად ფრთხილად დაიწყო. გარისკვა არც ერთ ფინალისტს არ სურდა და გუნდები ძირითადად მოედნის ცენტრის გაკონტროლებას ცდილობდნენ, მაგრამ მინდორზე სრული თანაფარდობა სუფევდა. მოკლედ, პირველი ტაიმი მშვიდობიანად დასრულდებოდა, რომ არა ფაბიენ ბარტეზის შეცდომა. საფრანგეთის ნაკრების მეკარემ მასთან პირისპირ გასული მისტა აკრძალული ილეთით შეაჩერა, რისთვისაც წითელი ბარათი დაიმსახურა. ვისენტემ კი თერთმეტმეტრიანი დარტყმა ზუსტად გამოიყენა და "ვალენსია" დააწინაურა - 1:0. ამის შემდეგ პრაქტიკულად ყველაფერი დარულდა. მეორე ტაიმის 58-ე წუთზე მისტამ მეორედ აიღო ბარტეზის კარი და ფრანგებისთვისაც ნათელი გახდა, რომ თამაში წაგებული იყო.

აკი ამბობდა კიდეც მატჩის წინ ფრანგების მწვრთნელი ჟოზე ანიგო, "მთავარია პირველი გოლი არ მივიღოთ, რადგან ამის შემდეგ "ვალენსია" თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში და მისი დამარცხება უაღრესად რთულდება". ფრანგებისთვის სამწუხაროდ ანიგოს წინასწარმეტყველება ახდა და ესპანეთის "ვალენსიამ" უეფას თასთან ერთად, შინ დაახლოებით 3,5 მილიონი ევროც წაიღო. გუნდის იტალიელი მცველი ბენიტო კარბონი კი ყველაზე ხანდაზმული ფეხბურთელი გახდა, რომელიც უეფას თასს დაეუფლა. კარბონი ამჟამად 39 წლის და 45 დღისაა.

### ული ჰიონესი:

# "ჰიცფელდის გაშვება დიდი ხნის წინათ გადავწყვიტეთ"

### ივლისიდან "ბაიერნს" ფელიქს მაგატი უხელმძღვანელებს


ჰიონესმა ჰიტცფელდი დაითხოვა

მიუნხენის "ბაიერნში" ოტმარ ჰიცფელდის ერა დასრულდა. ეს მწვრთნელი 1998 წელს მივიდა "ბაიერნში" და თავბრუდამხვევ წარმატებებსაც მიაღწია. გერმანიის ჩემპიონის ტიტულები, გამარჯვება ჩემპიონთა ლიგაში... ჰიცფელდმა ბევრს მიაღწია "ბაიერნში", თუმცა, წლევანდელ სეზონში დიდი მარცხი განიცადა, "ბაიერნი" ყოველგვარი ტიტულის გარეშე დარჩა და მიუნხენელებმა ჰიცფელდთან განშორება გადაწყვიტეს. თავდაპირველად ითქვა, რომ მწვრთნელი მომავალი სეზონის შემდეგ შეიცვლებოდა, მაგრამ "ბაიერნის" ხელმძღვანელობამ მოვლენები დააჩქარა და ახალი მწვრთნელის დანიშვნა მიმდინარე წლის პირველი ივლისისთვის დაგეგმა. ის, რომ ჰიცფელდის შემცვლელად მიუნხენელებს ფელიქს მაგატი ესახებოდათ, ადრეც ცნობილი იყო. მაგრამ მოიყვანდნენ თუ არა მაგატს წლეულსვე, გუშინდლამდე უცნობი იყო.

და აი, საიდუმლოს ფარდა აეხადა - მაგატმა დუმილი დაარღვია და განაცხადა, რომ "ბაიერნში" პირველი ივლისიდან დაიწყებს მოღვაწეობას. "მე უკვე ფეხბურთელებსაც ვესაუბრე და ვუთხარი, რომ პირველი ივლისიდან "შტუტგარტს" დავემშვიდობები. მიუნხენში გადასვლა ძალიან მახარებს. ყოველთვის მინდოდა ისეთ კლუბში მემუშავა, რომელიც დიდი მიზნებისთვის იბრძვის", - განაცხადა გუშინ მაგატმა.

გთავაზობთ ინტერვიუს ული ჰიონესთან, მიუნხენის "ბაიერნის" მენეჯერთან, რომელსაც მომავალ სეზონში ფელიქს მაგატის გვერდით ვიხილავთ საფეხბურთო მატჩებზე.

**- როდის გადაწყვიტეთ ოტმარ ჰიცფელდთან განშორება?**

- პირადად მე ეს გადაწყვეტილება ბრემენის "ვერდერთან" მატჩის პირველი ნახევრის დასრულებისთანავე მივიღე, როდესაც ჩვენ უკვე 0:3-ს ვაგებდით. ეს იყო მატჩი გერმანიის ჩემპიონის ტიტულისთვის... ხოლო ორშაბათს, დირექტორთა საბჭოს სხდომაზე, ხმამაღლა ვთქვით, რომ ამ წარუმატებლობაზე რეაგირება უნდა მოგვეხდინა. ჩვენი ეს გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭომაც მოიწონა. თუმცა, "ვერდერის" წინააღმდეგ მატჩში გუნდს რომ ეჩვენებინა, ამ მწვრთნელთან ერთად ბოლომდე ვიბრძოლებთო, მაშინ ამ საკითხს ასე არ დავაჩქარებდით და ჰიცფელდს კიდევ ერთ წელიწადს ვაცდიდით. არ დაგავიწყდეთ, რომ საქმე ადამიანს ეხება და მასთან განშორება არ არის იოლი.

**- მიუხედავად იმისა, რომ ჰიცფელდის ბედი უკვე გარკვეული გქონდათ, "შტუტგარტთან" მატჩამდე მისთვის არაფერი გითქვამთ?**

- ვერც ვეტყოდით, რადგან ზოგიერთი საკითხი შაბათს უნდა გადაგვეწყვიტა. ალტერნატივა რომ არ გამოჩენილიყო, ჰიცფელდს არც დავშორდებოდით.

**- რას ელით გუნდისგან ბუნდესლიგის უკანასკნელ მატჩში "ფრაიბურგის" წინააღმდეგ?**

- მე ველი გუნდის საჩუქარს ოტმარ ჰიცფელდისთვის. ველი ბრწყინვალე შედეგს, რომელსაც ისინი ამ შესანიშნავ ადამიანთან გამოსამშვიდობებლად გვაჩვენებენ. ჰიცფელდი ყოველთვის დიდ თავისუფლებას აძლევდა მოთამაშეებს, თუმცა, მათ ვერ შეძლეს, მისი კურსისთვის მხარი აებათ.

**- რას მოელით ახალი მწვრთნელისგან?**

- ის ძლიერი ხელით უნდა შეუდგეს საქმეს და ზოგიერთ ფეხბურთელს გააგებინოს, რომ ფეხბურთში საჭიროა სირბილი, რომ ცუდად თამაშის შემთხვევაში ფეხბურთელი უნდა გააკრიტიკონ. ჩვენი მოთამაშეები ზედმეტად გათამამებულები არიან.

**- მწვრთნელის შეცვლის შესახებ დიდი ხნის წინათ დაიწყეთ ფიქრი?**

- წინასწარი კონტრაქტი ფელიქს მაგატთან რამდენიმე კვირის წინათ გავაფორმეთ. იმ კონტრაქტის თანახმად, მაგატი 2005 წლის ივლისიდან გადმოვიდოდა ჩვენთან. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ მწვრთნელის შეცვლაზე დიდხანს ვფიქრობდით. საკითხავი მხოლოდ ის იყო, თუ როდის დავემშვიდობებოდით ჰიცფელდს - ერთი წლის შემდეგ თუ ახალვე.

**- რატომ შეაჩერეთ არჩევანი მაგატზე?**

- იმიტომ, რომ ის ცნობილია თავისი მტკიცე ხასიათით, მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ცნობილ გვარებს და ფეხბურთელებს ის სირბილს აიძულებს. მაგატის კანდიდატურას თვეების განმავლობაში ვუქებდით სამეთვალყურეო საბჭოს. ოტმარ ჰიცფელდი ამ საკითხში არასოდეს გვეთანხმებოდა, მაგრამ ჩვენ ყოველთვის გვინდოდა, რომ დისციპლინის თვალსაზრისით რაღაც შეგვეცვალა. თუმცა, უკანასკნელ ხანს მხოლოდ მწვრთნელის შეცვლაზე არ გვიფიქრია. ბევრი რამ გავაკეთეთ მოთამაშეების საკითხთან დაკავშირებით. ამ სიახლეებს უახლოეს მომავალში მოგახსენებთ.

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ფინანსურ კრიზისში მყოფმა "ლიდს იუნაიტედმა" "მანჩესტერ იუნაიტედს" უარი შეუთვალა ფორვარდ ალან სმიტის მიყიდვაზე. "ლიდსს", რომელიც წლეულს პირველ დივიზიონში დაქვეითდა, სმიტის სანაცვლოდ ჯერ 3,5 მილიონი გირვანქა შესთავაზეს, შემდეგ კი - 5,5. თუმცა, "ლიდსმა" ფეხბურთელის გაყიდვაზე უარი განაცხადა და აღნიშნა, რომ ფასი ფეხბურთელის დონეს არ შეესაბამება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ხოსე ანტონიო კამაჩო მადრიდის "რეალს" მომავალი კვირიდან ჩაუდგება სათავეში. "ორშაბათს ან სამშაბათს ჩვენ ახალი მწვრთნელის ვინაობას დავასახელებთ. ესპანეთის ჩემპიონატი კვირას მთავრდება. ასე რომ, ამ დღეს უნდა დაველოდოთ. ორშაბათიდან კი ახალი სეზონისთვის გეგმებს დავსახავთ", – განაცხადა "რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა. ესპანურმა ტელეარხმა "ტელემადრიდმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ "სამეფო კლუბს" სათავეში ჩაუდგება სწორედ ანტონიო კამაჩო, რომელიც ამ პოსტზე კარლოს კეიროშს შეცვლის. კეიროშმა წლეულს ვერც ერთი ტიტული ვერ მოიგო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რუსული კომპანია "ნაფტა-მოსკვა" "რომას" შეძენის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ ცდილობს შეიძინოს სერია A-ს კიდევ ერთი კლუბი "პარმა", რომელიც სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს განიცდის. თუმცა, "ნაფტა-მოსკვამ" ერთი პირობა წამოაყენა – გუნდმა ფორვარდი ალბერტო ჟელარდინო უნდა შეინარჩუნოს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მადრიდის "რეალმა" თვალი დაადგა პორტუგალიის "ბენფიკას" ბრაზილიელ მცველ ლუიზაოს. "სამეფო კლუბის" წარმომადგენლები ფეხბურთელს 18 თვის განმავლობაში აკვირდებოდნენ და საბოლოოდ მისი შეძენა გადაწყვიტეს. იტყობინებიან, რომ ლუიზაოს მადრიდელებთან რეკომენდაცია გაუწია ესპანეთის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ, რომელიც "რეალის" მწვრთნელობის უმთავრეს კანდიდატად მიიჩნევა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მადრიდის "ატლეტიკოსა" და საბერძნეთის ნაკრების ფორვარდმა დემის ნიკოლაიდისმა უარი განაცხადა, შეიძინოს თავისი ყოფილი კლუბი ათენის "აეკი". ასეთი გადაწყვეტილება ბერძენმა მას შემდეგ მიიღო, რაც ფეხბურთელებმა უარი თქვეს, სასამართლოდან გამოეტანათ სარჩელი, რომლითაც ისინი კლუბს დავალიანების გასტუმრებას სთხოვენ. "ჩვენ არ შეგვიძლია, მოლაპარაკებები გავაგრძელოთ მანამ, სანამ ფეხბურთელები დავალიანების გასტუმრებას მოითხოვენ. შეთანხმება არ მოხდება", – განაცხადა ნიკოლაიდისმა. "აეკის" ფეხბურთელებმა ხელფასის 30 პროცენტით შემცირებაზეც უარი განაცხადეს. კლუბის დავალიანება 37 მილიონ დოლარს აღწევს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** დანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ფრენკ არნესენი ლონდონის "ტოტენჰემის" სპორტული დირექტორი გახდა. ამ პოსტზე მან შეცვალა დევიდ პლიტი, რომელიც გუნდის მწვრთნელის მოვალეობას ასრულებს. ლონდონელები ახალ მწვრთნელს ეძებენ.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** დოპინგის ხმარების გამო ამერიკელი მორბენალი კელი უაიტი ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ის ოლიმპიურ თამაშებზე ვერ გამოვა და მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული ორი ოქროს მედალიც ჩამოერთმევა. მის ორგანიზმში მოდაფინილი აღმოაჩინეს. ეს შედეგი აჩვენა ანალიზმა, რომელიც აშშ-ის ჩემპიონატზე აიღეს.

■ ■ ■

**კრივი.** 31 ივლისს WBC-ის ვერსიით პირველ მსუბუქ წონაში მსოფლიო ჩემპიონი ერიკ მორალესი IBF-ის ვერსიით უძლიერეს კარლოს ერნანდესს შეხვდება. მეორე გამაერთიანებელ მატჩში, ოღონდ მინიმალურ წონაში, IBF-ის ჩემპიონი დანიელ რეიესი WBO-ის გამარჯვებულ ივან კალდერონს დაუპირისპირდება. ერთ წინასწარ შეხვედრაში კი ჯონი ტაპია და ფერნანდო ველარდესი ("მოჩხუბარი ბობი") გაეჯიბრებიან ერთმანეთს. არ არის გამორიცხული, რომ რინგზე გამოვა აგრეთვე მსოფლიო ჩემპიონი უმჩატეს წონაში რაფაელ მარკესი. ამავე საღამოს იგეგმება ბრძოლა მაიკ ტაისონსა და კევინ მაკბრაიდს შორის.

■ ■ ■

**ჭადრაკი.** ინდოელმა დიდოსტატმა ვიშვანათან ანანდმა გაზეთ "სპორტ ექსპრესს" აუხსნა მიზეზი იმისა, თუ რატომ არ ითამაშებს მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ლიბიაში გაიმართება. "ტურნირი, რომლის გამართვაც ლიბიაში იგეგმება, ფაქტობრივად, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის მატჩის საკვალიფიკაციო რაუნდია. პრალის შეთანხმების ვადა დიდი ხანია ამოიწურა და არ მესმის, რატომ უნდა მიენიჭოს რომელიმე ერთ მოჭადრაკეს პრივილეგიები. ეს უსამართლობად მიმაჩნია და ამიტომ ტურნირში მონაწილეობაზე უარს ვამბობ", – განაცხადა ვიშვანათან ანანდმა.

კალათბურთი

# დინამო ჩემპიონობას მიუახლოვდა

### საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი. მესამე მატჩი

**დინამო (თბილისი) - ბასკო (ბათუმი) 77:56**

**ანგარიში სერიაში 2:1**

პაატა თოთაძე

"ანგარიშმა არ უნდა შეგაცდინოთ. ეს ანგარიში რეალურად არ ასახავს ძალთა თანაფარდობას მოედანზე. "ბასკო", უდავოდ, ძლიერი გუნდია. ამაში არაერთხელ დავრწმუნებულვართ და კიდევ დავრწმუნდებით. აქედან გამომდინარე, ხვალინდელი მატჩი დღევანდელზე დაძაბული იქნება. ბათუმელებს უკან დასახევი გზა არა აქვთ", - მატჩის შემდეგ განაცხადა "დინამოს" თავკაცმა დრაჟენ ბრაიკოვიჩმა.

ოთხი მეოთხედიდან "დინამომ" ორის - პირველი და ბოლო მეოთხედების მოგება შეძლო, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა სერიაში მეორე მატჩის მოსაგებად. ახლა "დინამოს" ზედიზედ მეორედ ჩემპიონობას ერთი მოგება აშორებს. ასე რომ, დღევანდელი მატჩი, შესაძლოა, ბოლოც კი გამოდგეს.

პირველ წუთებში თანაბარი ბრძოლა იყო. ანგარიში ჯერ 4:4 იყო, მერე 7:7 და 9:9. ჩემპიონის დაწინაურება ამის მერე დაიწყო. სამწუთიან მონაკვეთში "დინამო" 4 ქულით დაწინაურდა, მეოთხედი კი 6 ქულით მოიგო.

მეორე მეოთხედის დასაწყისში ვითარება მოედანზე მნიშვნელოვნად შეიცვალა. ხუთწუთიანი მონაკვეთი "ბასკომ" 16:2 მოიგო და ანგარიშში 30:23 დაწინაურდა, თუმცა, მომდევნო ორ წუთში ბათუმელებმა ყველაფერი თავის ადგილას დააყენეს – 0:10 წააგეს ორწუთიანი მონაკვეთი და მეტოქე წინ გაუშვეს. მეორე მეოთხედის დასაწყისში დინამოელ ხოშტარიას სამი პერსონალური ჰქონდა, რის გამოც ბრაიკოვიჩმა მას დროის უმეტესი ნაწილი სკამზე გაატარებინა. მცირე ხანში მას ბათუმელმა კეშელავამ მიბაძა. გარდა იმისა, რომ ოთხი პერსონალური მიიღო, არაერთი შეცდომაც დაუშვა. ყველაფრის მიუხედავად, ბათუმელებმა მეოთხედი 3 ქულის უპირატესობით, 21:18 მოიგეს. შედეგად დიდი შესვენებისთვის "დინამო" 4 ქულას იგებდა (39:35).

მეორის მსგავსად, მესამე მეოთხედიც ბათუმელებმა მოიგეს და ბოლო მეოთხედისთვის ისინი მხოლოდ ორ ქულას აგებდნენ. გადამწყვეტი მეოთხედის წინ "დინამოს" მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ხუთი პერსონალურის გამო მოედანი დატოვა მუშკუდიანმა.



"დინამოს" ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი აშორებს

ყველაფერი ბოლო მეოთხედში გადაწყდა, მაგრამ არა ისე, როგორც ამას მაყურებელი ელოდა. პირველი ბურთი გუნდებმა მხოლოდ მეექვსე შეტევიდან ჩააგდეს – თავი ჟღენტმა გამოიჩინა. აქედან მოყოლებული, მეოთხედის ბოლომდე, "დინამო" მხოლოდ ზრდიდა თავის უპირატესობას. მშვენივრად თამაშობდა რამაზ გოგობერიშვილი, რომელიც წინა მეოთხედებშიც ჩინებულად ირჯებოდა მოედანზე. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ათ წუთში "ბასკომ" მხოლოდ სამი ქულის ჩაგდება მოახერხა, მაშინ როცა "დინამოს" მონაგარი ამ მეოთხედში 23 ქულა იყო. უსამართლობა იქნება, რომ ყველაფერი "დინამოს" კარგ თამაშს დავაბრალოთ. აშკარა იყო, ბათუმელები "აიჭრნენ" და ასეთი შედეგიც ამიტომ დაფიქსირდა.

"ბუნებრივია, გახარებული ვარ შედეგით, მაგრამ ჩემებისგან უფრო მეტს ვითხოვ. იმედია, ხვალ უკეთესად ვითამაშებთ და ჩემპიონებიც გავხდებით", - დასძინა ბრაიკოვიჩმა. სხვათა შორის, საუბარს ხორვატი მწვრთნელის თანამდებობიდან შესაძლო გადაყენების თაობაზე გუშინ მაყურებელთა შორისაც გაიგონებდით. "გაიგე? რა ვიცი, ამბობენ, კარგიაო და..." - დაახლოებით ამგვარი იყო საუბრის არსი, რომელსაც რეალობასთან საერთო არაფერი აქვს.

"ვერ გეტყვით, საიდან აგორდა ეს ჭორი. ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბრაიკოვიჩია და მომავალშიც ის იქნება", - განაცხადა კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა, – "რამდენიმე ხნის წინათ ჩვენ ვესაუბრეთ მოსკოვის ცსკას გოოგეს შესახებ. გვინდოდა, ის 20 წლამდელთა ნაკრებში მოგვეწვია. ამ ასაკის ნაკრები ახლა არ გვყავს, შესაქმნელია და გვინდოდა, ამაში მონაწილეობა გოოგეს მიეღო. ეს იყო და ეს, ეროვნულ ნაკრებში მის მოწვევაზე საერთოდ არ ყოფილა საუბარი".

რაგბი

# ერთი ნაბიჯი მსოფლიო ჩემპიონატამდე

რუმინეთში მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი რაგბიში, 20 წლამდე ასაკის მორაგბეთა შორის. ამ ტურნირში საქართველოს ნაკრები პირველად მონაწილეობს და საამაყოა, რომ ნუგზარ ძაგნიძისა და დავით ჩავლეიშვილის აღსაზრდელები ფინალში გავიდნენ. თუ "პატარა ბორჯღალოსნები" ევროპის ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებენ, აღიარებასთან ერთად ისინი მსოფლიო ჩემპიონატის საგზურსაც გაინაღდებენ და მომავალში მსოფლიოს ელიტარულ გუნდებთან ექნებათ საქმე.

ფინალის გზაზე ქართველებმა ორი მატჩი გამართეს. პირველი მეტოქე სერბეთის გუნდი იყო, რომელიც ჩვენმა თანამემამულეებმა მიწასთან გაასწორეს - 111:6, თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს. საქართველოს ნაკრებმა მეორე მატჩიც მოიგო. ჩვენების მეტოქე პორტუგალიის მომგები ესპანეთი იყო. ბუნებრივია, ესპანეთი სერბეთი არაა, რომ ქართველებს მეტოქე დიდი სხვაობით დაემარცხებინათ. თუმცა, ქართველმა მორაგბეებმა საწადელს მაინც იოლად მიაღწიეს. 35:18 – ასეთია შეხვედრის შედეგი საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ. მეორე ნახევარფინალში რუმინეთის ნაკრებმა - 27:17 დაამარცხა რუსეთის გუნდი და ახლა ახალგაზრდა ქართველ მორაგბეებს ევროპის ჩემპიონის ტიტულისა და მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად, ფინალურ მატჩში რუმინეთის დამარცხება მართებთ.



ნუგზარ ძაგნიძისა და დავით ჩავლეიშვილის გუნდი ფინალში გავიდა

კრივი

# კლიჩკოს მოტეხვას უპირებენ

გიგა გურასაშვილი

*ვლადიმირ და ვიტალი კლიჩკოებს გერმანელ პრომოუტერ კლაუს-პეტერ კოლთან კონტრაქტი რომ ამოეწურათ, ვიუწყებოდით, მაგრამ პრომოუტერს უკრაინელი ძმები არ ეთმობა და გზებსაც, როგორც შეუძლია, უხლართავს. იარაღად კი იყენებს გერმანიის კრივის ფედერაციას (BDB), რომელსაც, თავის მხრივ, რინგიდან ვლადიმირის ექვსი თვით მოკვეთა განუზრახავს.*

გერმანიის კრივის ფედერაცია ამას მოკრივის ჯანმრთელობაზე ზრუნვით ხსნის. BDB-ს ზრუნვა უკრაინელის მიმართ, შესაძლოა, არც ყოფილიყო ამდენად აქტუალური, მაგრამ კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) მიერ ვაკანტურად გამოცხადებული ქამრისთვის ბრძოლაში ამერიკელ ლეიმონ ბრიუსტერთან ტექნიკურად ნაწვნევი მარცხის შემდეგ საკითხმა მნიშვნელობა შეიძინა.

გერმანიის კრივის პროფესიულმა კავშირმა უკრაინელ მოკრივეს 2004 წლის 10 ოქტომბრამდე რინგზე გამოსვლა აუკრძალა.

"ეს ნაბიჯი სიფრთხილემ გადაგვადგმევინა. არ გვინდა, რომ სპორტსმენმა საკუთარ თავს ავნოს. ასეთი პრაქტიკა ჩვეულებრივი ამბავია - დამარცხების შემდეგ ფედერაცია მას ყველა მოკრივის მიმართ იყენებს", - აცხადებს ფედერაციის პრეზიდენტი ბოდო ეკმანი.

ვლადიმირი კი გერმანელთა მზრუნველობაში სხვა მიზეზებს ხედავს და ამისთვის საკუთარი არგუმენტებიც აქვს. უკრაინელის განმარეტებით, ნოკაუტის შემდეგ მოკრივეს, დიდი-დიდი, ექვსკვირიან დასვენებას აძლევენ და არა ექვსთვიანს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამგვარ პრაქტიკას პირველად მიმართავენ ჩემს მიმართ. ეტყობა, ვიღაცას ხელს აძლევს კრივიდან ჩემი ჩამოშორებაო!



ვლადიმირ კლიჩკოს რინგზე არ უშვებენ

უმცროს ძმას კვერს უკრავს ვიტალიც და უფრო განავრცობს ძმის ეჭვს. თავის მხრივ, უფროსი ძმა კრივიდან ვლადიმირის ნახევარწლიან ჩამოშორებაში კლაუს-პეტერ კოლის ხელს ხედავს: "ჩვენ კეთილსინდისიერად გამოვიმუშავეთ საკუთარი კონტრაქტი, კოლი კი ყველა გზით ცდილობს მის გახანგრძლივებას".

ვლადიმირისგან ვიგებთ, რომ გერმანელ პრომოუტერს კონტრაქტის 2005 წლამდე გახანგრძლივება სურს. წინა კონტრაქტს კი მიმდინარე წლის 30 აპრილს გაუვიდა ვადა.

ფაქტია, ვლადიმირს გერმანიის კრივის ფედერაციის ქმედებისა გაჰკვირვებია, რადგან დარწმუნებულია, რომ კრივიდან მისი ნახევარწლიანი ჩამოშორება არ უკავშირდება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას: "ჯანმრთელობის მხრივ თავს მშვენივრად ვგრძნობ. იმ მატჩის შემდეგ სხვადასხვა ექიმთან შევამოწმე ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა. 100 პროცენტით ჯანმრთელი ვარ".

რაც შეეხება იმას, თავად როდის სურს რინგზე ასვლა, აცხადებს, რომ ამის იმედი აქვს სექტემბერ-ოქტომბერში. საერთოდ კი, ბრიუსტერთან ჩატარებულმა ორთაბრძოლამ უამრავი კითხვა წარმოშვა და ამას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს უმცროსი კლიჩკო. პირველ ყოვლისა, სისხლში შაქრის დონემ ნორმას ოთხჯერ გადააჭარბა, მეორე დღეს კი ყველაფერი რიგზე მქონდა. ორთაბრძოლის წინ აღებული ანალიზები საიდუმლო ვითარებაში აორთქლდა. არც ისაა შემთხვევითი, რომ ბრძოლამდე რამდენიმე საათით ადრე ბუკმეიკერებმა ბრიუსტერის მოგების შანსი ერთიორად გაზარდესო.

"თავის გამართლებას არ ვაპირებ. უბრალოდ, მინდა გავიგო, საბრძოლო ფორმაში მყოფს სამ რაუნდში რატომ გამომეცალა ძალა. იმედი მაქვს, სიმართლეს შევიტყობ. ყველაფერ ამაზე საუკეთესო პასუხად ჩემი მომდევნო ჩხუბი გამოდგება".

■ ■ ■

**P.S.** ვლადიმირ კლიჩკომ გამოსავალს მიაგნო. კლაუს-პეტერ კოლის საამებლად, ის, მართლაც, არ გავა რინგზე, ოღონდ გერმანიის ტერიტორიაზე. სხვაგან, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში კი...

და კიდევ, უკრაინელი დარწმუნებულია, რომ ახლო მომავალში ვიტალისთან ერთად დადებულ პირობას შეასრულებს – დაეუფლებიან ყველა საჩემპიონო სარტყელს.

მარო მაჩხაანელის კუთხე



# მე რომ პატარკაციშვილი ვიყო...

ვინ თქვა, კაცებს ჭორაობა არ უყვართო. სულ სამი დღეა, რაც აქ ვარ და იმდენი და ისეთები თქვეს ჩემზე, თმა ყალყზე დაგიდგება. მოგროვდებიან ორ-ორი, სამ-სამი და, თითქოს მეტი საქმე არ ჰქონდეთ, იმის გარკვევას ცდილობენ, მყავს თუ არა "ბოიფრენდი", ვისი პროტეჟე ვარ. განსაკუთრებით ჩემი სექსუალური წარსული აინტერესებთ. ამ ჩემს ფოტოზე ხომ ლამის დახოცეს ერთმანეთი – მაგისი არ იქნებაო. ეხლა, რადგან მარო მქვია და მაჩხაანელი ვარ, მაინცდამაინც ყაყი უნდა გადამდიოდეს სახეზე?

არა უშავს, ამ ჭორიკანებს როგორმე მოვუვლი. ის ერთი, როგორც ჩანს, საბოლოოდ მოვიცილე – A ბლოკში ჟვანიათი ერთობა. ეს დანარჩენები კი დიდი არაფერი.

კაცებს რომ ჰკითხო, სპორტზე მარტო მაგათ უნდა წერონ. პოლიტიკა, ხელოვნება, ეკონომიკა სულ ქალებს დაუთმეს – საინტერესო არ არისო. საინტერესო კი არა, ოფსილა არ ჰყოფნით, სპორტი კიდე, ჰგონიათ, ადვილია: მარჯვენა კუთხეში შაუგდო, მარცხენა კუთხეში შაუგდო.

ადვილისა რა გითხრათ, უფრო მგონია, ამ სიტყვების სათქმელად უხარიათ სპორტზე წერა. ჩვენში, გოგოებში დარჩეს და, ერთი მითხარით, ეგეთ კაცებს კაცები უნდა ერქვათ, ჩვენ კიდე ქალები?

ისე, მოსვლა ვერ მოვასწარი და ერთი-ორმა დედაკაცმა შურიანი თვალით გადმომხედა. რა ვიცი, რა შეშურდათ, ვითომ ამოდენა კაცები რომ მახვევია, ეგა?

ეეჰ! მაგათთვის მცალია ეხლა! "ჯირო" საცაა მთებში წავა, "როლან გაროსიც" იწყება, მერე ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთშიო, მერე "უიმბლდონიც" ზედ დაემატება, იმას კიდევ "ტურ დე ფრანსი", "US ოუფენი" და ოლიმპიადა...

რა ზაფხული მოდის!

მოდის, მაგრამ ჩვენ რა? სადმე გაფხაკუნდება კი ვინმე ჩვენიანი?

გახსოვთ, ძმებო და დებო, ერთ დროს მოდაში იყო, რუბრიკად იყენებდნენ გაზეთებში, ტელევიზიაში: მე რომ მილიონი მქონდეს... მე რომ პრეზიდენტი ვიყო... აი, ეგენი არ ვიცი, მაგრამ, მე რომ პატარკაციშვილი ვიყო, ბუდიონის ულვაშების დაყენებას გუნდს დავაყენებდი.

აი, ამის ინტერესი მაქვს და კიდევ იმისა, იქნებ ვინმემ, ისე, სხვათა შორის, ჩამჩურჩულოს, რა ვქნა, ცნობისწადილი მკლავს, აი, ის ბიჭი, "ღამის შოუ" რომ მიყავს, დათო გოგიჩაიშვილი, ყოველი განყოფილების შემდეგ ნეტა რას იწერს იმ თავის უბის წიგნაკში, ვითომ საკუთარ თავს უწერს ნიშანს? ქალური ინტუიცია მკარნახობს, ზურაბ ადეიშვილის კაცი უნდა იყოს, სტუმრებს ჩითავს, ვის რაზე როგორი რეაქცია აქვს.

ეხლა კიდევ ერთი საკითხი. ჯერჯერობით განყოფილებაში მარტო ვარ. საერთოდ, ალბათ, გაგიგონიათ, ბრმებს სმენა აქვთ განსაკუთრებით განვითარებული, კაცს რომ ფეხებს მოაჭრიან, მერე მთელი ძალა მკლავებში უგროვდებათ ხოლმე და ასე შემდეგ. მარტო ვარ-მეთქი, რომ ვთქვი, ვინმე ჟურნალისტის დამატება მინდა და, ახლა რომ მოგახსენეთ, იმ პრინციპით მინდა შევარჩიო. არა, რაღა მაშინვე ინვალიდებზე იფიქრეთ! მე ჩემი ქალური გუმანით ეგრე განვსაჯე: ჟურნალისტი რომ ერთ სფეროში ვერ გამოიჩენს თავს, მერე მეორეში, მესამეში, ბოლოს და ბოლოს, კულტურის ყველა სფეროს რომ მოითავებს, ეკონომიკასაც, პოლიტიკასაც, ჩემ ამ ზემოთქმული პრინციპის თანახმად, იქნებ, იქნებ კი არა, დარწმუნებული ვარ, სპორტში ნაღდად გამოდგება. "მზერის" აი, იმ სასტავს ვგულისხმობ, იქნებ მოლაპარაკებოდა ჩვენი ხელმძღვანელობა და ამ ჩვენს სპორტის განყოფილებაში მოგვეწვია.

როგორც უკვე გითხარით, თავიდან მაინცდამაინც თბილად არ დამხვდნენ, მაგრამ არა უშავს, შემეჩვევიან. ერთმა, საერთოდ, ჯერ ნანახიც არ ვყავდი, ეგა ეგ არ იქნებაო. არ ვიცი, მაგათ ჩემი ტუჩ-კბილი და გავა-წელი აინტერესებთ, თუ ის, რასაც ვწერ.

არა, როგორ არ ვიცი, კაცები, ბოლოს და ბოლოს, დამიტკბებიან, მაგათ მოხარშულს ვიცნობ. მაგრამ ამ კაბიანებს, ამ ქალობაგასახუნებლებს რა მოვუხერხო, არ ვიცი. საკმარისია, თავი მიატრიალო და წყვილი წიწაკიანი ჭორიც ზედა გაქვს. ენა აქვთ, გველების მთელ ბუდეს დაწამლავს. მაშინ ნახეთ, "ჯირო" რომ გახურდება და მაგათთვის აღარ მეცლება.

"ჯირო" "ჯიროდ", მაგრამ მთელი ამ სპორტსმენების, მწვრთნელებისა და ფანების გულისყური მაინც "ტურ დე ფრანსისკენაა". არმსტრონგისა და ულრიხის დუელი ელანდებათ. რა სეირი იქნება, ერთსაც და მეორესაც სულ უცნობმა ვინმემ რომ დედა უტიროს! მერე უნდა ნახოთ, რა გლოვა იქნება მაგათ ბანაკებში, მაგრამ სპორტი მოიგებს, ძმებო და დებო, სპორტი!

ბარემ "როლან გაროსზეც" ვიტყვი ერთი-ორს. რაკიღა მიწაზე თამაშობენ – ამას უფრო ტატოშნიკების საყურადღებოდ ვამბობ – ორი კვირით დაივიწყეთ ისინი, ვინც "უიმბლდონზე", "US ოუფენზე" და ავსტრალიაში გულაობდა. მიწა ესპანელებისაა და არგენტინელი კორიასი. მაგრამ ფედერერის ეგრე იოლად ჩამოწერაც არ იქნებოდა სწორი. თვითონ ესპანელებიდან კი კორეჩა ნამეტანი გულჩვილია, ეგ მომგები არ არის, კოსტაც ცოტა ასაკისკენ წავიდა, თან ცოლ-შვილიც აზის კისერზე, უფრო მოია მგონია. საერთოდ კი, ხო იცით, სპორტი ცოტა ტექნიკაა, ცოტა ხასიათი და ცოტა იღბალიც...

მარო მაჩხაანელს უთქვამს...

### უპილოტო მზვერავი მინი-თვითმფრინავები

ისრაელის თავდაცვის სამინისტრო შეიარაღებაში მიიღებს ახალ უპილოტო მსტოვარ-თვითმფრინავებს, რომლებიც იმდენად მცირე ზომისანი არიან, რომ თავისუფლად თავსდებიან ზურგჩანთაში და სარკმელში უხმაუროდ შეფრენის უნარიც შესწევთ.

ოთხი, განსხვავებული კონსტრუქციისა და დანიშნულების საფრენი მინი-აპარატი (ბერდი, სპაი თი, მოსკიტო და მოსკიტო 1.5) დამზადებულია კომპანია "ისრაელ ეარკრაფტ ინდასტრიზის" მიერ. მათი წონა მერყეობს 250 გრამსა და 1.3 კილოგრამს შორის. მათ ერთი საათის განმავლობაში შეუძლიათ ფრენა და ამ დროის განმავლობაში ნებისმიერ სადაზვერვო სამუშაოს შეასრულებენ.

მათგან ყველაზე მოზრდილი ზომებისა დისტანციურად იმართება ათკილომეტრიან ზონაში. დანარჩენებს კი თითქმის ორჯერ ნაკლები სამოქმედო დიაპაზონი აქვთ.

აპარატების შემქმნელებმა უკვე ჩაატარეს თავიანთი თვითმფრინავების გამოცდები და მზად არიან, კონტრაქტი გააფორმონ ისრაელის თავდაცვის სამინისტროსთან. რა თქმა უნდა, თვითმფრინავები გამოყენებულ იქნება პალესტინელ ტერორისტებზე სათვალთვალოდ.

### ყველაზე სწრაფი წამზომი

მაქს პლანკის სახელობის კვანტური ოპტიკის ინსტიტუტის პროფესორმა ფერენც კრაუსმა და მისმა ასისტენტებმა შექმნეს დროის საზომი მოწყობილობა, რომელსაც უკვე უწოდეს "მსოფლიოში უსწრაფესი წამზომი".

ამ წამზომს შესწევს უნარი, "თვალი ადევნოს" ატომის კალიბრის ნაწილაკების მოძრაობას და მათი გადაადგილება ატოწამის მეასედებში განსაზღვროს. ეს საშუალებას იძლევა, დაფიქსირდეს ცვლილებანი ატომის სტრუქტურაში, რაც იმდენად სწრაფად ხდება, რომ მათი რეგისტრირება ადრე შეუძლებელი იყო.

"ჩვენი მიზანია, ატომებში ელექტრონთა გადაადგილების რეალურ დროში დაფიქსირება და თვალთვალი", - ამბობს პროფესორი კრაუსი.

ატომურ დონეზე მიმდინარე მოვლენების დაწვრილებითი შესწავლა მეცნიერებს ქიმიური რეაქციების კონტროლისა და ახალ ნივთიერებათა სინთეზის საშუალებას მისცემს. ამ საქმეში კი ფასდაუდებელ სამსახურს გასწევს კრაუსის ჯგუფის მიერ შექმნილი დროის მზომი. სწორედ ამ ქრონომეტრის საშუალებით, მეცნიერებმა დაამტკიცეს ისიც, რომ დროის ყველაზე მცირე ნაწილი 0.0000000000000001 წამია.

### საუკუნის შემდეგ ჩრდილოეთის ზღვებში ყინული გაქრება

მეცნიერები ირწმუნებიან, რომ დაახლოებით ასი წლის შემდეგ, ჩრდილოეთის საზღვაო სანაოსნოში გაქრება ყინული და იქ გადაადგილებისთვის საჭირო აღარ იქნება გემების ყინულმჭრელებით ესკორტირება. ამის დასტურად ის ფაქტიც გამოდგება, რომ ბოლო 50 წლის განმავლობაში, ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის სამხრეთ წყლებში თითქმის ორჯერ შემცირდა ყინულის სისქე. ტენდენცია კი ისეთია, რომ ყოველ მომდევნო 10 წელიწადში, ყინულის სისქე 3 პროცენტით მოიკლებს.

უფრო მეტიც, მეცნიერები მოელიან, რომ უახლოეს 20 წელიწადში სიტუაცია იმდენად რადიკალურად შეიცვლება, რომ ჩრდილოეთის წყლებში გადაადგილება ყინულმჭრელების გარეშე იქნება შესაძლებელი და ჩრდილოური სანაოსნო ხაზები კონკურენციას გაუწევენ სამხრეთის წყლებს.

მაგალითად, იმისათვის, რომ დღეს გემით ევროპიდან იაპონიაში ან პირიქით მოხვდე, სუეცის არხის გავლით, დაახლოებით 11 ათასი საზღვაო მილია (დაახლოებით 20 ათასი კილომეტრი) გასავლელი. ამაზე თვე და რამდენიმე დღეა საჭირო. არადა, ჩრდილოეთის სანაოსნო რომ ყინულისგან თავისუფალი იყოს, იგივე კრუიზი სულ 22 დღეს გასტანდა და გასავლელიც გაცილებით ნაკლები – 7 ათასი საზღვაო მილი იქნებოდა.

### შუქგამტარი ბეტონი

27 წლის უნგრელმა არქიტექტორმა არონ ლოშონსიმ, ფაქტობრივად, ახალი ტიპის – შუქგამტარი ბეტონი, სახელად "ლი-ტრა-კონი" (ლაით ტრანსმიტინგ კონკრიტ) გამოიგონა. მან ერთმანეთს შეურია მთელ მსოფლიოში გავრცელებული სამშენებლო მასალა – ბეტონი და ოპტიკური ბოჭკო. მიღებული საბოლოო პროდუქტი სიმყარითაც გამოირჩევა და შუქსაც ადვილად ატარებს.

შუქის გატარება როდი ნიშნავს იმას, რომ მის მიღმაც სხეულები ისევე გამოჩნდება, როგორც შუშაში. "შუქგამტარი" ბეტონი ტრადიციულს სიმყარეში არაფრით ჩამოუვარდება. ასეულობით ათასი ოპტიკური ბოჭკოს ნაწილაკი ბეტონის სტრუქტურაში ერთგვარ მატრიცას ქმნის, რომელიც შუქის გარკვეულ ნაწილს ატარებს – შესაძლებელია ადამიანის ან ხის სილუეტის გარჩევა. ამგვარი მასალის გამოყენება კი არქიტექტორებს ნათელი და ჰაეროვანი ინტერიერის შექმნის საშუალებას მისცემს. ასეთ სათავსებში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნება, თითქოს გარშემო სულაც არ იყოს მასიური კედლები.

ლოშონსის შუქგამტარი ბეტონის შექმნის იდეა სტოკჰოლმში სწავლის დროს გაუჩნდა. მის მიერ შექმნილი ახალი ტიპის ბეტონი უკვე წარედგინათ ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის წამყვან სამშენებლო ფირმებს. ამასთან, არქიტექტორმა შექმნა საკუთარი კომპანია "ლიტრაკონი", რომელიც ახალი ტიპის ბეტონის ბლოკების დამზადებას 2004 წლიდანვე შეუდგება.

### სამაჯური ჯანმრთელობის სამსახურში

გერმანელმა მკვლევარებმა შექმნეს უგამტარო სამაჯური, რომლითაც შესაძლებელია მაჯისცემისა და სისხლში ჟანგბადის ოდენობის განსაზღვრა და გაკონტროლება.

ახალ ხელსაწყოში ოქსიჰემომეტრთან ერთად მოთავსებულია გადამწოდი, რომელიც საჭირო მონაცემებს მინი-კომპიუტერს მიაწვდის. ოქსიჰემომეტრი სისხლში ჟანგბადის შემცველობას განსაზღვრავს. აპარატის შემქმნელები გვპირდებიან, რომ ახლო მომავალში მათი ხელსაწყო უფრო მრავალ დანიშნულებას მიიღებს – მასში განთავსდება ელექტროთერმომეტრი, სისხლის წნევის საზომი და სისხლში შაქრის შემცველობის საზომი.

აპარატი შექმნილია კომპანია "ბოდ ერია ნიტუორკის" მიერ შემუშავებული პროექტის მიხედვით. ამ პროექტის მიზანია ისეთი სისტემების წარმოება, რომელთა საშუალებითაც ადამიანის სხეულზე განთავსებული რამდენიმე სენსორით შესაძლებელი იქნება პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაზღვრა. პაციენტის წელზე ან მაჯაზე განთავსებული მინი-კომპიუტერი სენსორების მიერ შეგროვებულ ინფორმაციას გადაამუშავებს და უგამტარო საინტერნეტო კავშირის საშუალებით მიაწვდის სამედიცინო ცენტრის ცენტრალურ კომპიუტერს, სადაც ინფორმაცია დაგროვდება. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, ცენტრალური კომპიუტერი თავად გააფრთხილებს ადამიანს გამოკვლევის ჩატარების აუცილებლობის შესახებ.

### ავსტრალიაში ნახშირბადის ახალი ფორმა მიიღეს

ავსტრალიის ეროვნული უნივერსიტეტის მკვლევარებმა ნახშირბადოვანი სამიზნე მძლავრი ლაზერით დაასხივეს, რომელიც წამში 10 ათას მძლავრ იმპულსს იძლევა. ექსპერიმენტის დროს სამიზნე დაახლოებით 10 ათას გრადუსამდე (ცელსიუსით) გახურდა, რის შემდეგაც, მიკროსკოპის ქვეშ გამოჩნდა, რომ დასხივებული ნახშირბადის მოლეკულური სტრუქტურა რადიკალურად შეიცვალა – იგი ფაქტობრივად ნახშირბადოვანი ნანომილაკებით მოქსოვილ მიკროსკოპულ ბადეს წარმოადგენდა. ექსპერიმენტის ავტორებმა ახალ ნივთიერებას ნანოქაფი უწოდეს.

ნანოქაფზე ჩატარებულმა უამრავმა ექსპერიმენტმა მოგვიანებით ცხადყო, რომ ესაა ნახშირბადის ახალი, მეხუთე ფორმა (პირველი ოთხია გრაფიტი, ალმასი, ფულერენები და ნანომილაკები). ნანოქაფის ერთ-ერთი უჩვეულო თვისებათაგანი ისაა, რომ იგი მაგნიტების მიერ მიიზიდება. არადა, ცნობილია, რომ ნახშირბადი არამაგნიტური ნივთიერებაა.

მაგნიტურობა და ინფრაწითელი სხივების გაძლიერებული შთანთქმის უნარი ნანოქაფის მედიცინაში გამოყენების პერსპექტივას ქმნის. კერძოდ, მცირე რაოდენობით მიკროსკოპული ნანოქაფის სისხლის ნაკადში შეშვებით, უწვრილეს კაპილარებში სისხლის მოძრაობის თვალთვალის საშუალება შეიქმნება, რასაც მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფი განახორციელებს.

უფრო მეტიც, პერსპექტივაში, შესაძლებელი იქნება ავთვისებიანი სიმსივნის უჯრედებში ნანოქაფის შეშვება და მისი ინფრაწითელი დასხივება, რაც გამოიწვევს ნანოქაფის და მასთან ერთად, დაავადებული უჯრედების გადახურებას, ამას კი შედეგად კიბოს უჯრედების "თვითმკვლელობა" მოჰყვება. პარალელურად, თითქმის არ დაზიანდება მიმდებარე ჯანმრთელი უჯრედები.

## "შატლს" ევროპელი კონკურენტი გამოუჩნდა

იმ დროს, როდესაც ამერიკელებს ჯერაც არ გადაუწყვეტიათ, გააგრძელონ თუ არა მრავალჯერად კოსმოსურ ხომალდ "შატლების" ექსპლუატაცია, ევროპულმა კოსმოსურმა სააგენტომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა საკუთარი მრავალჯერადი კოსმოსური ხომალდის შექმნისაკენ – შვედეთის უკიდურეს ჩრდილოეთში, სტოკჰოლმიდან დაახლოებით 1230 კილომეტრში, წარმატებული პირველი საფრენი ტესტი ჩაუტარდა გერმანელი კონსტრუქტორების მიერ დამზადებულ უპილოტო საფრენი აპარატის პროტოტიპს სახელად "ფინიქს".

პირველი ტესტი საკმაოდ პრიმიტიული იყო და იგი, უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა სისტემის შესამოწმებლად ჩატარდა. აპარატი 2400 მეტრის სიმაღლეზე სატვირთო ვერტმფრენით იქნა აყვანილი. დათქმულ სიმაღლეზე ასვლისთანავე, "ფინიქსი" მოსწყდა მზიდ ვერტმფრენს და თავისუფალი პლანირება დაიწყო.

საცდელი გაფრენის დროს "ფინიქსი" იყენებდა გლობალური პოზიციონირების სისტემის თანამგზავრს, რომლის საშუალებითაც, წინასწარ მიცემული კოორდინატების გამოყენებით, მან წინასწარ განსაზღვრულ პოლიგონზე განახორციელა დაჯდომა. ფრენის წუთნახევრის განმავლობაში მოწმდებოდა რადარული და ლაზერული ალტიმეტრების, წნევისა და სიჩქარის სენსორების ქმედითუნარიანობა.

შვედეთში გამოცდილი პროტოტიპი ჩვეულებრივზე, რომელსაც წინასწარ "ჰოპერი" შეარქვეს, ექვსჯერ მცირე ზომისაა. მისი სიგრძე სულ შვიდი მეტრია და 1200 კილოგრამს იწონის. მისი ფრთის გაშლა კი სულ რაღაც 3.9 მეტრს შადგენს.

აღნიშნული ტესტი მომდევნო კვირეების განმავლობაში კიდევ სამჯერ განმეორდება. აპარატის გამოცდის შემდგომი ფაზა უფრო რთულ და მომთხოვნ გამოცდებს ითვალისწინებს. კერძოდ, "ფინიქსს" უფრო დიდი სიმაღლიდან დაშვება ელის. თანაც, მას განსხვავებული კუთხით გადმოაგდებენ.


"ფინიქსმა" პირველი გამოცდა წარმატებით ჩააბარა

თუ ეს ექსპერიმენტებიც წარმატებული იქნება, აპარატს მოამზადებენ იმისათვის, რომ მან 25 კილომეტრის სიმაღლიდანაც შეძლოს გამოცდის ჩაბარება.

ევროპული "შატლების" კოსმოსში გასაშვებად გამოყენებულ იქნება საფრანგეთის გვიანაში მდებარე ბაზა, რომელსაც ოთხკილომეტრიანი ასაფრენი ზოლი გააჩნია. "ფინიქსის" (იგივე "ჰოპერის") ასაფრენად ნავარაუდებია მაგნიტური ან ჭავლური ამაჩქარებლების გამოყენება. მას შემდეგ, რაც სარაკეტო ძრავით აღჭურვილი აპარატი 130 კილომეტრის სიმაღლეს მიაღწევს, მოხდება მისგან მცირე ზომის რაკეტის გამოყოფა, რომელიც კოსმოსში გაიყვანს თანამგზავრს. მისიის შესრულების შემდეგ, მრავალჯერადი გამოყენების აპარატი გაეშურება ატლანტიკის ოკეანეში მდებარე რომელიმე კუნძულზე განთავსებული ბაზისკენ, საიდანაც საფრანგეთის გვიანის ბაზამდე მას გემით დააბრუნებენ.

ევროპული კოსმოსური სააგენტოს ექსპერტები იმედოვნებენ, რომ "ჰოპერის" ტიპის აპარატების დანერგვა საგრძნობლად შეამცირებს კოსმოსური კვლევისთვის საჭირო ხარჯებს – დღეისათვის კოსმოსში ერთი კილოგრამი სასარგებლო ტვირთის გატანა დაახლოებით 15000 დოლარი ჯდება.

გამოსაცდელი პროტოტიპი დაამზადა პროექტის ავტორმა, კომპანია EADS-მა (იუროპიენ აერონავტიკ დეფენს ენდ სპეის), რომელიც აეროკოსმოსური პროფილის უდიდესი კომპანიაა ევროპაში და სიდიდით მეორე მსოფლიოში. სწორედ EADS აწარმოებს მსოფლიოში ყველაზე დიდი ტვირთამწეობის მქონე მზიდ რაკეტა "არიანს". მისივე წარმოებისაა ევროპული გიგანტური აერობუსები, ვერტმფრენი "ევროკოპტერი". გარდა ამისა, კომპანია აწარმოებს საერთაშორისო კოსმოსური სადგურის ელემენტებს, კავშირის სათანამგზავრო სისტემებს და სხვა მაღალტექნოლოგიურ მოწყობილობას. EADS-ში გაერთიანებულია გერმანიის, საფრანგეთის, ბრიტანეთის, იტალიისა და ესპანეთის წამყვანი ავიაკოსმოსური კომპანიები.

რაც შეეხება კოსმოსში გასაფრენად ვარგის მრავალჯერადი დანიშნულების აპარატ "ჰოპერს", თუ პროექტი მიღებულ იქნა, პირველ გაფრენას იგი ალბათ 2015 წელს განახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ ევროპის კოსმოსური სააგენტო სხვა კომპანიების პროექტებსაც განიხილავს, რომელთაგან საუკეთესოს და ყველაზე მისაღებს 2005 წლის ბოლოს შეარჩევს. "ჰოპერს" კონკურენციას უწევს პროექტი, რომელიც ევროპის კოსმოსურ სააგენტოს კოსმოსში ორსაფეხურიანი მრავალჯერადი გამოყენების აპარატით ფრენას სთავაზობს. აღსანიშნავია, რომ ამ პროექტით, ორივე საფეხურზე აპარატის მამოძრავებელი ძალა სარაკეტო ძრავა იქნება. ამასთან, ორივე საფეხური მრავალჯერადი გამოყენებისთვის იქნება ვარგისი.

არის კიდევ ერთი პროექტი, რომელშიც ხმელეთზე დაშვების დაახლოებით იგივე სისტემა გამოიყენება, როგორიც EADS-მა "ფინიქსში" გამოსცადა. ამ აპარატს "სოკრატესი" ეწოდება. იგი კოსმოსში თავად არ გავა, მაგრამ ბგერისაზე ათჯერ მეტი სიჩქარე ექნება და ატმოსფეროს ზედა ფენებიდან მოახდენს ხელოვნური თანამგზავრების გაშვებას. "სოკრატესი" მაღალი მანევრულობით და სიიაფით გამოირჩევა. ამასთან, გაფრენებს შორის მომსახურებისთვის დიდ დროსაც არ საჭიროებს.

უნდა ითქვას, რომ ევროპის კოსმოსური სააგენტო ჯერჯერობით არ გეგმავს პილოტირებადი მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური აპარატების გამოყენებას. თუმცა, მისი ხელმძღვანელები არ გამორიცხავენ, რომ 40-50 წლის შემდეგ პილოტირებადი აპარატების გამოყენებაც დადგეს დღის წესრიგში.

## კოსმოსური ტურიზმი პირველ ნაბიჯებს დგამს

იწურება საერთაშორისო კონკურს X-პრაიზის ჩასატარებლად განკუთვნილი ვადა – 2005 წლის 1 იანვრისთვის ცნობილი უნდა გახდეს იმ კერძო კომპანიის სახელი, რომელიც დაწესებულ 10 მილიონ დოლარს დაეპატრონება. თუმცა, როგორც მისი დამფუძნებელი, პეტერ დიამანდისი აცხადებს, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, გამარჯვებული უკვე ზაფხულის ბოლოს გამოვლინდება.

კონკურსში, რომელიც დიამანდისმა 1996 წლის მაისში გამოაცხადა, განაცხადი შეტანილი აქვს 7 ქვეყნის (აშშ, ბრიტანეთი, არგენტინა, რუსეთი, კანადა, ისრაელი, რუმინეთი) 27 კერძო კომპანიას და კონსტრუქტორთა ჯგუფს. რეგლამენტით, გაიმარჯვებს ის მონაწილე, რომელიც საკუთარი კონსტრუქციის კოსმოსური ხომალდით სამ მგზავრს 100 კილომეტრის სიმაღლეზე აიყვანს, ხმელეთზე უსაფრთხოდ დააბრუნებს და ორი კვირის შემდეგ, იმავე ხომალდით გაიმეორებს გაფრენას.

საინტერესოა, რომ პრიზი 10 მილიონი დოლარი კია, მაგრამ კონკურსში მონაწილეთა უმეტესობას უკვე დახარჯული აქვს 50 მილიონ დოლარზე მეტი. თუმცა, ამაში გასაკვირი არაფერი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ X-პრაიზის წყალობით, მის მონაწილეებს (მნიშვნელობა არ აქვს, გაიმარჯვებენ ისინი თუ არა), ბიზნესის სრულიად ახალ სფეროში, კოსმოსურ ტურიზმში მოღვაწეობის დაწყების საშუალება ექნებათ და ამ საქმეში კონკურსი მათთვის ერთგვარი ლოკომოტივის როლს შეასრულებს.

დღეისათვის კონკურსის აშკარა ლიდერია სახელოვან კონსტრუქტორ ბერტ რუტანის კომპანია "სქელდ კომპოზიტს", რომელსაც აშშ-ის ფედერალური საავიაციო ადმინისტრაციისგან უკვე მიღებული აქვს სპეციალური ლიცენზია, რომელიც ტურისტული კოსმოსური გაფრენების მოსამზადებლად საგამოცდო გაფრენების განხორციელების უფლებას იძლევა. უფრო მეტიც, დღეისათვის კომპანიამ უკვე განახორციელა რიგი საცდელი გაფრენები და, როგორც ამბობენ, მიზნამდე ერთი ნაბიჯიღა აქვს დარჩენილი. უკანასკნელი


ჩემპ კარის ვარსკვლავები სარბოლ და კოსმოსურ ბოლიდებთან პოზირებენ

საგამოცდო გაფრენისას კომპანიის ხომალდმა "სპეისშიპვან" 64-კილომეტრიან ზღვარს მიაღწია, სადამდეც მანამდე კერძო კომპანიის მიერ შექმნილ საფრენ აპარატს არასოდეს მიუღწევია.

თუმცა, როგორც დიამანდისი ამბობს, გამარჯვების არანაკლები შანსი აქვთ სხვა მონაწილეებსაც. მაგალითად, კანადაში საცდელი გაფრენების უფლება უკვე მოპოვებული აქვს გუნდ "და ვინჩის", ამერიკაში კი კონკურსის მეორე ლიცენზირებული მონაწილეა კომპანია "XCOR აეროსპეისი". კონკურსის მონაწილე არგენტინულ გუნდს შეიძლება გამარჯვების ნაკლები შანსი აქვს, მაგრამ მის ლიდერ პაბლო დე ლეონს ეს ნაკლებად აღელვებს. "ჩვენ მხოლოდ კონკურსის მოგებით არ ვართ დაინტერესებული. ჩვენ უფრო შორს ვიყურებით და ვიმედოვნებთ, რომ X-პრაიზში მონაწილეობა ბიზნესის ახალ სფეროში მოღვაწეობის დაწყებაში დაგვეხმარება", - ამბობს დე ლეონი. მისი გუნდი 1:2 მასშტაბის საფრენი აპარატის გამოცდების დაწყებას შემოდგომაზე გეგმავს.

ანალოგიური მოსაზრებით, მოსამზადებელი სამუშაოები შეჩერებული აქვს ისრაელის გუნდ "ილ აეროსპეის ტექნოლოჯის" (ILAT), რომელსაც პრაქტიკულად დასრულებული აქვს მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსურ ხომალდ "ნეგევის" შექმნის პროცესი. თუმცა, როგორც მისი ხელმძღვანელი დოვ ჩარტარიფსკი ამბობს, ახლა მთავარი კონკურსში გამარჯვება კი არა, კოსმოსური ტურიზმის განვითარებისთვის ფონდების მოზიდვაა, რაც ახლო მომავალში უზარმაზარ მოგებას მოუტანს პროექტის ავტორებს.

"ჩვენს კომპანიას შესწევს უნარი, გახდეს მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი, თუ პირველი არა, აეროკოსმოსური ტურისტული კომპანია. ჩვენი მიზანია, 2007 წლიდან შევუდგეთ ჩვენი პროექტის კომერციალიზაციას", - ამბობს ჩარტარიფსკი და დასძენს, რომ მართალია, მისი კომპანია ვერ შეძლებს X-პრაიზის ვადებში ჩატევას, მაგრამ აპარატი ILAT-ი თითქმის მზადაა გამოცდებისთვის და გამორიცხული არაა, რომ იგი კოსმოსური ტურიზმის პიონერიც კი გახდეს.

როცა ფავორიტებზე საუბრობს, დიამანდისი ამბობს, რომ როგორც კი გაჩნდება ინფორმაცია რომელიმე მონაწილის მიერ განხორციელებული წარმატებული გამოცდის შესახებ, ეს კონკურენტებზე კატალიზატორივით მოქმედებს და ისინიც ააქტიურებენ თავიანთ საქმიანობას.

დიამანდისი იხსენებს წინა საუკუნეში მომხდარ ისტორიას – 1927 წელს ორტიგის პრიზი და მასთან ერთად, 25000 დოლარი მოიგო ვინმე ჩარლზ ლინდბერგმა, ვინც პირველმა შეასრულა კონკურსით დასახული მიზანი – საშუალედო დაშვების გარეშე განახორციელა ტრანსატლანტიკური ფრენა. არადა, მანამდე აშკარა ფავორიტად მიჩნეული იყო ადმირალი რიჩარდ ბერდი, ვინც აფრენისას კატასტროფა განიცადა. X-პრაიზის ორგანიზატორი არ გამორიცხავს, რომ მსგავსი ისტორია შეიძლება ამჯერადაც განმეორდეს და ფავორიტების ნაცვლად მთავარ პრიზს რომელიმე სხვა გუნდი ან კომპანია დაეუფლოს.

არის კიდევ ერთი საინტერესო მოსაზრება – მონაწილეთა უმეტესობა მოელის, რომ X-პრაიზის გათამაშების შემდეგ, კონკურსის ორგანიზატორები ყოველწლიურ X-პრაიზის თასის გათამაშებას ჩაუყრიან საფუძველს, რომელიც რამდენიმე კატეგორიაში ჩატარდება: გამარჯვებულები გამოვლინდებიან ყველაზე სწრაფი გაშვების, ყველაზე მაღლა აფრენის, კოსმოსში ყველაზე მეტი მგზავრის გაყვანის და ა.შ. კატეგორიებში. თასის გათამაშება კი ორ კვირას გასტანს.

X-პრაიზს რამდენიმე სპონსორი და პარტნიორიც გამოუჩნდა, რომელთა შორისაა კარტ-ის, იგივე ჩემპ კარის მსოფლიო სარბოლი სერია, რომლის ლოგოც კონკურსში მონაწილე ყველა აპარატზე განთავსდება და ირანული წარმოშობის ამერიკელი მილიარდერები ანუშეჰ ანსარი და ამირ ანსარი. მათი მილიონების წყალობით, კონკურსს ეწოდა "ანსარი X-პრაიზი".

მაისის დასაწყისში კი გადაწყდა, რომ საკონკურსო გაფრენებისთვის გამოყენებულ იქნება აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების კუთვნილი ბაზა "უაიტ სენდს მისაილ რეინჯი", რომელიც ნიუ მექსიკოს შტატში მდებარეობს. შტატის გუბერნატორმა ბილ რიჩარდსონმა კოსმოსური პორტის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად უკვე გამოყო 9 მილიონი დოლარი.

## უპილოტო საბრძოლო თვითმფრინავმა პირველი გამოცდა ჩააბარა

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს დასახული მიზნისკენ – შექმნან შორიდან მართვადი თვითმფრინავი, რომელიც პილოტის გარეშე შეასრულებს სახიფათო დავალებებს, გაანადგურებს მტრის ობიექტებს და მშვიდობით დაბრუნდება ბაზაზე.

18 აპრილს, კალიფორნიის ედვარდსის სამხედრო-საჰაერო ბაზაზე ჩატარდა "ბოინგის" მიერ შექმნილი საცდელი პროტოტიპის, აპარატ X-45-ის საბრძოლო გამოცდა, რომლის დროსაც, უპილოტო თვითმფრინავმა ზუსტად შეასრულა დავალება – უმუხტო, ეგრეთ წოდებული "ჭკვიანი" ბომბი, რომლის მართვაც თანამგზავრით ხორციელდება, მიზნის სიახლოვეს დააგდო, რის შემდეგაც ბაზაზე დაბრუნდა.

"ბოინგის" განცხადებით, ინერტული ბომბი სამიზნიდან რამდენიმე დუიმის დაშორებით დაეცა, რაც იმას ნიშნავს, რომ მუხტი რომ ჰქონოდა, მიზანს – უძრავ სატვირთო ავტომობილს გაანადგურებდა.

"დღევანდელი ექსპერიმენტით, ჩვენ უზარმაზარი ნაბიჯით წავიწიეთ წინ. ჩატარებულმა ტესტმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ უპილოტო თვითმფრინავებს სრულფასოვნად შეუძლიათ დღეს გავრცელებული, პილოტირებადი საბრძოლი საფრენი აპარატების შეცვლა. ვიდეოჩანაწერზე ჩანს, როგორ უახლოვდება სამიზნეს – უძრავ ავტომობილს ბომბი და როგორ აყირავებს მას", - განაცხადა პროექტის ხელმძღვანელმა რობ ჰორტონმა.


X-45 პირველ საბრძოლო დავალებას ასრულებს

აფრენამდე X-45-ის კომპიუტერში შეყვანილ იქნა სამიზნის კოორდინატები, რომელთა დახმარებითაც, ბომბს ოპერატორმა გლობალური პოზიციონირების სისტემის (GPS) დახმარებით მიუთითა სამიზნისკენ გზა. საცდელ გაფრენას 80 მილის დაშორებიდან თვალყურს ადევნებდა ჰორტონი, ვინც ხმელეთიდან აძლევდა თვითმფრინავს ბრძანებებს. სწორედ ჰორტონის ბრძანებით განხორციელდა ბომბის ჩამოგდება. ამ დროს X-45 ხმელეთიდან დაახლოებით 10 კილომეტრის სიმაღლეზე იმყოფებოდა და დაახლოებით 650 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა.

სამხედროები იმედოვნებენ, რომ უახლოეს მომავალში მათ აღჭურვილობაში გადავა მსგავსი საფრენი საშუალებები, რომელთა დახმარებითაც, მფრინავების გამოუყენებლად, შესაძლებელი იქნება მეტისმეტად სახიფათო საბრძოლო დავალებების შესრულება, როგორიცაა მტრის რადარული დანადგარებისა და ხმელეთი-ჰაერი სისტემის სარაკეტო ბატარეების განადგურება.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის უპილოტო თვითმფრინავებს აშშ-ის სამხედრო ძალები უკვე იყენებენ ავღანეთსა და ერაყში. თუმცა, ამ თვითმფრინავების დანიშნულება მეტწილად მტრის პოზიციების დაზვერვით შემოიფარგლება და ისინი ჯერჯერობით ვერ ახორციელებენ უშუალოდ საბრძოლო ოპერაციებს.

ბოინგი იმედოვნებს, რომ X-45 ტიპის ასობით თვითმფრინავის დამზადებაზე მიიღებს შეკვეთას აშშ-ის სამხედრო-საჰაერო და საზღვაო-საჰაერო ძალებისგან. წინასწარი ვარაუდით, თითოეული აპარატის ღირებულება 10-15 მილიონი დოლარის ფარგლებში იქნება.

*გვერდი მოამზადა*
*მერაბ ლორთქიფანიძემ*

# კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების 111 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო შეკრებაზე წარმოთქმული სიტყვა აბაშაში

კონსტანტინე ზ. გამსახურდია

ძვირფასო მეგობრებო, კონსტანტინე გამსახურდიას დღევანდელი საქართველოსთვის რომ შემოეხედა, უთუოდ შეძრწუნდებოდა დღეს გავრცელებული მასობრივი უწიგნურობით, აზროვნების სიზარმაცით, როდესაც ადამიანებს მასმედიის მიერ მოწვდილი მზა ინფორმაცია ხან სიმართლე, ხან ნახევარ-სიმართლე და ხანაც სიცრუე ურჩევნიათ ყველაფერს. მწერალი წიგნიერებას ქადაგებდა, მას წიგნი შემოჰქონდა. წიგნიერება ერთადერთი გზაა მისთვის ქართველი ხალხის სიბნელიდან გამოსაყვანად, რის გარეშეც წარმოუდგენელია ქართული რენესანსი. შემთხვევითი არ არის, რომ მის ქანდაკებას თბილისში წიგნი უჭირავს. გავიხსენოთ რას წერდა მწერალი ოთხმოციოდე წლის წინ: **"საქართველოში არამცთუ მკითხველი, არამედ მოაზროვნე საზოგადოებაც კი არ არის. საქართველოში ყველას სძულს აზროვნებაც და კითხვაც, ლაპარაკი ყველაფერს ურჩევნიათ, რადგან ლაპარაკი ყველაფერზე შეიძლება".** მწერალმა კარგად იცოდა ის ჭეშმარიტება, რომ ლაყაფი და ყბედობა ცნობიერების ძილს იწვევს, აზროვნება და დისციპლინა კი აფხიზლებს. მაგრამ თუ ჩაგვეძინა ჩვენი სახსენებელიც კი გაქრება.

ხშირად ხდება ისე, რომ მთელი ერი ერთი კაცის პირით ლაპარაკობს და მოქმედებს, უფრო სწორად თუ ვიტყვი, ერი კი არა, ერის შეუმუსვრელი დაურღვეველი სული, რომელიც ნამდვილად არსებულია გარესამყაროში და გააჩნია თავისი მისია. კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს ისტორიასა და თანამედროვეობაზე დაყრდნობით ქმნიდა ისეთ ეროვნულ იდეოლოგიას, რომლის მკვებავი წყაროც რელიგიური პატრიოტიზმია. მწერალს მუდამ თან სდევდა დიდი და განახლებული საქართველოს ხილვა. ისეთისა, რომელიც ჯერ არ ყოფილა არამედ მომავალში უნდა შეიქმნას.

**"პოეტური ნაწარმოები უთუოდ წაავავს შიფრით ნაწერს",** გვასწავლის მწერალი. მთელი მისი შემოქმედება ასეთივე შიფრია უმდიდრესი გამოცდილებისა თუ როგორაა შესაძლებელი ჩვენი სახელმწიფოებრიობის, ჩვენი ქართველობის და ჩვენი მეობის შენარჩუნება აპოკალიფსური ძვრების ეპოქაში, როდესაც ქვა ქვაზე აღარ დარჩება ისე, როგორც ეს ადრე იყო, როდესაც არც ერთი ხევი აღარ დარჩება ისე, რომ არ ამოივსოს და არც ერთი მთა რომ არ მოსწორდეს. აქ მოგვეთხოვება განსაკუთრებული სიმტკიცე: გავიხსენოთ თუ როგორ უარყოფდა მწერალი რბილკანიან, მტირალა და სევდიან ხალხს. ასეთებს მომავალი არ ექნებათ, გაიმარჯვებენ მხოლოდ ისინი, ვინც არწივის პერსპექტივებით ზვერავს მომავალს, ვისაც გააჩნია ფოლადის ნერვები, გონების სიმახვილე და კუნთებდაჭიმული მართავს თავისი ბედის ტაიჭებს. ბედი კონსტანტინე გამსახურდიას მგლურად ექცეოდა, მაგრამ იგი არ დამონებია ფატუმს - ის ხომ თავის ნააზრევს პრაქტიკულად ახორციელებდა. მე არ მეგულება საქართველოში მწერალი და მოქალაქე მსგავსი მარულა რომ გაემართოს ბედისწერისთვის.

კონსტანტინე გამსახურდია ვაჟაფშაველაზე საუბრისას ახსენებს ერთ უცნაურ ლოდს მუცოს ხეობაში, რომელიც დღის ყველა დროს, რომელი კუთხითაც არ უნდა შეგეხედათ სხვადასხვანაირად გამოიყურებოდა. მასზე ვერავინ იტყოდა თუ როგორ მოხვდა იქ. მწერალი დიდ ვაჟას ადარებდა ამ ლოდს. დღეს შეიძლება ითქვას, რომ კონსტანტინე გამსახურდიაც ასეთივე ლოდია, რომელსაც არ ჰყავს წინაპარი ქართულ სინამდვილეში. იგი თითქოს გმირია საქართველოს იმ ვერშემდგარი ისტორიისა, რომელიც დავითისა და თამარის საქართველოს ლოგიკურად უნდა მოჰყოლოდა და რომელსაც მონღოლების, ოსმალების, ყიზილბაშების შემოსევებმა, შემდგომ კი რომანოვების რუსეთის კოლონიალიზმმა და კომუნიზმმა არ მისცა განხორციელების საშუალება. იგი მარტოკა, ინდივიდუალურად მოქმედებდა საქართველოს სინამდვილეში. მისი შემართება, მისი თვითმყოფადი ენა და მწერლობა უაღრესად ქართულია. მისი გენია კი დასავლური ცივილიზაციის ცეცხლოვანი ეტლით მოძრაობს თითქოს. ძნელი წარმოსადგენია მეორე ქართველი ასე უჩვეულოდ რომ აერთებდეს დავით აღმაშენებლის პრაქტიკულ, მოქმედ სულისკვეთებას და გოეთეს მჭვრეტელ, მოაზროვნე ბუნებას. კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში მხოლოდ საქართველო კი არ ხდება ევროპული, არამედ ევროპა ხდება ქართული. ევროპის გმირები, ფილოსოფოსები, მწერლები და სახელმწიფო კაცები სრულიად ახალი ელფერით წარმოჩნდებიან. ასეთი რამ მეტადრე აქტუალურია საქართველოს დღევანდელ დუხჭირ ცხოვრებაში. აქ უადგილო არ იქნებოდა გაგვეხსენებინა, სომხეთის სახალხო მხატვარი მარტიროს სარიანი, რომლის თქმითაც კონსტანტინე ინგლისელი ჯენტლმენის და კავკასიელი ჯიგიტის საოცარი შეხამება იყო.

საქართველოში შავი დროების გამო ვერა და ვერ ჩამოყალიბდა თანამედროვეობის შესაბამისი პოლიტიკური კულტურა. ეს ასეა დღეს და ასე იყო იმ დროსაც, როდესაც კონსტანტინე გამსახურდია იწყებდა თავის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მწერალი თავისი სიტყვით, აზრით და საქმით წარმოგვიჩენდა აუცილებლობას იმ ოქროს შუალედის პოვნისა, იმ მართლაც სამეფო გზის გაკვალვისა, რაც გადის, ერთის მხრივ მთავრობის და ხელისუფლების ბრმა მორჩილებას, მათდამი უკრიტიკო მიდგომას, მეორეს მხრივ, უკიდურეს ოპოზიციონერობას შორის. პირველს მივყავართ სრულ გაკრეტინებამდე და უინიციატივობამდე, როდესაც ხარ პოლიტიკური მოვლენების მხოლოდ სტატისტი. მეორე კი ზიანს აყენებს სუსტ და ახლად ფეხადგმულ ქართულ სახელმწიფოს, რომელიც ვერა და ვერ მოძლიერდა სათანადოდ უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე ისტორიული ბედუკუღმართობის და ჩვენივე მოუმზადებლობის გამო. ამიტომაც წერდა იგი 1918-21 წლების საქართველოსთან მიმართებაში: **"გადაჭარბებული ოპოზიციონერული სული ასუსტებს ერის სახელმწიფოებრივ ტრადიციას და შეგნებას, ისიც ისეთ სახელმწიფოში, როგორიცაა საქართველო, სადაც სახელმწიფოებრივი ეთოსი ეგზომ სუსტია".** მწერალი იმავდროულად აღნიშნავდა, რომ არასდროს უკადრია ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე მლიქვნელური ექსპრომტების თქმა და მუცელზე ხოხვა.





კონსტანტინე გამსახურდიას არ ჰყოლია საკუთარი პარტია და მიმდევრები ვიწრო გაგებით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის წევრობას ფედერალისტურ პარტიაში. საქართველოს დამოუკიდებლობა მის თვალწინ დაემხო. იგი შეესწრო თავადაზნაურული კულტურის დაისს, რომელიც თავის რომანებში გამოიგლოვა, ქართული ზნეობის, ქართული ტრადიციების და ღირებულებების თანდათანობით ეროზიასთან ერთად. ვაჟკაცობის დიდი მოძღვარი ზოგჯერ თავის თავს საქართველოში შეიგრძნობდა, როგორც მარტოსული თავადი ერამხუტისეული სასახლის ნანგრევებში. ვინც ცხადად ხედავდა თუ როგორ ახლოვდება უკუნეთი. მაგრამ უკუნეთი როდი აშინებს მას, ვისაც საკუთარი არსება, საკუთარი სული იმდენად გარდაუქმნია, რომ სინათლის ჩქერად უქცევია. რას უნდა შეეშინებინა იგი, ვისი ცხოვრებაც ენგურის ტალღებთან ბრძოლას ჰგავდა. და დღეს, მისი გარდაცვალებიდან თითქმის 30 წლის შემდეგ თუ კი წარსულს გადავხედავთ, მოჩანს იგი მტკიცედ მდგარი, წელში ამაყად გამართული და იქიდან ძალას გვაძლევს ჩვენ, აწმყოს მკვიდრებს. უმძიმესი პატივაყრისა და დაცემის ხანაში, როდესაც ქართველებისთვის თითქმის შეუძლებელი გახდა ერთად დადგომა საერთო ეროვნული იდეის მსახურების ნიშნით, მწერალმა გვიჩვენა თუ რისი შემძლეა იგი, ვისი ნებელობა, აზრი და გრძნობა თავისუფლების იმპულსითაა ნასაზრდოები და გაჟღენთილი. სწორედ ასეთებს შეუძლიათ ჭეშმარიტი გეზის დამკვიდრება, რაც ადამიანს საკუთარ თავთან შეარიგებს. ამ შემთხვევაში ტრიუმფი გარდუვალია, რადგან იგი თავის ადგილს ღმერთთან იმკვიდრებს. ამიტომაც მწერლის მოწოდებით დავასრულებ: **"ასწიეთ ადამიანი მაღლა, შემოქმედის მარჯვენა მხარეს".**

## სკანვორდი



## TV პროგრამა

18 მაისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **23.50** მხ. ფილმი "ატლანტი-სიტი". მთ. რ-ში: ბერტ ლანკასტერი, სიუზან სარანდონი (15).

### TV5

**07.00, 09.00,** 11.00(კანადა), **13.00,** 16.00(ბელგია), **17.00, 19.00, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.35(აფრიკა), **05.00** საინფირმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00,** საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **11.30** ტელეტურიზმი. **13.15** ექიმი სილვესტრი. ნათელმხილველი სული. მხ. ფილმი. რეჟისორი იგაალ ნიდამი. 1996. **23.30** ფეხბურთი. საფრანგეთი - ბრაზილია. ამხანაგური მატჩი. **01.45** ზღვის ნაპირი. მხ. ფილმი. რეჟისორი ჟული ლოპესი. 2002. **05.20** ჩემი რჩეული მამაკაცი. მხ. ფილმი. რეჟისორი ჟერარ კუკი. 2003.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** დოკ. სერიალი "ჟანრენო მშვიდი ადამიანი" **15.15** სერიალი "რვაფეხა-2" **16.20** დოკ. ფილმი **17.00** მულტსერიალი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **17.30** ჯანმრთელობა **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "უშიშარნი" **18.45** დოკ. სერიალი "გემრიელად მიირთვით ბავშვებო" **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** სერიალი "სოლედადი" **22.05** სერიალი "ფსიქ-ფაქტორი" **23.20** "მუსიკალური არჩევნები" **23.30** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" მე-4ს. **23.50** მხ. ფილმი "წითელი და შავი" (15) 1-ლი ს.

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "პათოლოგანატომი" მთ. რ-ში ჯეინ ლონტენეკერი. **03.00** პაუზის გარეშე

### 202

**10.00** დებატები 202-ზე **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "კანონის მსახურნი" **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "მოგზაურობა ამერიკაში" (ედი მერფი) (უ) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** ანიმ. ფილმი "დარდუბალა" **20.00** მხ. ფილმი "თომას კრაუნის აფიორა" (პირს ბროსნანი) (18) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **22.45** ანიმ. ფილმი "დარდუბალა 2" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "მეცხრე კარიბჭე" (ჯონი დეპი) (18)

### მზე

**09.00** არჩევანის ზღვარზე **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "მოტაცებული" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.10** მხ. ფილმი "შოკოლადი" (უ) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "მეათე სამეფო" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **17.35** მულტსერიალი "არგაი" **18.10** მულტსერიალი "კლიფორდი" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** არჩევანის ზღვარზე **00.00** მხ. ფილმი "განთიადი" (15)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "სიმბა ფეხბურთელი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა" (უგ) **21.00** "ჟურნალის ისტორია" **21.30** "ჩემი მშვენიერი ლედი" **22.00** მხ. ფილმი "ვნებათა ორომტრიალი" (12)

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი "თავგადასავლების მეფე" (უ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **23.00, 00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **07.15, 16.50, 17.20, 01.50** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.05** ჩ -კლუზივი **12.10** სერიალი "კლონი" **13.15** ანიმ. ფილმი "ბრექ!" **13.25, 01.20** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "ნირო ვულფის საიდუმლოება" **15.00** კალათბურთი. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. ფინალური სერია. შესვენებისას ქრონიკა. **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.05** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი" **21.30** საქმე ! **23.00** "ესტაფეტა" **23.30** მხ. ფილმი "ძველის ძველი ზღაპარი" (მ. ნეელოვა) (უ)

### იბერია

**08.00** ახალი ამბები **08.40** დოკ. ფილმი **10.30** კონცერტი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 01.40** ახალი ამბები **13.15** მხ. ფილმი "პატარა უფლისწულმა თქვა" **14.10** დოკ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი "ქალი კამელიებით" **17.30** კონცერტი **20.30** მხ. ფილმი "ლიფტი ეშაფოტზე" **22.45** მხ. ფილმი "ბუდუ" **00.15** კონცერტი

### ОРТ

**07.00** Телеканал "Доброе утро". **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.35** Телесериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 11.20, 19.50** Сериал **"КЛОН". 12.20** Мультсериал "Кошки-мышки". **12.40** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь". **13.20** Вахтанг Кикабидзе в детективе **"Я, СЛЕДОВАТЕЛЬ..." 15.00** Город женщин. **16.20** Сериал **"БЕРЕГ МЕЧТЫ". 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** "Гении и злодеи". Мата Хари. **20.50** "Стирка на миллион". **21.00** Телесериал **"ДРУГАЯ ЖИЗНЬ". 22.00, 00.30** Время. **23.35** "Человек и закон" **0.50** "Фабрика звезд". **01.10** Новые чудеса света. "Нейпир - город потерянного времени". **01.40** "Сканер". **02.10** "Крылья". "На крыльях любви". **02.40** Джадд Нилсон в триллере **"ВОЗВРАЩЕНИЕ". 04.20** Сильвестр Сталлоне в боевике **"РАЙСКАЯ АЛЛЕЯ".**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ. **09.55** Сериал **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА". 11.00** Сегодня утром. **11.25** Квартирный вопрос: сюрприз для Светланы Свеличной. **12.20** Ток-шоу "Страна советов". **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.35** "Сегодня" **13.30** Олег Анофриев в комедии **"ХОРОШО СИДИМ" 15.10** Время есть. **15.35** Протокол. **16.35** Ток-шоу "Принцип домино". **18.30** "Дикий мир: борьба за выживание". "Вирунга - река огня и льда". **19.35** Протокол. **20.40** Сериал **"ГОСПОДА ОФИЦЕРЫ". 21.45** Сериал **"БАЛЬЗАКОВСКИЙ ВОЗРАСТ, ИЛИ ВСЕ МУЖИКИ СВО...". 23.00** "Страна и мир". **23.35** "К барьеру!" Ток-шоу. **00.45** Тайны разведки: идеальный агент. **01.20** Сериал **"ГОСПОДА ОФИЦЕРЫ". 03.00** "Ночные музы". "Стиль от..." Ренаты Литвиновой

# თბილისი ტანგოს მოლოდინში

თეონა ჯაფარიძე



ძმები ჰიუბნერების დუეტი



რაულ ხაურენა ბანდონეონით

ჩვენ - ჟურნალისტებს პირველებს მოგვეცა შესაძლებლობა, მოგვესმინა იმ უჩვეულო ინსტრუმენტის ჟღერადობისათვის, რომელსაც ბანდონეონი ჰქვია და, რომელიც, როგორც ამბობენ, ტანგოში ჩაქსოვილ ყველა გრძნობას განაგებს. რაც მთავარია, ეს ჯადოსნური და გულში ჩამწვდომი აკორდები, სპეციალურად ჩვენთვის, პირდაპირ პრესკონფერენციაზე შეასრულა მსოფლიო კლასის ბანდონეონისტმა, ურუგვაელმა რაულ ხაურენამ.

ალბათ, მიხვდით: თბილისში უკვე ჩამოვიდნენ ის ადამიანები, ვინც ქართველ მსმენელს 21 მაისს თბილისის ოპერის სცენაზე ტანგოს სამყაროს აჩვენებს - Tango five და მსოფლიოში ცნობილი რაულ ხაუნერა. პრესკონფერენცია პროექტის ორგანიზატორმა "თაგის არტსმა" (მსოფლიო კულტურული ინტეგრაცია) გუშინ გამართა ვილა-ბერიკაში. დღეს კი ოპერის თეატრში მუსიკოსთა რეპეტიციას შეუერთდება ტანგოს სამყაროში მოცეკვავეთა საკმაოდ ცნობილი წყვილი - ჯუდიტა და ენრიკე.

ისევ ვილა-ბერიკაში გამართულ შეხვედრას დავუბრუნდები, სადაც ცოცხალ საუბრებს - მონტევიდეოა ტანგოს სამშობლო თუ ბუენოს აირესი - ცოცხალი მუსიკაც დიდი დოზით ახლდა: ჯერ იყო და, ვილა-ბერიკას მისაღებ ოთახში პრესკონფერენციის დაწყებამდე Tango five-ის წევრებმა, გერმანელმა მუსიკოსებმა, ძმებმა ჰიუბნერებმა, ფორტეპიანოსა და კონტრაბასის თანხლებით, სახელდახელოდ იმპროვიზირებული ჯაზი შეგვისრულეს.

გრეგორ ჰიუბნერი გერმანელი მევიოლინეა, რომელიც აშშ-ში წარმატებით მოღვაწეობს. ის ნიუ იორკელი ჯაზ-პიანისტის რიჩი ბაირახის მუდმივი პარტნიორია. მათი ერთობლივი ალბომი Round about Federiko Mompou 2002 წლის გრემის ნომინანტია, როგორც "ლათინური ჯაზის საუკეთესო ალბომი". გრეგორ ჰიუბნერის საორკესტრო კომპოზიციებს მსოფლიოს სხვადასხვა ცნობილი ორკესტრი ასრულებს. სწორედ გრეგორ ჰიუბნერი გაიცნო "თაგის არტსის" დირექტორმა ანი ლაღიძემ თბილისის 2001 წლის ჯაზ-ფესტივალზე და სწორედ ამ შეხვედრის შედეგად დაიბადა იდეა, შემდეგ კი პროექტი, რომ თბილისელებს მოესმინათ, ენახათ და შეეგრძნოთ ნამდვილი ტანგო.

თვალი გადავავლოთ Tango five-ის დანარჩენ წევრთა ბიოგრაფიებსა და თავადაც მიხვდებით, რამდენად სერიოზულ შემსრულებლებთან და სერიოზულ მუსიკასთან მოგვიწევს შეხვედრა 21 მაისს ოპერის თეატრში:

გრეგორის ძმა ფაიტ ჰიუბნერი სამხრეთ გერმანიაში ერთ-ერთ ცნობილ კონტრაბანდისტად ითვლება. ჯაზის ხელოვნებას ის ნიუიორკში დაეუფლა. მის ანგარიშზე ჯაზური მუსიკის ყველაზე თვალსაჩინო გერმანული კონკურსების – "ჰესისისა" და "ბადენ-ვიურტენბერგის" ჯაზპრიზებია.

გრემის კიდევ ერთი ნომინატი და, რაც მთავარია, ლაურეატი – ბერნდ რუფი, გერმანელი კლარნეტისტი. ის ცნობილ კუბელ კლარნეტისტთან პაკიტო დი რივერასთან ერთად 2002 წელს გახდა გრემის ლაურეატი ნომინაციაში "საუკეთესო ალბომი ჯაზისა და კლასიკის შესაყარზე".

Tango five-ის პიანისტი ბობ ფიშერი გახლავთ. მის ცხოვრებაში, ტანგოს გარდა, საკმაოდ დიდი ადგილი კინო-მუსიკის შექმნასა და სპექტაკლების მუსიკალურ გაფორმებას უკავია.

ჯგუფის ვოკალი კი მშვენიერი ვენესუელელი ქალბატონი მარგა მიტჩელი გახლავთ. მის მიერ შესრულებულ ტანგოს იცნობს ბროდვეის ტანგოს ფესტივალი თუ თეთრი სახლი. მას ნამღერი აქვს ცნობილ ვენის რადიოს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად.

და ვიდრე tango five-ის გულს და სულს რაულ ხაურენასა და მის ბანდონეონს კიდევ ერთხელ მივუბრუნდებოდე, ამ ჩამონათვალის საფუძველზე, შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ: ტანგო, რომელიც 21 მაისს თბილისში გაჟღერდება, ევროპული ინტელექტუალიზმის, კლასიკისა და ამერიკული ჯაზის ნაზავი იქნება გერმანელების მიერ კარგად შესწავლილი ბოშური მუსიკისა და მოხეტიალე ებრაელთა მუსიკის – კლეზმერის ელემენტებით. (მუსიკოსებმა პრესკონფერენციაზე ძალზე საინტერესოდ გვიამბეს, თუ როგორ სწავლობდნენ უძველეს ბოშურ და ებრაულ მუსიკას).

ამ ნაზავს კი ტრადიციულ არგენტინულ-ურუგვაულ ჟღერადობას, რა თქმა უნდა, ბანდონეონი და მსოფლიოში სახელგანთქმული რაულ ხაურენა მანიჭებს. ის ლეგენდარული Tango Nuevo-ს (ახალი ტანგოს) შემქმნელის ასტორ პიაცოლას კოლეგა და მეგობარი გახლდათ. მას დღეს მსოფლიო იმითაც იცნობს, რომ თანამშრომლობს კლასიკური მუსიკის ცნობილ შემსრულებლებთან – იო იო მასასთან, გიორა ფაიდმანთან, ჰოლივუდის სიმფონიურ და ვენის რადიოს სიმფონიურ ორკესტრებთან. მის მრავალრიცხოვან და ცნობილ საკონცერტო გამოსვლებს აღარ ჩამოვთვლით; უბრალოდ, ისიც საინტერესოა, რომ თბილისის ოპერის სცენაზე რაულ ხაურენა თავის ძველ ბანდონეონთან ერთად წარდგება. მისი ინსტრუმენტის ასაკი, თითქმის, ერთ საუკუნეს ითვლის - 1910 წელსაა შექმნილი მონტე-ვიდეოელი ხელოსნის მიერ.

გირჩევთ, თავადვე შეიგრძნოთ ტანგოს ვნებიანი ჰანგები თბილისის ოპერის სცენიდან; მე კი მხოლოდ შეგახსენებთ, რომ საღამო ოთხი ნაწილისაგან შედგება: ტრადიციული ტანგოს, პიაცოლას ცნობილი ლიბერტანგოს, Tango five-ის საავტორო კომპოზიციებისა და სიურპრიზისაგან, რომელსაც სანახევროდ გაგიმხელთ და გეტყვით, რომ, მგონი, ქართულ მელოდიებს უკავშირდება.

თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

- იურიდიული (სამართლისმცოდნეობა)
- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
- ფინანსები და საბანკო საქმე

მისაღები გამოცდები ჩატარდება ტესტირების წესით.

ინსტიტუტში ლექციებს კითხულობენ ცნობილი მეცნიერები და პედაგოგები, პროფესორები ოთარ გამყრელიძე, იაკობ ფუტკარაძე, ნინო სავანელი, გრიგოლ თოდუა, შოთა ვეშაპიძე, მალხაზ ჩახნაშვილი, ნათია თურნავა და სხვები.

ინსტიტუტს გამოცემული აქვს შესაბამის კათედრებზე შედგენილი და სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული ორიგინალური სასწავლო პროგრამები.

ინსტიტუტთან არსებული ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა აცხადებს მიღებას VII-XI კლასებში.

მისამართი: ქ. თბილისი, ბროსეს 8
(46-ე საშუალო სკოლის შენობა)
ტელეფონები: 99 96 88, 8 99 51 80 84.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24







## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.